F1199
2000

# არილი

№18 (163) საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი 21 დეკემბერი

ფასი 50 თეთრი



#18
2000

## ნიცშეს საუკუნე

1844-1900-2000

ეროვნული ბიბლიოთეკა


# არილი

**საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" გამოცემა**


*არილი* - დასასვენებელი სიწმინდეთა(ნი)
სულხან-საბა

*არილი* - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი


მთავარი რედაქტორი
**შადიმან შამანაძე**

**სარედაქციო საბჭო**
მალხაზ ხარბედია
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
ლევან აბაშიძე
ია ანთაძე
ირმა არჩუაშვილი
ანდრო ბუაჩიძე
ნოდარ ებრალიძე
თამაზ ვასაძე
ნინი ზურიაშვილი
დათო თედორაძე
ზაზა თვარაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახტანგ კომახიძე
ვასილ მაღლაფერიძე
დავით ნინიკაშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ზვიად რატიანი
ირაკლი სამსონაძე
სოზარ სუბელიანი
ზაზა ფაჩუაშვილი
ზაზა ჭილაძე
ბესო ხვედელიძე

*დირექტორი*
მიხეილ ჩიტაძე

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
თამაზ ჩხაიძე



ტელ: 93-40-35, 93-52-96;
ფაქსი: 98-67-90;
e-mail: kharbedia@yahoo.com
მისამართი: პ. ინგოროყვას ქ. №5



ჟურნალი იბეჭდება გაზეთ
"კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე






**№18 ხუთშაბათი, 21 დეკემბერი, 2000**
გამოდის ორ კვირაში ერთხელ


## ლიტერატურა


შოთა იათაშვილი
**"გაცვეთილი თაობა"** ... 1

დავით ქართველიშვილი
**პოპური** ... 3

ნუგზარ ზაზანაშვილი
**ლექსები** ... 6

მაია სარიშვილი
**მოთხრობები** ... 8

სილვია პლათი
**"ზარი - ძოთანი"** ... 22

ხულიო კორტასარი
**ედგარ პოს ცხოვრება** ... 26

მარგარეტ ეტვუდი
**პირველი გაკვირვება** ... 30


## ნიცშეს საუკუნე


ზაალ დგებუაძე
**უკანასკნელი ადამიანი** ... 9

ერიკ ბლონდელი
**თანამედროვე ადამიანმა ბუნების ტრაგიკული კანონი დაკარგა** ... 12

ბერტრან რასელი
**ნიცშე** ... 12

ფილიპ სოლერსი
**ნიცშე ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფრანგი მწერალია!** ... 16

ლუ ანდრეას-სალომე
**ფრიდრიხ ნიცშე მისი შემოქმედების სარკეში** ... 16

ბერნარ ედელმანი
**ნიცშე თხემით-ტერფამდე მატერიალისტია** ... 21


## პუბლიცისტიკა


აკაკი ბაქრაძე
**სტალინიადა** ... 34

ია ანთაძე
**რა ემუქრება საქართველოს დამოუკიდებლობას** ... 38

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა იათაშვილი

# „გაცვეთილი თაობა"

1. როგორ დაახასიათებდით პოსტსაბჭოთა პერიოდს ლიტერატურის განვითარების თვალსაზრისით, რა მოიპოვა ლიტერატურამ და რა აბრკოლებს მას.
2. როგორ წარმოგიდგენიათ ლიტერატურული ცხოვრების პერსპექტიული ფორმები.
3. რას ფიქრობთ საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის საკითხზე.
4. უკანასკნელ წლებში საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალი თაობა გამოჩნდა (პოლიტიკოსები, მეწარმეები, მწერლები). რა აზრის ხართ მასზე.
5. როგორ წარმოგიდგენიათ ლიტერატურის როლი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებაში.
6. თქვენი აზრით, როგორი იქნება 21-ე საუკუნის საქართველო და ქართული ლიტერატურა.

1. ვფიქრობ, შეკითხვაში ქართული ლიტერატურის პოსტსაბჭოთა პერიოდს გულისხმობთ, და ისედაც, ასეც რომ არ იყოს, მე მაინც ამ პერიოდის ქართული ლიტერატურით შემოვიფარგლები, რადგან მთელს პოსტსაბჭოურ სივრცეში მიმდინარე პროცესების ანალიზი ჩემს შესაძლებლობებს აღემატება. ოღონდ თავიდანვე ერთ დაზუსტებას გავაკეთებ: ჩემი აზრით, ქართული პოსტსაბჭოთა პერიოდის განხილვა საჭიროა „პერესტროიკისდროინდელ" პერიოდთან ერთად, ვინაიდან 90-იან წლებში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესს 80-იანი წლების მეორე ნახევარში მომხდარმა ძვრებმა ჩაუყარა საფუძველი. თუმცა, ისიც აშკარაა, რომ ვთქვათ, 1985 წლის ყველაზე რადიკალური და ნოვატორული ნაწარმოებების ესთეტიკა ხშირ შემთხვევაში პრინციპულადაც კი განსხვავდება, ვთქვათ, 1999 წლის ლიტერატურული ექსპერიმენტების ესთეტიკისგან. ეს, რა თქმა უნდა, გასახარია, რადგან დინამიკის მაჩვენებელია. ხოლო შეკითხვაზე, თუ რამ გამოიწვია ასეთი არსებითი ხასიათის ცვლილებები, ჩემი პასუხი, ერთი შეხედვით, სქემატური და ზედაპირული იქნება, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ მოცემულ პრობლემაზე ამ რაკურსიდან დაკვირვება ბევრ რამეს მოგვცემს.

ყოველთვის ცდილობდნენ ახალი თაობისთვის, მით უმეტეს, თუ ის განსაკუთრებული თვისებებით გამოირჩეოდა, რაიმე სახელი შეერქმიათ. ასე გაჩნდა „გაბრაზებული თაობა", „გატეხილი (გაბზარული, დამსხვრეული) თაობა", „დაკარგული თაობა" და ა.შ. ნათლიაობის ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე, თქვენს შეკითხვას რომ ჩავუფიქრდი, ამ ახალ (ჩემს) თაობას „გაცვეთილი თაობა" ვუწოდე.

სხვაობის საინტერესო მაჩვენებელი კი, ჩემი აზრით ისაა, რომ 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში ქართული ლიტერატურის განახლება ძირითადად პოეზიის საშუალებით ხდებოდა და ამ თაობის ესთეტიკაც ძირითადად პოეზიაში დაფიქსირდა, ხოლო 90-იანი წლების მეორე ნახევარში წამყვანი პოზიცია უკვე პროზამ და პროზაიკოსებმა დაიკავეს.

დღევანდელი გადასახედიდან XX საუკუნის ეს ზემოთნახსენები „პოეტური" პერიოდი, მე, საერთოდ, ერთ-ერთ ყველაზე რევოლუციურ ეტაპად მიმაჩნია ქართული პოეზიის განვითარების გზაზე. ცხადია, ეს აფეთქება თავისთავად ვერ მოხდებოდა, იგი რაღაცამ შეამზადა და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ, გარკვეულწილად, მისი შემამზადებელი 60-იანი წლები იყო. ლია სტურუას, ბესიკ ხარანაულის პოეზიამ და კიდევ რამდენიმე პოეტის შემოქმედების ნაწილმა მკითხველის და მომავალი ავტორების თვალში პოეზიის არსი, მისი ბუნება, მისი შესაძლებლობების დიაპაზონი მნიშვნელოვნად გააფართოვა. რა თქმა უნდა, XX საუკუნის ქართულ პოეზიაში ამის პრეცენდენტი, ოღონდ უფრო სხვანაირი (დადაისტურ-ფუტურისტული ტიპის), ადრეც, 20-30-იან წლებშიც იყო, მაგრამ ამ გამოცდილებას 60-იანი წლების პოეზიასთან ორგანული კავშირი გაწყვეტილი ჰქონდა. მნიშვნელოვანი ის იყო, რომ 60-იანელები საუკუნის დასაწყისის მოდერნისტულ-ავანგარდული გამოცდილების გახსენებას და განახლებას კი არ შეუდგნენ, არამედ ევროპულ, მსოფლიო პოეზიაში არსებული სულ სხვა გამოცდილების ქართულ ნიადაგზე დანერგვას მიჰყვეს ხელი. ახალ პოეტურ ფორმებზე, მეტაფორულ აზროვნებაზე აქცენტის გაკეთებამ (გავიხსენოთ, რომ იმდროინდელ დომინანტურ პატრიოტულ-პათეტიკურ პოეზიაში მეტაფორული აზროვნება მეტისმეტად მწირი იყო) თანდათან შედეგი გამოიღო და ქართულ ცნობიერებაში არსებულმა პოეზიის ვიწრო გაგებამ გაფართოება და ასე თუ ისე ადეკვატურ პარამეტრებამდე მიღწევა იწყო. 70-იანი წლები ამას დასჭირდა და ამიტომაც 60-იანელ რევოლუციონერებთან შედარებით 70-იანელები მათ ჩრდილში მოექცნენ, ერთგვარ გარდამავალ ხიდად იქცნენ. სამაგიეროდ, 80-იან წლებში, როცა ცნობიერ თუ არაცნობიერ დონეზე მოხდა საუკუნის დასაწყისის გამოცდილების გახსენება, მისი სინთეზი 60-70-იანელების მიერ უკვე კარგად დამუშავებულ ესთეტიკასთან და თანაც „პერესტროიკის" მეშვეობით აქამდე ტაბუირებული უამრავი უაღრესად საჭირო ტექსტის აქტიურად ჩართვა ახალთაობელთა შემოქმედებით პროცესში, ქართული პოეტური პროდუქციის სახე თვისობრივად შეიცვალა. ფორმისეულ განახლებასთან ერთად მოხდა პრობლემატიკის გახსნა და გაფართოებაც.

ის პოეტური თაობა, რომელიც სულ რამდენიმე წლის წინ მოვიდა ან სულაც სწორედ ამ წუთას მოდის, რაღაცით მაგონებს 70-იანელებს, რომელთაც 60-იანელთა მონაპოვრის კარგად ათვისება და პოეტურ სივრცეში მისი საბოლოოდ და მყარად დამკვიდრება დაავალა ისტორიამ. მათ მიერ ხდება დაახლოებით 1985-95 წლებში დამუშავებული ესთეტიკით მანიპულირება, მისი დახვეწა, გამდიდრება, რაც აუცილებელია და ბოლომდე უნდა იქნას მიყვანილი, მაგრამ ქართული ლიტერატურის განვითარების თვალსაზრისით ამჟამად ყველაზე საინტერესო პროცესები პროზაში მიმდინარეობს. თუკი ზემოთ აღწერილი რევოლუციური „პოეტური პერიოდის" განმსაზღვრელი ნიშანი მაინც მოდერნულობა იყო, ახლახან დაწყებული „პროზაული პერიოდის" განმსაზღვრელ ნიშანს პოსტმოდერნულობა წარმოადგენს. ბევრს ასეთი ტიპის ლიტერატურისადმი უარყოფითი თუ არა ამბივალენტური დამოკიდებულება მაინც აქვს და პირადად მეც, არ მიმაჩნია, რომ თუნდაც მაღალხარისხოვანი ასეთი ნაწარმოებების მოზღვავება ლიტერატურის „აყვავება-

საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე" მიანიშნებს, მაგრამ ფაქტია, რომ, ქართული პროზა ამ სახის პროდუქციამ საკმაოდ გადაახალისა და ბევრი კომპლექსიც მოუხსნა მას. უფრო თვალსაჩინოდ რომ დავინახოთ "პერესტროიკიდან" დღევანდელობამდე მიმდინარე ერთიანი ლიტერატურული პროცესის დიაპაზონი, კარგი იქნება ერთ ბოლოში წარმოვიდგინოთ, ვთქვათ, დავით ჩიხლაძის, კარლო კაჭარავას, ბადრი გუგუშვილის პოეზია, ხოლო მეორე ბოლოში აკა მორჩილაძის, ლაშა ბუღაძის, დავით ქართველიშვილის პროზა. აი, ამ პოლუსებს შორის ვხედავ მე იმ ბევრ რამეს, რაც მოიპოვა ქართულმა ლიტერატურამ პოსტსაბჭოთა (და "პერესტროიკისდროინდელ") პერიოდში. ხოლო თუ რა აბრკოლებს მას, ამაზე პასუხის გაცემას მომდევნო შეკითხვებში შევეცდები.

2. მიუხედავად მრავალმხრივ საინტერესო ლიტერატურული პროცესისა, ლიტერატურული ცხოვრების ჯერ კიდევ იმდენად უპერსპექტივო ფორმებში ვართ ჩაძირულნი, რომ პერსპექტიულ ფორმებზე ფიქრი წყლის ნაყვადაც კი შეიძლება გამოჩნდეს. ის, რომ ერთი-ორი პროგრესული, გემოვნებიანი ლიტერატურული გამოცემა არსებობს, სადაც ჯერ კიდევ შეიძლება დაბეჭდო შენი ნაწარმოებები და ამის გამო სირცხვილით არ გაწითლდე, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოში ლიტერატურული ცხოვრების პერსპექტიული ფორმები მკვიდრდება. ეს უბრალოდ დრომ მოიტანა და სამწუხაროდ მოიტანა მხოლოდ მინიმუმი იმისა, რისი მოტანაც კი შეეძლო. ასეთი გამოცემები 80-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული, რეგულარულად არსებობდა და ხშირად უფრო რადიკალური, უფრო მაღალპროფესიული და უფრო მკაფიოდ გამოხატული პოზიციისაც კი იყო, ვიდრე ბევრი დღევანდელი ვითომპროგრესული გამოცემა. ხოლო თუ დღევანდელ ლიტერატურულ თავყრილობებს და აქციებს იმ პერიოდის ლიტერატურულ თავყრილობებს და აქციებს შევადარებთ, ისინი საერთოდაც, შეიძლება ძველის შარჟად მოგვეჩვენოს. საერთო დონემ, პასუხისმგებლობამ გაცილებით იკლო. მაშინდელი ჭეშმარიტი მეამბოხური სული ფსევდომეამბოხურმა ატმოსფერომ და ამ ატმოსფეროს შემქმნელმა ნეოკონფორმისტებმა შეცვალეს. მასმედიას თითქმის არ აინტერესებს ლიტერატურა და დაკავებულია ან სრულიად მოძველებული ყაიდის ბჟუტურით, ან რამდენიმე ამორჩეული ავტორის ყოვლად დაუღალავი რეკლამირებით. აშკარად ჩანს, რომ არის მცდელობა, მოხდეს საბჭოური მოდელის გამეორება და მწერალთა ისეთი კასტის ჩამოყალიბება, რომელთა წარმომადგენლები რიგითი მოქალაქის თვალში დღევანდელი და მომავალი საქართველოს "სასიქადულო მწერლებად" აღიქმებიან. თუ ამ ყველაფერს დავამატებთ რეაქციულობითა და პროვინციალიზმით გაჟღენთილ "მოწივწივე" დიდ ჯგუფს, ცხადი გახდება, რომ ლიტერატურული თანაცხოვრების პერსპექტიულ ფორმებზე ოცნებაც კი მეტად ძნელი ხდება. და მაინც, ქართული ლიტერატურული სამყაროს ოდნავ მაინც გამოჯანმრთელება შესაძლებლად მიმაჩნია იმ შემთხვევაში, თუ გაჩნდება საკმაოდ ძლიერი, მაღალი პროფესიონალიზმისა და ობიექტურობის მქონე, რომელიმე ლიტერატურულ სექტას არდაქვემდებარებული ფენა კრიტიკოსებისა, რომელიც მიადევნებს თვალს მთელს ლიტერატურულ პროცესს, შეაფასებს ახალ წიგნებს, გააკონტროლებს ლიტერატურული პრემიების კომიტეტების მუშაობას, მოკლედ, იდგება ლიტერატურულ კინკლაობაზე მაღლა და ლიტერატურულ სამყაროშიც და საზოგადოებაშიც ექნება ავტორიტეტი. ანუ, საჭიროა იმის მოხერხება, რაც მოახერხეს რუსებმა, თუმცა რუსეთში ამას ხელი შეუწყო იმან, რომ ამ პროცესში ჩაებნენ არა მხოლოდ უშუალოდ ლიტერატორები და ფილოლოგები, არამედ ფილოსოფოსები, კულტუროლოგები, ხელოვნებათმცოდნეები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები, ჰუმანიტარული დარგის სპეციალისტები... საქართველოში კი ეს ადამიანები რატომღაც ქედმაღლურად უყურებენ ლიტერატურას. ისინი გამუდმებით მსჯელობენ კინემატოგრაფზე, თეატრზე, ვიზუალურ ხელოვნებაზე (რომ არაფერი ვთქვათ პოლიტიკაზე), მაგრამ რატომღაც თანამედროვე ქართული ლიტერატურა არ მიაჩნიათ ისეთ რამედ, რაზეც ენერგიის დახარჯვა ღირს.

გაზეთი "ალტერნატივა" ორი წლის განმავლობაში ცდილობდა ამ ყველაზე მწვავე პრობლემის მოგვარებაში თავისი წვლილის შეტანას და სწორედ ამ მაგალითზე კარგად გამოჩნდა, რომ მიუხედავად უზარმაზარი ძალისხმევისა, ძალიან ძნელია, დღეს საქართველოში ლიტერატურის ანალიზით დააინტერესო ის ადამიანები, ვისაც ამის პოტენცია გააჩნია. ამიტომაცაა, რომ სამწუხაროდ, ზემოთ დახატული სურათი თითქმის უტოპიურად მიმაჩნია და ვფიქრობ, რომ უახლოეს მომავალში მაინც ლიტერატურული ცხოვრება უპერსპექტივო ფორმებით გაგრძელდება.

**ხშირად ლიტერატურა დიდ როლს თამაშობდა ისეთი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებაში, რაც მერე დამღუპველი ხდებოდა არა მხოლოდ თავად ლიტერატურისთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის. ამ ანკესს არცთუ იშვიათად დიდი მწერლებიც კი წამოეგებოდნენ ხოლმე და დაშვებული შეცდომების გაცნობიერება ხშირად მათთვის ტრაგიკულად სრულდებოდა.**

3. ალბათ არსებობს ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის რაღაც ქვედა ზღვარი, სადამდეც ადამიანს შეიძლება აინტერესებდეს ასეთი საკითხები, მაგრამ როდესაც ქვეყანა ამ ზღვარს ჩასცდება, იწყება სრული აპათია. ვფიქრობ, ამჟამად საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ასეთი აპათიის მდგომარეობაშია. ბევრი არც ცდილობს გაიაზროს ამ აპათიის მიზეზი, იმდენად ცხადი და გასაგები ჰგონია იგი, მაგრამ თუ მიზეზს მაინც ჩავუკვირდებით, აღმოჩნდება, რომ თუნდაც იმავე პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი ერთი მუჭა პოლიტიკოსებისა და მაფიოზების მერკანტილურ ინტერესებამდე დადის. რატომაა დღეს საქართველო დასავლური ორიენტაციის მომხრე? იმიტომ ხომ არა, რომ კრედიტებს, გრანტებს, ჰუმანიტარულ დახმარებებს, საქველმოქმედო თანხებს დღეს ყველაზე უხვად დასავლეთი გამოყოფს? იმიტომ ხომ არა, რომ დასავლური ორიენტაციის შემთხვევაში მეტი მაყუთის "მოტეხვის", მეტად გამდიდრების და გალაღების საშუალება ეძლევათ იმათ, ვის ხელშიცაა ეს თანხები? დარწმუნებული ვარ, უცებ რომ გაჩნდეს შესაძლებლობა, რომ საქართველომ ჩინეთიდან ათჯერ მეტი ასეთი "მოტეხვადი" თანხა მიიღოს, მაშინათვე ყველა მაღალი ტრიბუნიდან ალაპარაკდება უფრო "მომგებიან" ჩინურ ორიენტაციაზე.

ვიღაცამ შეიძლება მისაყვედუროს, რომ მწერალს არ მეკადრება ასე მსჯელობა, მაგრამ რა ვქნა, თუკი არ მჯერა, რომ სურვილის შემთხვევაში არ შეიძლებოდა ამდენი ხნის განმავლობაში და ამოდენა კრედიტების მეშვეობით თუნდაც ენერგეტიკული კრიზისის ოდნავ მაინც დაძლევა, არ შეიძლებოდა იმ შეურაცხმყოფელი ხელფასების გაზრდა თუ არა, დროზე მაინც დარიგება... ძალიან არ მინდა, პოპულისტივით ვილაპარაკო, მაგრამ რეალურად, საქართველოში გლობალური საკითხების მოგვარება ვერანაირად ვერ უწყობს ხელს კონკრეტული საკითხების მოგვარებას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც მგონი, უკვე სრული გამოუვალობის ნიშანია.

4. ყოველთვის ცდილობდნენ ახალი თაობისთვის, მით უმეტეს, თუ ის განსაკუთრებული თვისებებით გამოირჩეოდა, რაიმე სახელი შეერქმიათ. ასე გაჩნდა "გაბრაზებული თაობა", "გატეხილი (გაბზარული, დამსხვრეული) თაობა", "დაკარგული თაობა" და ა.შ. ნათლიაობის ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე, თქვენს შეკითხვას რომ ჩავუფიქრდი, ამ ახალ (ჩემს) თაობას "გაცვეთილი თაობა" ვუწოდე. და იცით რატომ? გაბრაზებული შეიძლება დაამშვიდო, გატეხილი (გაბზარული, დამსხვრეული) შეიძლება შეაწებო, დაკარგული იპოვო, მაგრამ გაცვეთილს ვეღარაფერს უშველი. გაცვეთილი ისეთი რამაა, რაც შეიძლება კიდევ ძალიან დიდხანს ვარგისი იყოს, მაგრამ ძველი თვისებები, სიმტკიცე, სიხასხასე აღარასოდეს დაუბრუნდება. ეს გაცვეთილობა კი გამოიწვია ფსიქოლოგიური, მორალური, ფიზიკური ხასიათის იმ დაძაბულობებმა, რომელიც წლების განმავლობაში გრძელდებოდა და რომელსაც საბჭოურ სკოლაში გაზრდილი ბავშვები არასაბჭოურ ადამიანებად უნდა ჩამოეყალიბებინა. ბევრმა ეს მაინც ვერ შეძლო და კვაზისაბჭოურ ადამიანად დარჩა, ხოლო ვინც შეძლო, ეს ძლიერი "ცვეთის" ხარჯზე მოახერხა. ელემენტარულად, ამ გარდამავალ პერიოდში ისე დიდი იყო დაბნეულობა, რომ თქვენს შეკითხვაში ჩამოთვლილი საქმიანობები (პოლიტიკა, მეწარმეობა, ლიტერატურა (ზოგადად ხელოვნება)) ბევრმა უკლებლივ მოსინჯა. ერთეულ შემთხვევებში ასეთი რამ ყოველთვის ხდება, მაგრამ ამჯერად ამას გლობალური ხასიათი მიეცა. პოლიტიკიდან ბიზნესში, ბიზნესიდან ხელოვნებაში, ხელოვნებიდან ისევ პოლიტიკაში და ასე, დაუსრულებლად... რა თქმა უნდა, ამან უზარმაზარი გამოცდილება მოიტანა, შეცდომებზე ნასწავლი გამოცდილება, მაგრამ ამ გამოცდილებასთან ერთად შეძენილი გაცვეთილობა, ჩემი აზრით, არის ის, რის გამოც ამ თაობას მოუწევს, ძალიან მალე სადავეები მომდევნო, ნაკლებგაცვეთილ თაობას გადააბაროს.

5. უფრო ერის ჩამოყალიბებაში წარმომიდგენია... რაც შეეხება სახელმწიფოს, ყველაზე უფრო ნათელ და განუმეორებელ მაგალითად აშშ მეჩვენება. ალბათ იმიტომ, რომ ამერიკელი ერი არ არსებობდა და ლიტერატურას ერი კი არა, პირდაპირ სახელმწიფო უნდა შეექმნა. და შექმნა კიდეც! სულ რაღაც 2 საუკუნეში ასეთი დიადი ლიტერატურა რომ არ შობილიყო, ალბათ ვერც ჩამოყალიბდებოდა ასეთი სახელმწიფო. აშშ ედგარ პომ, ჰერმან მელვილმა, მარკ ტვენმა, უოლტ უიტმენმა, ტომას ვულფმა, ერნესტ ჰემინგუეიმ, უილიამ ფოლკნერმა, ჯეკ კერუაკმა და კიდევ ბევრმა ასეთმა დიდმა მწერალმა შექმნა. თვით ერთი შეხედვით ისეთი ანტისახელმწიფოებრივი რომანიც კი, როგორიც კერუაკის "გზაში"-ა, სინამდვილეში ამერიკის სახელმწიფოებრიობას ხვეწდა და აუმჯობესებდა...

თუმცა არსებობს უამრავი ნეგატიური მაგალითიც. ხშირად ლიტერატურა დიდ როლს თამაშობდა ისეთი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებაში, რაც მერე დამღუპველი ხდებოდა არა მხოლოდ თავად ლიტერატურისთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის. ამ ანკესს არცთუ იშვიათად დიდი მწერლებიც კი წამოეგებოდნენ ხოლმე და დაშვებული შეცდომების გაცნობიერება ხშირად მათთვის ტრაგიკულად სრულდებოდა. მაგალითისათვის მაიაკოვსკის თვითმკვლელობის გახსენებაც ალბათ საკმარისი იქნება.

რაც შეეხება დღევანდელ საქართველოს, მე პირადად, არავითარი სურვილი არა მაქვს ჩემმა შემოქმედებამ რაიმე წვლილი შეიტანოს მისი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებაში, თუკი ყველაფერი ისე გაგრძელდა, როგორც ახლა მიმდინარეობს...

6. კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო...



დავით ქართველიშვილი

# პოპური




წარსდგა ერმოლოვთან - მოხილვა - ვიზიტ.

ყოჩალად, ოოო გამეტებით სთხლიშა ქუსლს ქუსლი - ჰაიგიდი! აკი ურჩიეს მეგობრულად: დაერტყა ჩექმებზე დეზები - ჩაისვარა ხმამა ვეჟო.

- შტაბს-კაპიტანი მაჩაბელი გამოცხადდა.

- თავისუფლად.

დაიფრქვა. ეპითეტებით. მეტაფორებით შეამკო, მორთო ერმოლოვი. ზაფხული იდგა - ბიბინებდა სიტყვა (ხარფუხელი კოსტასიც - შუშა კიტრიიი)

მაშ - ცხელა.

აივანზედ გავიდნენ.

- დაბრძანდით - სთხოვს, ითხოვს ერმოლოვი.

ჯდება თვითონ.

მაჩაბელიცა.

სავარძლებში სხედან ჰხედავა?

ერმოლოვი: პეტერბურგში ვგზავნი გრიბოედოვს. მისსია.

მაჩაბელი: ქრისტიანული ალაგაა. უპირველესი.

ერმოლოვი: შვილივით მიყვარს სანდრი.

მაჩაბელი: ცნობილია.

ერომოლოვი: მსურს გაჰყვე.

მაჩაბელი: (დგება, იჯგიმება) ვემსახურები იმპერიას!

- შვილო - გაინტიმურდა ერმოლოვი - დააკვირდი სანდოს. ადევნე თვალი. მომწერე რა, ვით.

- არის მოგწეროთ რა, ვით - დებს პირობას შტაბს-კაპიტანი. ჯაშუში (ქართველი).

ნუთუ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

***

სამსახური მჭირდება. სამუშაო. ძაან მჭირდება ჯამაათო (ინტერაქტიური გამოკითხვა: მჭირდება - 96%. არ მჭირდება - 4%). ამორჩეულიცა მაქვს ადგილი (სუფთა, ნათელი), სკამი (ლბილი).

დედაჩემი: მანდ ძნელია.

გიორგი: (ჩემი ძმა) ყუჩადაა.

მამა აღარაა, ფა-ფუ. დაიკარგა ცაში.

დავერივარ ბიჭი-ბორიო. აქეთ-იქით მიმოვდივარ. ვყიალობ.

ნელი, შოთა - ნათესავი, მეგობარი - მეხმარებიან ესენი. ანა ჩალიჩობს სხვა მიმართულებით (ჟურნალიზმისთვის პარდონ). აბა ჰე და აბა ჰო, უშველეთ დათუნია დრუნჩასა. დაგეისევდიანდა. მელანქოლიაა.

***

ჯერ არ. ჯერ არ. ჯერ არ. ადრეა. ცივა. ამბობს ილია.

აფერხებს არტურ ლაისტს - ჩაჩნეთში ჰსურს ასვლა. იქაურობის მონახულება უნდა, შეთვალიერება. ილიას სთხოვა ესერამ საქმეში პარტნიორობა. მიიღო დასტური. ოღონდ ჯერ არ. ჯერ არ. ჯერ არ. ადრეა. ცივა.

ფეხსითრევს. ტკეპნის ერთ ადგილს - ჰბრაზობს ნემეცი. ბრალს სდებს (მყვა რა ესეცა ზოლა, იმ დროს მოდური ემილ).

ჩაჩნეთში მოხვედრის სურვილი არტურისა სიჭაბუკისდროინდელია, ძველთაგან მოსდევს. არქაიკა.

მოქმედების ადგილი - ბრესლაუს უნივერსიტეტის კოხტა სკვერი, შეყვარებულთა ნავთსაყუდელი (ნუ. ნუ მკოცნი ხელისმოწერამდე).

ჰყავს გოგო ამორჩეული არტურს. თვალავს. სდევს.

- მაშ მამათქვენი, ნადეჟდა პეტროვნა, პოლკოვნიკია, ჩაჩნეთში მსახურობს. თქვენ აქ ხართ ბრესლაუში. სწავლობთ. დედა?

- გარდაიცვალა ციებით. ბუნდოვნად მახსოვს - მზერა ეძაბება გოგოს. ტვინით გამოიხმო დედის სახე - ცისფერი თვალები ჰქონდა, ფუმფულა ლოყები დედას.

- თქვენებრ - ჩურჩულებს არტური. ხელები მუხლებზე უწყვია - მიყვარხართ ნადენკა.

- მე. მე. ვიფიქრებ ჰერ ლაისტ.

დიოდენ დღენი. გოგონა სდუმდა - ერთხელაც, შავდაუკულმა ის დღე, მივიდა არტურთან. ქაღალდი აჩვენა.

- მე რუსული არ ვიცი ნადენკა - წითლდება. თავს ჰხრის.

- წერილია მამაჩემისგან, ჩაჩნეთში ჩასვლას მთხოვს, ავადაა. აუფიდერზეინ ჰერ ლაისტ. ხელი გაუწოდა. სწვდა არტური ხელსა - პუ!

მონოლოგისტობს არტური, თავისთვის, გულში:

ჩაჩნეთშია აწცა კვლავ ნადენკა, ლაზარეთში აქიმადა დგას.

ეს კი (ილიას უყურებს) ადრეა. ცივაო (ვიცნობდე კავკაზს მაინც). ზაფხულს ელის, სიცხეს. თიბათვის მზევ მო ჩქარე...

***

უდიდესი ყურადღება სიზმრებისადმი, ვიმახსოვრებ. ვფურცლავ წიგნებს. იქ ახსნაა:

დანიელი - მაიმედებს, ფროიდი - უზრდელი ვირიშვილი, განვედ ჩემგან. შვეიცარიელი იუნგი - ნეიტრალურია.

არ დაიკარგება შენნაირი ბიჭიო - მეუბნება მკითხავი ზეინაბი. ჰაი. ღმერთმა გისმინოსო. თვალები უბრწყინავს დედაჩემს, აცეცებს ამ ბოლო დროს.

ნერვები შვილო.

სიზმრებს არა უშავს, ა, გუშლამინდელი: სავარძელში ვზივარ. ჰგუობს უშბა-მკერდი მიკროფონს. ოთხცალ ღირსების ორდენს (კიდევ აიტანს)!

- ოთხჯერ ღირსეულო ბატონო დავით, თქვენი ჰობი? - მეკითხება ჟურნალისტი გოგო. მუხლები ულაპლაპებს.

- სიყვარული გენაცვალე. მიყვარს მაგალითად, პროზა, საქართველო მიყვარს. მუხლი მაგარი აქვს. სოფლად გამოზარდეს.

მოდისა გამო აყრანტალებს.

- და ღმერთი?

- ღმერთი რა თქმა უნდა არსებობს, არის.

***

წლევანდელი მანა ჩემია!




დირექტორის კაბინეტიდან გამოვიდა. ჰერი, ჰერი სარედაქტოროსკენ.

შეაღო კარი.

- ჩეჩნეთში მივდივარ - გაშალა სამივლინებო ფურცელი.

- ალლაჰ შენთან - ამბობს რედაქტორი (დიდ ჰონორარს მოხევს ვირისთავი).

შური ჰო, შავ-თეთრი.

***

დაცვა უყენია სახლთან საakaშვილს. ჯიხურში სხედან ოყლაყები. ისე მიყურებენ, აი ეჭვით. მემარცხენე - ცაცია-რადიკალი ტერორისტი ვგონივარ ამათ ალბათ. სთხზავენ წერილებს გუნებაში უკვე - დედიჯან პატრონი ვიხსენი აბა, ბინას მომცემენ მგონია.

ჩამოგიყვან დედი ქალაქში, ირანულ რჩხია ფლოსტებს გიყიდი. ბოღმა დააღრჩობს ჩვენ განაყარ ბიძაშვილებს, დედი-ვადილაო.

ჟვანიასაც - ც-ოო? წყეული გრამატიკა დიდო სპიკერო. ტყვიის ღირსი ვარ. არა.

თავში არა. არა. ცოდო ვარ, ცოდო - იცავენ.

რკინის ქალამნებს ჩავიცმევ და შევარდნაძესთან ავალ. მაღლა ცხოვრობს კრწანისში (შენთან ედუარდ მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა).

უარს მეტყვის?

შიმშილობას გამოვაცხადებ, ჰო, შიმშილობას.

არ გაუწყრება ღმერთი. დემოკრატია, ტოლერანტი. მიმიღებს:

**Чай - мой выбор.**

ოტროველასავით პირდაპირ ვეტყვი: მოდი და რასა ჰკარგავ, დამნიშნე დეპარტამენტის უფროსად, ჰა! ბატონო პრეზიდენტო, გქონდეთ იმედი. ჰედ ენდ შოლდერს (თავი და მხრები).

მაბია!

***

მის უდიდებულესობა გენერალ ერმოლოვისადმი:

მაჩაბელი გეხმიანებით, შტაბს-კაპიტანი. (ქართველი).

ღმერთმან დასწყევლოს იმპერიის ჩვენის მტრები. ჩაჩნებზე მოგახსენებთ. ხეპრე მთიელნი. შამილი ძაღლისმჩორი.

დაგვესხნენ. დავყარეთ იარაღი. თავები შევინარჩუნეთ. გვემუქრებოდნენ უპჯულონი, გვაგინებდნენ. დაგვსხეს ქოხში, აშ-

მორებულ საფუნეში გენერალო, მოგვიკეტეს კარი. ცხრაკლიტული.

დაბლა ხევი, ზევით ნახე რა ცაა. ესაა რაცაა, რო სჩანდა ქვეყნისა იქიდამ. (მწირი პეიზაჟია - ასკვნის ერმოლოვი. წერილს უბრუნდება. ჰკითხულობს).

მოყაყანე - ფორტისიმო - ტომია ესე ჩაჩნები. მოძრავი, ჰყარან.

ცხვრები ჰყავთ. უამრავი ცხვარი. ფარები. მოპეტელე საკლავი თქვენო უდიდებულესობავ!

(ეთნოგრაფი - დუდღუნებს ერმოლოვი).

ცხვრით ვიკვებებოდით. მოჰქონდა ალუს, ზედამხედველსა ნატიტყნი ხორცი, პური კიდევ და წყალი ტოლჩებით. უგემური, დუბელა წყალი, მღვრიე.

ჭამა-სმამ ესემ დამაავადა - ფაღარათი - მომიშალა კუჭი.

(სუბიექტური ალმური! - ტუჩს ითრევს ერმოლოვი ქვედას. ჰღეჭს).

სანდრი - ყოჩაღი მაგრად სდგას. სწყევლის ბარბაროსთა.

(ძალიან კარგი, ძალიან კარგი! - ზეიმობს ერმოლოვი. ქომაგი იყო მათი. გახდა მაწყევარი, შეიქნა. სიტყვა სიტყვაა. პირობა - პირობა. სამი ცხენი და ოცი თოფი ჩემზეა შამილ!.. მომდევნო წინადადებები ცალი თვალით ჩაიკითხა. ყასიდად. უკანასკნელ აბზაცს მიადგა - დასერიოზულდა. დადინჯდა - აითვისა, გაიაზრა).

გამოვაღწიეთ. დაჭრილი გრიბოედოვი ლაზარეთში გადავიყვანეთ, იქვე ეზოში, მუხის ქვეშ გავშალეთ სუფრა. თამადობა ჩვენს მხსნელს, კაზაკთა ატამანს დავუთმე.

ივარგა.

ადიდა იმპერატორი -

ღმერთმაც!

* * *

დედა წყნეთში ავიდა ნელისთან - მოაგარაკე. ჰაერს ჩაყლაპავს. დაისვენებს.

გიორგი - ჩემი ძმა - absent. დადის ქუჩა-ქუჩა.

ანას ვიბარებ. მოდის.

ჰო, ახლა შენც ზევით და მეც ზევით. ვიხარჯებით.

ვწევართ. ვაბოლებთ ქანცგაცლილნი.

ანა: სამსახურის ვარიანტია.

ყურებს ვცქვეტ. (ღმერთო ოღონდ ჩარჩობა არა!)

მიხსნის. განმიმარტავს.

ვდგები, გავდივარ. არის ამ სახლში სხვა ოთახებიც. ციცქნები. ფართოები.

* * *

მუხასთან შეჩერდნენ. არტურმა სთხოვა - ილია ბატონო, აქ მომიცადეთ.

ილია დასთანხმდა უსიტყვოდ. გაიფიქრა - ბალღი.

დაიძრა არტური, ამოძრავდა გეზი - ლაზარეთისკენ. მეკარე მიესალმა. თავი მოჰხარა, წელში მოიკაკვა. გზა მისცა.

ძვირფასად ეცვა არტურს. საგანგებოდ.

დარჩა ილია მუხასთან. გრილოში. ეზო დაალივერა. ცარიელი იყო. არსად კაცი. მხოლოდ ჭიშკართან იწვა ნაგაზი. მრისხანე აუა.

კავკასიაში ყოველივე ჯიშიანია: კაცი, ძაღლი, ფრინველი, ბანოვანი, ბანოვანნიც, მაგრამ მე სიფრიფანა ჩრდილოელი ქალები მომწონს უფროის. გაახსენდა: მადმუაზელ ჩაიკოვსკაია. ხანმოკლე აშიკობა, რომანი პლატონური მასთან. აკლდა გამბედაობა.

მაშინ.

მისი ძმა ცნობილი კომპოზიტორია ახლა. ევროპა ასრულებს მისსა თხზულებებს.

შორს წავიდა მამათმავალი, მსოფლიო აალაპარაკა.

მიეყრდნო მუხას ილია. გაუსვა ზურგი.

მთებში ვართ ჩაკეტილნი. იყვირე გინაც, ამაოა - ჩაილაპარაკა.

* * *

ანა ტელეფონში: ხვალ მიდი. (მკარნახობს მისამართს)...

შეიბ ჰალსტუხი დავით.

* * *

პატივცემულო ტელემაყურებლებო, განვაგრძობთ გადაცემათ ციკლს ჩეჩნეთი.

თქვენ კადრში ხედავთ ჰოსპიტალს. XIX საუკუნის დასაწყისში აუშენებია ის იმპერატორის ბრძანებით გერმანელ არქიტექტორს, გვარად ჰოფმანს.

დღეს აქ წითელი ჯვრის ოფისია. მოდის ხალხი მთხოვნელი.

ჩვენ გავესაუბრეთ რამოდენიმე მათგანს, გთავაზობთ ჩანაწერს.

(ეკრანზე ჩნდება დედაკაცი ფუმფულა).

- ომი საშინელებაა, დაამთავრეთ!

(დედაკაცს ცქნაფა გოგო სცვლის).

- მე სურს თამაში, გართობა.

(ვხედავთ ჟურნალისტს).

- ახლა კი ძვირფასო ტელემაყურებლებო მოუსმინეთ გაეროს წარმომადგენელს.

(კაცის სიფათი - ზანგია):

- მსოფლიო საზოგადოება ძალებს არ იშურებს იმისთვის, რომ აქ ჩეჩნეთში (ოპერატორს გამოჰყავს კადრი: რესპოდენტი და ინტერვიუერი მუხის ქვეშ დგანან, მერე სხვა პეიზაჟებსაც აშანშხვალებს ჩეჩნეთისას, შარაგზა და გადაღმა) დამყარდეს მშვიდობა. მოვუწოდებთ დაპირისპირებულ მხარეებს დასხდნენ მოსალაპარაკებელ მაგიდასთან. Thank you!

(ბრდღვიალდება წარწერა)

რეკლამა

* * *

დამკვეთი: მაშ ასე, დავით ძმაო, საზღვარზე ჩეჩნები გადაგიყვანენ. წითელი ჯვრის კაცთან დაგაკონტაქტებენ, მისმენ?

მე: დ..ახ.

დამკვეთი: ის მოგცემს მედიკამენტებს. არ დაგიმალავ ძმაო, ზოგიერთი ნარკოტიკია...

მე (დამფრთხალი): ქსივა მექნება?

დამკვეთი: გექნება. დაბრუნებისთანავე ათას დოლარს დაიჯიბებ. არაა ცუდი ფეხისქირა. რას იტყვი?

მე: არაა რათქმაუნდა.

ფინელი ტიმი მანქანას ტვირთავს.

მე მუხის ქვეშ ვდგავარ - მომე მუხა რკო. მერქანს ვჩხაჩნი ჯიბის დანით.

კრიპტოგრამა 

დასასრული

2000 წ.

**არილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნუგზარ ზაზანაშვილი

## კოვზები

*გაუგზავნელი წერილებიდან*

დღემდე ყურადღება არ მიმიქცევია - მხოლოდ ახლა დავუფიქრდი: რატომ ვირჩევ ხოლმე, აი, ამ უმარტივეს, უტრადიციულეს, ვერცხლისფერ კოვზებს და თავს ვარიდებ, აი, იმ - უფრო მომცრო, მეტად დახვეწილ, ოდნავ სახელურდაკბილულ, შიგა მხარეს ოქროსფრად მოვარაყებულებს - ვერცხლისფერებისაგან განსხვავებით, ხელოვნების ნიმუშის აშკარა ელფერი რომ დაჰკრავთ?..

დღემდე ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ ახლა ნათლად ვიხსენებ - ასე იყო მუდამ. მაინც რატომ?.. ესეც მახსოვს: ოქროსფერები, ცოტათი თევზებს რომ წააგავენ, პატარა მწვანე ყუთში კოხტად ჩაწყობილები, ვიღაცამ გვაჩუქა.

რატომ?.. იქნებ იმიტომ, რომ ოქროსფერები მკვდარ თევზებს მივამსგავსე? ან იმის გამო, რომ არ მახსოვს - როდის, საიდან გაჩნდნენ ჩვენი ძველი სახლის განჯინაში ვერცხლისფერები - რძის მსუქანი ბოთლისა და თევზის ქონით სავსე, გამხდარი ბოთლის გვერდით... ვერცხლისფერები უფრო მომრგვალოა, მიწიერია, დედობრივია...

ფოტოსურათზე: პატარა ეზოში - ახლად შეფოთლილი თუთის ხე, ტოტზე - მოშინაურებული მტრედი **"Гуля"**... მეზობლის ქერათმიანი, მწვანე (კატის)თვალება, გამხდარი ქალიშვილი და მომრგვალო მე - მოკლე შარვალში, თეთრი კაზური ქუდით... მერე პატარა სახლის პატარა ოთახში სახლობანას ვთამაშობთ და რატომღაც თვალი და ხელი მისი სხეულის რბილი ადგილებისკენ გამირბის, მაინცდამაინც რბილი ადგილებისკენ. ვერ ვხვდები - რა მიზიდავს... უბრალოდ მომწონს, მსიამოვნებს... მერე დიდ ფინჯნებში რძიან კაკაოს გვისხამენ და ვერცხლისფერი კოვზებით ვიყრით შაქარს... თუმცა, ვის ახსოვს რამე დანამდვილებით?



## დინება

ვგრძნობ
როგორც ძარღვებში სისხლის დინებას
რა მშვიდად
რა მოზომილად
რა დაჟინებით მოედინება
ხსოვნა უხსოვარ წყაროსთვალიდან

ვგრძნობ
როგორც დაღლას ან როგორც ტკივილს
რამდენი ტანჯვის
სასოწარკვეთის
სიცოცხლის ფასად მოედინება
ხსოვნა უხსოვარ წყაროსთვალიდან

ვგრძნობ
როგორც თოვლის ფიფქს ხელისგულზე დაცემულს
რომ წვეთი ვარ
მხოლოდ წვეთი
და რომ წვეთი წვეთს ერთვის
და რომ ასე მოედინება
ხსოვნა უხსოვარ წყაროსთვალიდან

ვეჭვობ
თუკი მოედინება
ხსოვნა უხსოვარ წყაროსთვალიდან
განა შეიძლება შესართავი არ არსებობდეს?

## ჯადო

ჯადო - რამ ჩვეულებრივი,
რამ უჩვეულო - ჯადო

რაღა თქმა უნდა
მთავარი დამნაშავეა ვაშლი

მზე ჩადის ზღვაში
ცეცხლი წყალს ერთვის
ჩამავალი მზის სხივებს ირეკლავს
ოქროსფრად ბზინავს შენი სხეული
და მე შეგცქერი აღტაცებული

აგრილდა
ოდნავ აგეხორკლა კანი
და ერთი ბეწო ხორკლებს შორის
ზლაზვნით გზას იკვლევს ზღვის მლაშე წვეთი
და მე შეგცქერი გაოგნებული

უთეთრეს კბილებს წითელ ვაშლს ასობ
და რა თქმა უნდა
მთავარი დამნაშავე ვაშლია
და მე შეგცქერი ვნებააშლილი

ჯადო - რამ ჩვეულებრივი
რამ უჩვეულო - ჯადო
რამ პირველყოფილი
ბუნებრივი
სრულიად ბუნებრივი
მანკიერამდე ბუნებრივი
მშვენიერი
სხეულებრივი.

## ზამთრის პირზე

ნუთუ მხოლოდ ასე უნდა მომხდარიყო,
მხოლოდ ასე:
მხოლოდ ამ გზაზე უნდა გვევლო,
მხოლოდ აქ შეიძლება მოვსულიყავით, -
მაშ რის მაქნისია ჩემი არჩევანი,
ჩემი ნება?..
ფოთლები ჭკნება.

თუ მხოლოდ ასე უნდა მომხდარიყო:
მხოლოდ ამ გზაზე უნდა გვევლო,
მხოლოდ აქ შეიძლება მოვსულიყავით, -
მაშ რად ვერ ვისწავლეთ სიყვარული,
სინანული?

იქნებ ნისლია თუ ეჭვია მიზეზი ყოვლის?
ვინ იცის ეს გზა სადამდე მივა?
ფოთლები ჭკნება,
ფოთლები ცვივა
და ალბათ ისევ ფოთოლცვენას მოჰყვება თოვლი.

## ახალწლის ღამე

სარკესთან ირგებს ციცქნა გოგო -
ახალი წელი -
კაბას - ფიფქიან-მაქმანებიანს...
კარგია - ვინმე როდესაც გელის,
კარგია - სადმე როცა გელიან,
წრფელი ღიმილით გეგებებიან,
ჭიქას გაწვდიან სითბოთი სავსეს,
თვლემს სავარძელში ტკბილად ბებია...
და იბადება იმედი ასე.

## ოდა ნარცისიზმს

მაინც რაღაცით ყველა ჰგავს ნარცისს:
ლამაზიც, უშნოც, კეთილიც, ავიც,
აი, ის თითქოსდა გულგრილი კაციც,
ისიც - ვითომ რომ სძულს თავის თავი.

შეჰყურებს სარკეს და ვერ ხვდება,
რა აქვს საერთო ამ სახის არასწორ ნაკვთებთან,
უხეშ თმასთან,
უპროპორციოდ გრძელ ხელებთან?
ის ხომ სხვაა, სულ სხვა,
რომელიც დაეძებს სიყვარულს,
დაეძებს ყველგან, დაეძებს დღემუდამ:
ზოგიერთმა მაინც ხომ უნდა იცნოს ის,
თუნდაც ერთმა ხომ უნდა იგრძნოს ის -
არა, ის კი არა, სარკიდან რომ შესცქერის,
მეორე - სულ სხვა, ნამდვილი -
და შეუყვარდეს...
ანდა... შეებრალოს მაინც...

და ბრუნავს, ბრუნავს დედამიწა,
შეჰყურებს ცის სარკეს და ვერ ხვდება,
რა აქვს საერთო ამ -
გველებივით დაკლაკნილი კალაპოტებით დასერილ -
უსწორმასწორო, დანაოჭებულ მთებთან,
დანაპრალებულ ყინულოვან ველებთან,
უსიცოცხლო უდაბნოებთან,
ჯოჯოხეთურ ვულკანებთან?
და ბრუნავს,
მოძრაობს,
გრძელდება.

## AEQUILIBRIUM

სიტყვა ჰგავს მხოლოდ სიტყვას
სიტყვა სხვა სიტყვას არ ჰგავს
მე ყველა სიტყვა მიყვარს
ვეძებ
ვპოულობ
ვკარგავ

მშვენიერი სიტყვაა
მომხიბლავი სიტყვაა
მომაჯადოებელი სიტყვაა
AEQUILIBRIUM

AEQUILIBRIUM
ვერცხლის გველი და ოქროს ობობა
AEQUILIBRIUM
მისწრაფება ყოველთა მისწრაფებათა
AEQUILIBRIUM
უდაბნოში ქარავანის მირაჟი
AEQUILIBRIUM
პირობა ყოვლის უპირობობა
AEQUILIBRIUM
ვარსკვლავების სოკოებივით შეგროვება მყინვარწვერიდან
AEQUILIBRIUM
წარსულის წარსული უწარსულობა
AEQUILIBRIUM
სიმონ ჩიქოვანი გასაწყვეტ თოკზე

AEQUILIBRIUM
მომაჯადოებელი სიტყვა
AEQUILIBRIUM
მომხიბლავი სიტყვა
AEQUILIBRIUM



მშვენიერი სიტყვა
AEQUILIBRIUM
სიტყვა
AEQUILIBRIUM
სიჩუმე

## საუკუნიდან საუკუნეში

ვიცი -
ყოველი პირობითია, მოჩვენებითი:
ამ შემოდგომის ფოთლების ფერებიც,
ნაწვიმარი მიწის სურნელიც,
ფანჯრის ჩარჩოს სწორკუთხოვნებაც,
ვიოლინოს ტანის სიგლუვეც,
ბგერაც სიმის გაწყვეტისას რომ გაისმის,
დროის დინებაც,
საუკუნეთა მიჯნაც...

ვიცი... მაგრამ რა შეღავათია -
ცოდნა ერთია, სხვაა ნუგეში.
ვიცი და მაინც მიჭირს გადასვლა
საუკუნიდან საუკუნეში.

ალბათ იმიტომ, რომ მეჩვენება -
თითქოს აქეთ რჩებიან:
ჩემი თბილისი...
წინაპართა პატარა სახლი ვარანცოვზე...
პირველი სიყვარული...
პირველი ლექსი...
1991-ის აპრილი...
თამაზი, ალეკო, გია, ვახო, ლევანი...

ალბათ იმის გამოც, რომ მელანდება -
ვითომდა იქით მელიან
INTERNET,
E-mail,
Proposals & Reports,
Reports & Proposals,
სიბერე
და აღსასრული (შესაძლოა - სიბერის გარეშეც).

ვიცი -
ყოფნა-არყოფნაც პირობითია, მოჩვენებითი
და ყველაფერი არაფრად ღირს.
ვიცი
არსებამ, ადამიანს რომ ეძახიან,
არსებამ, ვინაც უამრავი რამ იცის,
მაგრამ ვერ ხვდება -
რისთვის შეიგრძნობს ამ უსარგებლო რამეებს:
შემოდგომის ფოთლების ფერებს,
ნაწვიმარი მიწის სურნელს,
ვიოლინოს ტანის სიგლუვეს,
ბგერას, სიმის გაწყვეტისას რომ გაისმის,
იმ სახლის მშობლიურ სითბოს და მყუდროებას,
რომლის ალაგას დიდი ხანია, სხვა სახლი დგას,
ჩამქრალ სიყვარულს,
დაუწერელი ლექსების სუნთქვას,
თავისსავე გამოგონილ საუკუნეთა მიჯნას...

არ ვიცი

და ვხუჭავ თვალებს - ვხედავ უჩინარს
და არ მეთმობა წყალი ჩავლილი.
ფეხს ვითრევ... მაგრამ ბავშვივით ურჩობს
ცოდვათმთავარი - ცნობისწადილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაია სარიშვილი

## მეც მინდა არფა!..

დარაჯმა მითხრა, წილებს მოგაშორებო. თავისუფალი იყო და იმიტომ მითხრა. მე კი ბუნების გაკვეთილიდან ვიყავი გამოგდებული, საქმე არც მე მქონდა და მშვიდად დავუდე მაგიდაზე თავი. „საიდან მიხვდა, რომ ტილები მყავს? ან რატომ არ მრცხვენია ნეტა?" – ვფიქრობდი და მეძინებოდა. ისიც კი მკითხა, როდის დაიბანეო ბოლოს თავი. კვირას. კვირაობით ვბანაობ-მეთქი. დამამთქნარა. მერე მომიყვა, რომ ქალიშვილს პატარა არფა უყიდა, რომ ახალი კაფელი გააკრა სამზარეულოში, რომ დაბადების დღე აქვს ორ თვეში და რომ ყოველდღე აკითხავს ყირგიზ ქმარს კუკიის სასაფლაოზე... მე კი დამავიწყდა ჩემი უთეთრსაყელო ფორმის კაბა, ფერისმჭამელებიანი ცხვირი, სამარცხვინო სამოსნობა და ბევრი სხვა უსიამოვნო რამ. ცხოვრებაში პირველად იყო, რომ ასე ყველაფერი ერთად დამავიწყდა და ცოტა დავიბენი. მაგრამ დაირეკა ამ დროს განსაკუთრებულად ცივი ზარი და მომეჩვენა, რომ ყინულის ნატეხები ჩამომისვეს მარცხენა ბეჭზე. „გძინავს?" - უყვირა დირექტორმა დარაჯს. ცერი, რომელიც წეღან ღილაკზე ეჭირა, თვალებთან მიუტანა. „რა გავალია შენ?" - კიდევ უყვირა და მგონი დაინახა კიდეც მაგიდაზე მოსეირნე მოზრდილი ტილი, რომელიც ჩემი სისხლით იყო გაძეძგილი. ღმერთო, რა განსაკუთრებულად უშნო ტილი იყო. რაღა მაინცდამაინც ეს გადმოხტა დირექტორის დასანახად?! სიკვდილამდე შემრცხვა და ისე მომინდა ვყოფილიყავი ან ქერა, ან ხუთოსანი, ან რამენაირი, რომ ყველაფერი მივატოვე და წამოვედი სახლში. სადარბაზოსთან სასწრაფო დახმარების მანქანა დამხვდა. თუ ამ ტლაპოს გადავახტები, დედასთან არ იქნება მოსული. ვერ გადავახტები, კიბეები სულმოუთქმელად ავირბინე და ღია კართან გავშეშდი. „ახლავე უნდა მოვიგონო ერთი კარგი რამე მაინც!" ვკვდებოდი, მძიმე სიბნელე ეშვებოდა ირგვლივ და უცებ გამახსენდა, რომ კანზე მკბენდა ექვსით ნაკლები ტილი...

## საუნჯე

ახლა შემოვა და მკითხავს: ბუზის საკლავი შენ გაგიტყდა? მე კი ვუპასუხებ: იცით? თქვენ თუთია გაკლიათ და იმიტომა გაქვთ ფრჩხილებზე თეთრი ლაქები. მერე მუშტს ვთხლიშავ შუბლში და გამეცინება გიჟივით.




აი, შემოდის.

- ბუზის საკ...
- დიახ. შემთხვევით...

ვიცოდე მაინც, ქალია თუ კაცი. ან რატომ ვცხოვრობთ ერთად. ან რატომ მერიდება თუ მეშინია ვთხოვო: ნუ შემჭრით თმებს... მორჩილად ვჯდები ყოველ დილას დაბალ სამფეხაზე და ფოლადის უშველებელი მაკრატელი ჯღჯღოხეთური ღრჭიალით გვაცალკევებს მე და ჩემს მწვანე თუ არ ვიცი, რაღაც არათმებისფერ სხივებს. ძალიან მიხდება - ვუღიმი აკორტნილი და მისი თვალებიდან ამოსისინებული თვითკმაყოფილებით ვიშხამები.

ის: მუქდება უკვე მწვანე.

მე: მალე თქვენსავით წაბლისფერი (განავლისფერი) თმები მექნება.

ის: დავლიოთ ახლა ჩაი.

ათი წუთის წინ ჩემს ოთახში შემოვიდა. ჩაის ლამაზი ჩანთა ფანჯრის რაფაზე შემოდო, თვითონ კი სადღაც გაუჩინარდა. მე მის ჩანთასთან მივდგი სკამი და მძიმედ დავესვენე, რადგან ვიგრძენი, რომ შიგ იდო რაღაც დიდი სასწაული! მთელი სიცოცხლე რომ ვეძებდი, სწორედ ის! მაგრამ ვერ გავხსენი. ვერც გავეკარე. უხმოდ ვიჯექი და ჩემს გამოკეტილ საუნჯეს დავტიროდი... მერე ამიძგერდა უკანა კბილი. ჩირქის მოზრდილი ფისტულა მაქვს ფესვზე. ავდექი. აბაზანაში შევედი. წყალი უაზროდ მოვუშვი და დავკეტე ისევ...

## ველადონური ისტორია

სიგიჟეა ტერუს ნავსადგურიდან ველადონის ნავსადგურში სამუშაოდ გადასვლა, მაგრამ როცა საქმე ჯანმრთელობას ეხება, იძულებული ხარ კომფორტი დათმო. ცოლ-ქმარიც ოთხნახევარ შვილთან ერთად ჩამოვიდა ამ უცნაურ ქალაქში და პირველი დღიდანვე ყველაფერი ჰქონდათ. მხოლოდ ამინდები იდგა გასაოცარი. მწერების საჭერი შხამიანი ფურცლები უფასოდ ეძლეოდათ ყოველ საღამოს და მოთმინებით ელოდნენ, როდის შეეგუებოდნენ იქაურობას. „ტელევიზორი დილა-საღამოს ორ-ორ არხს იჭერს და შუადღით - ერთს" - მიწერა კაცმა წერილში მამიდებს, რომლებმაც იგი გაზარდეს და ახლა მშვიდად ემზადებოდნენ დასახოცად. მეხუთე შვილზე ფეხმძიმე ქალი კი წერილებს არ წერდა. კვირაში სამჯერ უგემურ გუფთას აკეთებდა და ორ დღეში ერთხელ ან ერთ დღეში ორჯერ გული თუ რაღაც ტკიოდა ოდნავ.

ყოველ საღამოს ვარიგებ ამ შხამიან წებოვან ფურცლებს ნავსადგურში მომუშავეთათვის და ორი დღეა, რაც ეგენი არ მინახავს. ისევ ჯობია, თავი დამანებონ. კაცს კი არ ვიცნობ, მაგრამ ქალი საშინელი მზარეული და მძინარა ზარმაცია. დედაჩემი ასეთ ქალებს ფრილინდებს ეძახდა. ერთხელ, მოლოგინებამდე ორი დღით ადრე, წამლების საყიდლად გამოსულა (ავადმყოფი ჰყავთ სახლში ვიღაც) და გზად მომაკვდავი ხბო შეხვედრია. შემდეგ კაცები გაოგნებულები ყვებოდნენ, თუ როგორ მოუხსნია თეთრი წინსაფარი, ხბოს გახურებულ მუცელზე გადაუფენია, წამოწოლილა, დაუდია ზედ თავი და დაუძინია ღრმად.

„ტელევიზორი დილა-საღამოს ორ-ორ არხს იჭერს და შუადღით..." - მამიდები ერთმანეთს ჩაეხუტნენ და დაიხოცნენ თუ ჩაეძინათ.

ასე ცხრამეტი-ოცი წლის წინ მკვდარი ხბო მოასვენა მამამ სახლში და ისე შევშინდი, თითქოს სახე ძირს ჩამომივარდა. გახევებული ხბოს მუცლიდან რამდენიმე უფერული ყვავილი ამოზრდილიყო და გაოგნებული მამა მეორე დილამდის მხოლოდ ამას იმეორებდა: ჯადოქარი იყო ის ქალი თუ რა?!..

რომ იმშობიარა, ქალი ახლა შხამიანი ფურცლების დამრიგებელს გაჰყვა სახლში. ცოლად კი არა, ისე გაჰყვა. მაგრამ უგემურ გუფთას მაინც კვირაში სამჯერ აკეთებდა და ორ დღეში ერთხელ ან ერთ დღეში ორჯერ ისევ გული თუ რაღაც ტკიოდა ოდნავ.

# უკანასკნელი ადამიანი



1844 1900

ზაალ ღვებუაძე

კიდევ დადის შეშლილი დღისით-მზისით ფარნით ხელში და გაჰყვირის: "ღმერთს ვეძებ! ღმერთს ვეძებ!" ნამდვილად შეშლილის მეტი, ვინ იტყოდა ამ სიტყვებს: "ჩვენ მოვკალით იგი, თქვენ და მე! ყველანი მისი მკვლელები ვართ!"

შეშლილის მეტს, ვის ეყოფოდა გამბედაობა თუ კადნიერება ასე სააშკარაოდ ემხილა ყოფითობის (სადაც მკვდარია ღმერთი) ეს მეტაფიზიკა? "მოკვდა ღმერთი!" საიდან მოდის ეს ძახილი - კლასიკური ფილოლოგიის ერუდიციიდან ("დიდი პანი მოკვდა!"), თუ ცოცხალი, ყოველდღიური განცდა-გამოცდილებიდან?

ასი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დიდმა შეშლილმა დაასრულა თავისი სიცოცხლე. მაგრამ თუ შერჩა სიმძაფრე მის ძახილს?

თუ ვინმეს შეეძლო უფლისწულ ჰამლეტის შემდეგ კიდევ ეკისრა სახსრიდან ამოვარდნილი წუთისოფლის (თუ წუთისოფლის ამოვარდნილი სახსრის) გასწორება, ეს ნიცშე იყო. ის ჭაბუკობიდანვე შეუდგა სიზიფეს შრომას. იმ სიზიფემ ბოლომდე მაინც ააგორა (და განუწყვეტლივ აგორებდა) ლოდი და მწვერვალი დაანახა მას. ნიცშემ? ის დარჩა ბარად, ვერ აიტანა ლოდი. მისი შრომა განწირული იყო.

მან იტვირთა წინასწარმეტყველის ღვაწლი. მაგრამ ერთადერთი, რაც ახდა მის წინასწარმეტყველებებში, რომელთაც თ. მანი "საეჭვოს" უწოდებს, ეს არის მისი ნაწინასწარმეტყველევი თავის მომავალ (40 წლის შემდეგ) წარმატებაზე, რომლის შიმშილს ის მუდამ მტკივნეულად განიცდიდა. უღიარებელი გენია, რომლის ნაწერს არავინ კითხულობს! მეგობრებიც კი მდუმარედ ხვდებიან მისი წიგნების გამოქვეყნებას. რამდენად შორს არის ასეთი განწყობილება ჭეშმარიტი წინასწარმეტყველის ცნობიერებისგან! წინასწარმეტყველმა იცის, რომ მის სიტყვას არავინ შეისმენს და ეს სასოწარკვეთაში არ აგდებს მას, ის განაგრძობს წინასწარმეტყველებას.

ენაბრგვილი უნდა ვიყო, რომ მომისმინონ და მერწმუნონო? ამბობდა ის. მაგრამ იმ ენაბრგვილს, რომელიც არ ლაპარაკობდა საკუთარი ავტორიტეტით, ლამაზი და ხატოვანი სიტყვებისთვის როდი უსმენდნენ. "არა მარტო ტკბილ ხმათათვის".

არავის არც ერთ დროში ისე არ გამოუხატავს ეპოქა, როგორც ნიცშეს. არა მხოლოდ შემოქმედებით (ეს მის მიმართ ტრივიალური იქნებოდა), არამედ მთელი თავისი სულიერ-მშვინვიერ-ფიზიკური, თუნდაც, ფიზიოლოგიური არსებით. სასტიკმა (მისთვის, ჩვენთვის მშვიდმა) ეპოქამ დაღი დაასვა მის სხეულსაც. საუკუნის კრიზისი მის პიროვნულ ბედზე გადატყდა, მისი პირადი სასჯელი (კრისის "სასჯელი") შეიქმნა - ის სულით და ხორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ცით დაისაჯა. ეპოქამ დასაჯა ის და თავად მანაც განაჩენი გამოუტანა არა მხოლოდ თავის, არამედ ყველა ეპოქას. შეიძლება ასეც ვთქვათ, რომ მან იტვირთა, თუ მკრეხელობა (ის მიდიოდა მკრეხელობაზე) არ იქნება, საუკუნის, როგორც ერთი ეონის ცოდვები, პირდაპირ რომ ვთქვათ, წუთისოფლის ცოდვები. მისი შეშლილობა შეიძლება ამის დასტურიც იყოს. მისი შეშლილობა იმის ბოლომდე და ულმობელი გააზრებაა, თუ რას ნიშნავს არა მხოლოდ ყოფითად, არამედ მეტაფიზიკურად ღმერთის სიკვდილი, მაგრამ მან უარყო ყოველგვარი მეტაფიზიკა. თუმცა გერმანული კლასიკური ფილოსოფია, მიუხედავად მისი მისტიკური წარსულისა, ღრმა და მხურვალე რელიგიურობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ აღიარებდა მის სფეროს, მეტაფიზიკური სინამდვილისა და ჭეშმარიტების არსებობას. ნიცშემ სრულიად უარყო მეტაფიზიკა, თუმცა ეს უარყოფა არა გულგრილობის, არამედ ისევ და ისევ მხურვალე რელიგიურობის გამოხატულება იყო. თუ ღმერთი მოკვდა, ის არასოდეს არსებულა და ადამიანი, კაცობრიობა, თავისი დასაბამიდან იმ წამამდე, როცა ეს აღმოჩნდა, ილუზიებში ყოფილა გახვეული. თუ ღმერთი არ არის, ადამიანი შემთხვევითობაა და ეს შემთხვევითობა აუცილებლობაში უნდა გადაიზარდოს.

"ღმერთი მოკვდა" გულისხმობს ქრისტიანული ღმერთის, ერთარსება სამების, პიროვნული ღმერთის, ღმერთკაცის რეალობაში იმედგაცრუებას და მის შედეგად ევროპული ღირებულებების, განსაკუთრებით მორალის ("მთელი ჩვენი ევროპული მორალის"), ადამიანობის უკანასკნელი თავშესაფარის ნგრევას. ამ ნანგრევებშია ის მოყოლილი, მაგრამ ამას მოაქვს მისთვის დიდი სიხარული და შვება, თითქოს მძიმე ლოდისგან გათავისუფლებულიყოს. "ძველი ღმერთი მოკვდა!" - ეს მასში იწვევს "ახალი ცისკრის ვარსკვლავის" ამობრწყინების წინათგრძნობას.

მან გამოაცხადა ღმერთის სიკვდილი, მაგრამ უარყო რელიგია ან თავად ქრისტიანობა? მთელი მისი ფიქრები მიმართულია ახალი რელიგიის შექმნისაკენ. მისი მთავარი ჰუბრისი - მთელი ეპოქის ჟანყის გამოხატულებაა, რომელიც შეეჩვია იმ აზრს, რომ არათუ შესაძლებელია, ისტორიულად აუცილებელიც რელიგიის შეცვლა გონებით, რომლის ტრიუმფალური სვლის მომსწრე და მემკვიდრე თავად იყო.

ახალი რელიგიის შესაქმნელად ის უნდა დაპირისპირებოდა არსებულს, მრავალსაუკუნოვანს. ის იყო მისი მეტოქე, მისი ამბიციების ჩამამწარებელი. "მე იმათგანი ვარ, ვინც ღირებულებებს კარნახობს ათასწლეულობით". შეეძლო ეთქვა: "უკუნითი უკუნისამდე".

რას ნიშნავს სიტყვები: "მე უკანასკნელი ფილოსოფოსი ვარ, რადგან უკანასკნელი ადამიანი ვარ"? ხომ არ ნიშნავს ეს, რომ მისით უნდა დამთავრებულიყო ფილოსოფია და დაწყებულიყო ახალი რელიგია, დამთავრებულიყო ადამიანობა და ზეკაცობაში გადაზრდილიყო.

ის თავს ესხმის ქრისტიანობას, მაგრამ ერთ ნაბიჯსაც ვერ დგამს მის გარეშე. მისი "რევოლუცია" მხოლოდ ქრისტიანობის ფარგლებსა და წიაღში იყო შესაძლებელი.

ის ქმნის თავისებურად გაგებული ელინური წარმართობის, ქრისტიანობისა და დარვინიზმის რაღაც ნაზავს.

მისი ფილოლოგიური განათლებიდან მომდინარე მითოლოგიური იდეა "მარადი დაბრუნებისა" თითქოს ხორცშესხმას პოულობს სუბიექტურ გამოცდილებაში, რომელიც მას გამოცხადების ხარისხში აჰყავს. "ყოველი წამი ბრუნდება, ის ამბობს, ყოველი წამი მარადისობაა". მაგრამ ის ერთი კონკრეტული წამი იყო, მის თვალწინ, მის გონებაში ჩავლილი, რომელიც მან მომხდარის განმეორებად ჩათვალა. ეს შეიძლება ყოფილიყო გახშირებული პერსევერაციის შემთხვევები და ბოლოს ისეთი, როგორიც იშვიათად თუ სწვევია ჯანმრთელ ადამიანს. ამ "ფსიქოლოგიურ-მისტიკური" მოვლენის აღმოჩენაზე, რომელიც სურდა მას კაცობრიობისთვის ეხარებინა, დააფუძნა "მარადი დაბრუნების" მისტერია. რა არის ამ დაბრუნების შინაარსი? აი თურმე: "ოდესმე ჩვენ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს ამავე ვითარებაში, ეუბნება ის მეგობარს, რომელსაც გაუმხილა თავის" აღმოჩენა, მე ისევ ავად ვიქნები, თქვენ კვლავ გაიკვირვებთ ჩემს ლაპარაკს..." ყოფითის ავტომატური, უცვლელი განმეორება მარადი დაბრუნების მისტერიის ნაცვლად.

"ზარათუსტრა", როგორც ამბობენ, ჩაფიქრებული იყო ვაგნერზე შურის საძიებლად და, ამავდროულად, მეხუთე სახარებად. ვაგნერზე ის ამყარებდა იმედს, როგორც იმ ძველი ტრაგედიის განმაახლებელზე, რომელიც თითქოს სოკრატულმა კულტურამ ჩაკლა. რწმენით ევოლუციონისტს სჯეროდა, რომ ელინური მითოსი შეიძლება ისეთი გამძლე ყოფილიყო, რომ ახალი ევროპის კარიბჭემდე მოეღწია.

მას შემდეგ, რაც ვაგნერმა იმედები გაუცრუა ("ვაგნერი ცრუ გენიაა, მე ჭეშმარიტი გენია ვარ"), ურმიის ტბის მახლობლად დაბადებული მიდიელი ზარათუსტრას პირით ახალი რელიგიის ქადაგებას შეუდგა. რამ გამოიწვია ეს მიქცევა აღმოსავლეთისკენ? კლასიკური ფილოლოგიის ღალატი?

პასტორთა შთამომავალი ახსენებს ადამიანებს: "თქვენ გაიარეთ გზა მატლიდან ადამიანამდე, მაგრამ თქვენში ბევრი რამ დარჩა მატლისაგან. ოდესღაც თქვენ მაიმუნი იყავით და ჯერაც ადამიანი უფრო მაიმუნი, ვიდრე რომელიმე მაიმუნთაგანი". ადამიანი არის ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ცხოველი, რომლის მიზანი ზეკაცი უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



იყოს. არავის ეჭვი არ უნდა შეპარვოდა, რომ "ზეკაცი" ღმერთკაცის რეპლიკა იყო.

"ღმერთი მოკვდა: ახლა გვსურს, იცოცხლოს ზეკაცმა". ის უნდა იყოს, იქნება, "ერთადერთი და პირველი". ზეკაცი არის ადამიანის მიზეზიც და მიზანიც. ადამიანი ხიდია მხოლოდ. ადამიანი უნდა მოკვდეს, დაილუპოს ზეკაცში, უნდა განსრულდეს მასში. არავითარი ხსნა, მხოლოდ დალუპვა. ეს ადამიანი უნდა დაილუპოს. დალუპვა ენაცვლება ხსნას, გამოსყიდვას, ქრისტიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან, გადამწყვეტ დოგმატს. დალუპვა, დალუპვა, დალუპვა. ეს არის მისი სენტენციების თუ მოწოდებათა დაჟინებული დაბოლოება. პავლე მოციქული ამბობს, რომ ძველი ადამი უნდა მოკვდეს ქრისტეში, რათა გადარჩეს. ნიცშე კი: ადამიანი უნდა მოკვდეს ზეკაცში, დაილუპოს. ვინ არის ზეკაცი? როგორ გამოიყურება იგი? ვინ იხილა იგი? ზარათუსტრამ აჰურამაზდას გამოცხადებაში, შუაგულ მდინარეში თუ ნაპირზე გამოსვლისას, როცა საკუთარი ჩრდილი დაკარგა? გულუბრყვილობა იქნებოდა რომ ზეკაცი ჯანმრთელი, რელიგიურად საღი ცნობიერების გამოცხადებად მიგვეჩნია, ან მასში არ დაგვენახა ღმერთკაცის და, საზოგადოდ, ქრისტიანული ესქატოლოგიის და სოტერიოლოგიის პაროდია, თუ მისი გადმოპირქვავებული სახე.

მისი რელიგიური ფიქრები, მიუხედავად ძლიერი პოეტური გამოხატულებისა, დაღდასმულია XIX საუკუნის პოზიტივიზმით. განსაკუთრებით დარვინი აღმოჩნდა მისთვის (და მისი ეპოქისთვის) ფატალური თავისი ქვედამზიდველი თეორიით, რომელიც ეპოქის სულად და გულად იქცა, ახალი რელიგიის - კაცღმერთობის დოგმატად, უდიდეს აღფრთოვანებად და იმედად, რომ ამიერიდან ფარდა აეხდებოდა ადამიანის წარმოშობისა და მომავლის საიდუმლოს. მაგრამ თუ ოდესმე, რომელიმე ეპოქა უსასრულოდ დაშორებია ამ მიზანს, ეს სწორედ მისი დრო იყო. მან გადაუხადა დროს ხარკი და ამის გაცნობიერება მისთვის უმტკივნეულო არ ყოფილა: "მეტაფიზიკის უარმყოფელი ადამიანი თავგანწირულად უნდა იცავდეს თავს: რა საშინელია ამ ბრძოლაში ხელოვანის ამოცანა! აი, საშინელი შედეგი დარვინიზმისა, რომელსაც, სხვათა შორის, მე ვეთანხმები".

ნიცშეს რელიგიურ შემეცნებაში, მის ესქატოლოგიაში (ყოველი აზროვნება თავის ესქატოლოგიას ატარებს) სახეობათა წარმოქმნის ევოლუციური ეპოქა არ დასრულებულა. არ დასრულებულა არც დარვინისეულად, არც ონტოლოგიურად. ადამიანი ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა. მას აღშფოთებას გვრის ადამიანის დღევანდელი სახე, ეს სახეობა. რაკი ღმერთი მოკვდა, დარჩებოდა მასში მისი ხატი? ადამიანი აღარ არის ღვთის ხატი - ის წმინდაწყლის ბიოლოგიური არსებაა, რომელიც ელის ახალ სახეობაში გარდაქმნა-განსრულებას. ყველა არსებამ, იმეორებს ნიცშე დარვინის დოგმატს, თავისზე აღმატებული სახეობა შექმნა, მაგრამ ადამიანი დარჩა ადამიანად. და ის უნდა ელოდეს თავისზე აღმატებულს. სახეობა თავისზე უმჯობესს "არსებობისათვის ბრძოლაში" ქმნის და სხვა რა არის ნიცშეს მიერ წამოწეული და მერე გახმაურებული (დღემდე მომხიბვლელი) Wille zur Macht, თუ არა "არსებობისათვის ბრძოლა", საიდანაც დღევანდელი ადამიანის დალუპვით ზეკაცი იმარჯვებს?

რაღაც საშუალო დარვინსა და ქრისტიანობას შორის. ეს მხოლოდ მის ყოვლისმაძიებელ და ყოვლისმომცველობის მოსწრაფე გონებაში შეიძლება დაბადებულიყო - ამის წინათგრძნობა იყო ეპოქაში. ეს იყო მისთვის სინთეზი საუკუნის დასასრულს, საუკუნეთა მიჯნაზე.

ის ქადაგებდა ახალ რელიგიას - ზეკაცის მოსვლის, "ადვენტის" რელიგიას. მაგრამ ის ვერ გაექცეოდა არსებულს, ის მის ჩარჩოში და სიმბოლურ და ონტოლოგიურ მნიშვნელობათაგან დაცლილ ტერმინოლოგიაში ტრიალებდა. თუ ნიცშე აღიარებდა ქრისტიანობას იესოს გარეშე, ტრადიციისა თუ პიროვნული მიდრეკილების ძალით - ეს ქრისტიანობა, რომელიც შერჩა მას, იყო გამოშიგნული ქრისტიანობა - პიროვნული ღმერთის გარეშე, ცოდვის შეგნების გარეშე, სულის უკვდავების ("შენს სხეულს შენი სული დაასწრებს სიკვდილს"), რწმენის, გამოსყიდვის გარეშე, სასუფევლის, ყოველი ქმნილების ფერისცვალების, მეტაფიზიკის, მისტიკის, თუნდაც, მორალის გარეშე, ყველაფრის გარეშე, რაც ქრისტიანული მოძღვრების არსებით და საკუთრივ შინაარსს შეადგენს.

ქრისტიანობა ზეცისკენ, მარადიულობისკენ ახედებს ადამიანს ("რომელი ხარ ცათა შინა"), ნიცშე კი მოუწოდებს: "ერთგულნი იყავით მიწისა, ჩემო მეგობრებო". "სასაცილოა ჩვენთვის ადამიანის პრეტენზია, ეძებოს ისეთი ფასეულობანი, რომლებიც რეალური სამყაროს ფასეულობებს აღემატება". წარმოსახვითი "ზეკაცის - მიწის (მატერიალური სამყაროს, ზ.დ.) საზრისის" მახარებელი ზარათუსტრა მოუწოდებს ადამიანებს, ნუ ერწმუნებიან მათ, ვინც ზემიწიერ (ანუ ზეციურ) იმედებზე ელაპარაკებიან. ასევე აკავებდა გილგამეშს მეტაფიზიკურ საიდუმლოთა ძიებისგან ქალი სიდური, პოზიტივისტი, ამქვეყნიური "რელიგიის" მოქადაგე: "მარადიულ სიცოცხლეს, რომელსაც ეძიებ, გილგამეშ, ვერ მიაგნებ".

ფრიდრიხ ნიცშე - frater Fridericus, "ჯვარცმული", ტრაგიკული ფილოსოფოსი თუ ლირიკოსი, მარადი მსხემი, ახალი დიოგენი, უსამშობლოო, ბარიდან მთაში და მთიდან ბარად მოარული, კაცღმერთული რელიგიის პროფეტი, - კვლავ რჩება დიდ ცთომილად ევროპული აზროვნების კაბადონზე თუ მხოლოდ გერმანული პოეზიის ვარსკვლავად განაგრძობს ბრწყინვას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერიკ ბლონდელი

# თანამედროვე ადამიანმა ბუნების ტრაგიკული კანონი დაკარგა



თუ გნებავთ იცოდეთ, რატომ უნდა წაიკითხოთ დღეს ნიცშე და რას ნიშნავს "დღეს", მე სამ მნიშვნელოვან მიზეზს შემოგთავაზებდით: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ... გაზულუქებული იმედგაცრუება, რომელიც მრავალმა ულეტამ და გენოციდის ფენომენმა გამოკვება, ცხადყოფს, რომ დღევანდელმა ჩვენმა შეგნებამ უცბად აქცია ზურგი ყველანაირ მორალს, იდეოლოგიას ანუ ნიცშეს სიტყვებით რომ ვთქვათ, ბატონობს ნიჰილიზმის ერთგვარი ფორმა. პირველ მიზეზზე ნიცშე უცბად გასცემდა პასუხს, რადგან ახალ ცივილიზაციას იგი მორალის კულტურისგან განსხვავებულ სულ სხვა ლიბოზე აგებდა. მეორე მიზეზი მედიას მზარდი გავლენა და მისი ყოვლისშემძლეობაა. ამ თვალსაზრისით, ნიცშეს (თუმცა მას ჟურნალისტიკა ეჯავრებოდა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ მასში "ჯოგური გონის" მანიფესტაციას ხედავდა) თავისი კრიტიკული და არათანადროული ხედვით შეუძლია დახმარება გაგვიწიოს. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ნიცშე უაღრესი ყურადღებით ეკიდებოდა თავის დროებას, ოღონდ ძალიან კრიტიკულად. კერძოდ, ჩემი მხრივ, პირველ ყოვლისა, გამოვყოფდი (როგორც თვითონ უწოდებდა) "ახალი იდეების" ესთეტიკას - პროგრესი, მორალიზაცია, ბედნიერება. მესამე მიზეზი, ცხადია, ტექნიკის ყოვლისშემძლეობაა. ნიცშესთვის - რომელიც რუსო არ არის! - იგი ხელისშემშლელია, რასაც თანამედროვე კომენტატორები იშვიათად აპყრობენ ხოლმე ყურადღებას. ნიცშეს აზრით, თანამედროვე ადამიანმა დაკარგა, არ ვიტყვი დაძაბულობის გრძნობა - ნიცშე პეტენი არ არის! - მაგრამ ადამიანის არსისთვის აუცილებელი რამ - დათანხმდეს ტანჯვის გარკვეულ ფორმას. "სუსტი" ის არის, ვისაც ტანჯვა არ სურს. თანამედროვე ადამიანი თავისი ბედნიერების იდეოლოგიით, სადაც ყველაფერი იოლია, სადაც ყველაფერი შეიძლება, დაკარგა ბუნების ტრაგიკული კანონი. იგი განებივრდა, ველარ იტანს ავადმყოფობას, სიკვდილს, მოწყენილობას. იგი თავის სხეულსაც კი ველარ იტანს, იმიტომ, რომ სხეულმა შეიძლება წონაში მოიმატოს.

ფრანგულიდან თარგმნა

გია ბერაძე

არილი

ბერტრან რასელი



# ნიცშე

ნიცშე სამართლიანად მიიჩნევდა თავს შოპენჰაუერის მიმდევრად, მაგრამ ის ბევრი რამით მაღლა დგას შოპენჰაუერზე, განსაკუთრებით იმით, რომ მისი მოძღვრება თანმიმდევრული და არაწინააღმდეგობრივია. შოპენჰაუერისეული აღმოსავლური თვითუარყოფის ეთიკა ჰარმონიაში არ არის მისსავე ნების ყოვლისშემძლეობის მეტაფიზიკასთან. ნიცშესთვის კი ნება პირველადია არამარტო მეტაფიზიკურ, არამედ ეთიკურ პლანშიც.

ნიცშე უფრო ლიტერატურული ყაიდის ფილოსოფოსია, ვიდრე აკადემიური ყაიდის. მას არ შეუქმნია არავითარი ახალი სპეციალური თეორია ონტოლოგიაში თუ ეპისტემოლოგიაში. ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი უპირველესად მისი ეთიკაა, აგრეთვე მისი მძაფრი ისტორიული კრიტიკა.

ნიცშეს ძალიან უყვარდა ვაგნერი, მაგრამ ეჩხუბა მას ოპერა "პარსიფალის" დაწერის შემდეგ, რომელიც, მისი აზრით, მეტისმეტად ქრისტიანული იყო. ჩხუბის მერე ის სასტიკად ლანძღავდა ვაგნერს და საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მას ებრაელობა დასწამა. მაგრამ თავისი საერთო მსოფლმხედველობით ნიცშე მაინც ახლოს იყო ვაგნერთან, მის მუსიკალურ ციკლში - "ნიბელუნგების ბეჭედში" გამოხატულ მსოფლხედვასთან. ნიცშეს ზეკაცი ყოველმხრივ ზიგფრიდის მსგავსია...

თავისი თვითცნობიერებით ნიცშე არ ყოფილა რომანტიკოსი; ის ხშირად მკვეთრად აკრიტიკებს რომანტიკოსებს. მაგრამ, ამის მიუხედავად, მისი მსოფლმხედველობა დიდად არის დავალებული რომანტიკოსებისგან: ეს არის ბაირონული ტიპის არისტოკრატული ანარქიზმი და არავის გააკვირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებს, თუ ვიტყვი,რომ ნიცშე აღფრთოვანებული იყო ბაირონით. ნიცშე ცდილობდა, შეეერთებინა ორგვარი ფასეულობანი, რომლებიც ადვილად ვერ უთავსდებიან ერთმანეთს: ერთი მხრივ, მას იზიდავს შეუბრალებლობა, ომი, არისტოკრატული სიამაყე; მეორე მხრივ, მას უყვარს ფილოსოფია, ლიტერატურა, ხელოვნება, განსაკუთრებით მუსიკა. ისტორიულად ეს ფასეულობები აღორძინების ეპოქაში თანაარსებობდნენ... ბუნებრივია ნიცშეს შედარება მაკიაველისთან. ნიცშეს პოლიტიკის ფილოსოფია ანალოგიურია მაკიაველის "მთავარში" ჩამოყალიბებული პოლიტიკის ფილოსოფიის, თუმცა უფრო ფართოდ არის გააზრებული. როგორც ნიცშეს, ასევე მაკიაველის ეთიკა პოლიტიკური მიზანდასახულობის მქონეა და ხაზგასმულად ანტიქრისტიანულია (ნიცშესი უფრო მეტად). ნაპოლეონი ნიცშესთვის ისეთივე ფიგურა იყო, როგორიც ჩეზარე ბორჯია მაკიაველისთვის - დიდი ადამიანი, რომელიც პატარა მტრებმა დაამარცხეს.

რელიგიის და ფილოსოფიის ნიცშესეული კრიტიკა მთლიანად ეთიკური მოტივებით არის ნაკარნახევი. იგი აღტაცებულია ზოგიერთი თვისებით, რომელიც, მისი რწმენით, მხოლოდ არისტოკრატული უმცირესობისთვის შეიძლება იყოს დამახასიათებელი; უმრავლესობა მხოლოდ საშუალება უნდა იყოს უმცირესობის აღზევებისთვის, იგი არ უნდა ეპოტინებოდეს ბედნიერებას და კეთილდღეობას. ჩვეულებრივ, ნიცშე უბრალო ადამიანებს "ნაკლულებად და არასრულფასოვნებად" იხსენიებს და არ არის იმის წინააღმდეგი, რომ ისინი იტანჯებოდნენ, თუკი ეს დიდი ადამიანის მოვლინებისთვის არის აუცილებელი.

ნიცშეს ძალიან უყვარს პარადოქსები და რიგითი მკითხველის გაოგნება. მაგალითად, ის ამბობს, რომ შეცდომაა, ჩვენს მოვალეობად მივიჩნიოთ სიკეთის გამარჯვებისკენ და ბოროტების დამარცხებისკენ სწრაფვა. ეს წმინდა ინგლისური შეხედულებაა, ტიპიური "ბრიყვი ჯონ სტიუარტ მილისთვის" - ადამიანისთვის, რომლის მიმართაც ნიცშე განსაკუთრებულ ღვარძლს და ზიზღს ამჟღავნებდა. "მე მძულს იმ კაცის ვულგარულობა, რომელიც ამბობს: "რაც სწორია ერთი ადამიანისთვის, ის სხვებისთვისაც სწორია"; "არ გაუკეთო სხვას ის, რაც არ გინდა შენ გაგიკეთონ". ამ პრინციპების მომარჯვებით დიდი ხალისით დაამყარებდნენ ადამიანურ ურთიერთობას ერთმანეთისთვის სამსახურის გაწევაზე, ისე, რომ ყოველი ჩვენი ქმედება იქნებოდა სხვისი ქმედების ანაზღაურება. ეს ჰიპოთეზა უკიდურესად მდაბალია, რადგან გულისხმობს, რომ ჩემი და შენი ქმედებები ტოლფასია.

ჭეშმარიტი სათნოება, ჩვეულებრივისგან განსხვავებით, ყველასთვის არ არის მისაწვდომი, არ არის მომგებიანი, კეთილგონივრული, იგი მის მფლობელს აშორებს სხვა ადამიანებისგან, ზიანის მიმყენებელია დაბლა მდგომთათვის. უმაღლესი ადამიანები უნდა ეომებოდნენ მასებს და ეწინააღმდეგებოდნენ საუკუნის დემოკრატიულ ტენდენციებს, რადგან ყველა სფეროში საშუალო ადამიანები ერთიანდებიან, რათა გაბატონდნენ. "ყველაფერი, რაც გვანაზებს, გვარბილებს და "ხალხს" და "ქალს" წინ წაწევას უადვილებს, საყოველთაო საარჩევნო უფლებას ამკვიდრებს, არის "მდაბალი" ადამიანების ბატონობა". მაცდუნებელი იყო რუსო, რომელმაც ქალი საინტერესო გახადა, შემდეგ გამოჩნდა ჰარიეტ ბიჩერ-სტოუ თავისი მონებით, შემდეგ მოვიდნენ მუშების და ღარიბების მოსარჩლე სოციალისტები. ყოველივე ამის წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო... ნიცშე თანალმობას მიიჩნევდა სისუსტედ, რომელიც უნდა დაიძლიოს.

ნიცშე გმობს ქრისტიანობას იმის გამო, რომ ის ნერგავს "მონურ მორალს"... ქრისტიანობა ყველაზე ფატალური და დამღუპველი ტყუილია ისტორიაში. არც ერთი თვალსაჩინო პიროვნება არასდროს ყოფილა ქრისტიანულ იდეალს მიახლოებული - გავიხსენოთთ თუნდაც პლუტარქეს "ბიოგრაფიათა" გმირები. ქრისტიანობის დანაშაულია, რომ მან უარყო ისეთი ფასეულობები, როგორიცაა "სიამაყე, დისტანციის პათოსი, უდიდესი პასუხისმგებლობა, სიცოცხლის დაუოკებელი სიხარული, მშვენიერი მხეცურობა, ომის და დაპყრობის ინსტინქტები, ვნების, შურისგების, რისხვის, გრძნობადობის, რისკის და ცოდნის განდიდება". ყოველივე ეს თავისთავად კარგია, მაგრამ ქრისტიანობამ ბოროტებად გამოაცხადა, - ამტკიცებს ნიცშე.

ქრისტიანობა, მისი ფიქრით, ცდილობს მოათვინიეროს ადამიანის გული, მაგრამ ეს შეცდომაა. გარეულ მხეცს აქვს რაღაც დიდებულება, რომელსაც მოშინაურებისას კარგავს. დამნაშავეები, რომლებთანაც ურთიერთობა ჰქონდა დოსტოევსკის კატორღაში, მასზე უკეთესები იყვნენ, რადგან საკუთარ თავს უფრო სცემდნენ პატივს. ნიცშეს სძაგს ცოდვების მონანიება და გამოსყიდვა... მოვიყვან ნიცშეს აზრს პასკალის შესახებ, რომელიც განსაკუთრებით მკაფიოდ გვიჩვენებს მის უარყოფით დამოკიდებულებას ქრისტიანობისადმი. "რატომ ვებრძვით ქრისტიანობას? იმიტომ, რომ მას სურს დააუძლუროს ძლიერები, გატეხოს ისინი სულიერად, გამოიყენოს მათი დაღლილობის და სისუსტის მომენტები, აქციოს მათი ამაყი თავდაჯერებულობა ღელვად და შფოთვად; ვებრძვით იმის გამო, რომ მან იცის, როგორ მოწამლოს და დაასნებოვნოს უკეთილშობილესი ინსტინქტები და როგორ შეაბრუნოს ძლიერთა ძალა, ძალაუფლების ნება მათსავე წინააღმდეგ, ისე, რომ ძლიერები დაიღუპონ თავისი თავისადმი მეტისმეტი ზიზღისგან, ანუ თვითშეწირვა განახორციელონ - ამის ყველაზე ცნობილი მაგალითი პასკალის ბედია.

ქრისტიანი წმინდანის ადგილას ნიცშეს სურს იხილოს ის, ვისაც "კეთილშობილ" ადამიანს უწოდებს, ანუ მმართველი არისტოკრატი. "კეთილშობილ" ადამიანს შეუძლია იყოს სასტიკი და იმის ჩამდენი, რასაც ვულგარული ცნობიერება დანაშაულად აღიქვამს. მას მოვალეობის გრძნობა მარტო თავის თანასწორთა მიმართ აქვს...

რა აზრის შეიძლება ვიყოთ ნიცშეს მოძღვრებაზე? რამდენად ჭეშმარიტია ის? არის მასში რაიმე ობიექტური სიმართლე, თუ ეს მხოლოდ ავადმყოფის ფანტაზიებია ძალაუფლების თემაზე?

არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ნიცშეს გავლენა უზარმაზარი იყო, მაგრამ ეს გავლენა განიცადეს არა ფილოსოფოსებმა, არამედ ლიტერატორებმა და ხელოვანმა ხალხმა. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მისი წინასწარმეტყველებანი, ჯერჯერობით, უფრო სწორი გამოდგა, ვიდრე ლიბერალების და სოციალისტების პროგნოზები. თუ ნიცშე უბრალოდ ავადმყოფობის სიმპტომია, მაშინ ეს ავადმყოფობა ძალიან გავრცელებულია თანამედროვე სამყაროში. მაგრამ მაინც, ნიცშეში ბევრი რამ არის ისეთი, რაც უნდა უარვყოთ, როგორც განდიდების მანიის გამოვლინება. ის სპინოზაზე წერს: "რაოდენ სიმორცხვეს და ტკივილისადმი გადამეტებულ მგრძნობიარობას ამხელს ავადმყოფი განდეგილის ეს მასკარადი!" იგივე შეიძლება ითქვას თვით მასზეც. აშკარაა, რომ ოცნებაში მას თავი მეომრად წარმოედგინა და არა პროფესორად, ყველა პიროვნება, ვინც მას აღაფრთოვანებდა, სამხედრო იყო. მისი შეხედულება ქალებზე, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა მამაკაცის შეხედულება, იმის ობიექტივიზაციაა, რასაც ქალების მიმართ განიცდის, ანუ, ცხადია, შიშის. "როცა ქალთან მიდიხარ, მათრახის წაღება არ დაგავიწყდეს!" - ამბობდა ის, მაგრამ ათიდან ცხრა ქალი მას ამ მათრახს ხელიდან გამოგლეჯდა და მან ეს იცოდა. ამიტომ გაურბოდა ქალებს და თავის გალიზიანებულ თავმოყვარეობას ბოროტი სენტენციებით იამებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის გმობს ქრისტიანულ სიყვარულს იმის გამო, რომ შიშის ნაყოფად მიაჩნია: მე მეშინია, რომ ესა თუ ის ადამიანი მაწყენინებს, ამიტომ ვარწმუნებ მას, რომ მიყვარს. უფრო ძლიერი და გაბედული რომ ვიყო, არ დავუმალავდი ჩემს ზიზღს, რომელსაც მის მიმართ, რა თქმა უნდა, ვგრძნობ. ნიცშეს არ შეეძლო იმის წარმოდგენა, რომ ადამიანს შეიძლება გულწრფელად უყვარდეს მთელი კაცობრიობა, რადგან თვითონ სიძულვილით და შიშით იყო სავსე, რასაც ვერ ამჟღავნებდა, ქედმაღლური გულგრილობის ნიღბით ფარავდა. მისი “კეთილშობილი” ადამიანი, როგორიც თვითონ უნდოდა ყოფილიყო, მთლიანად დაცლილია თანალმობისგან, შეუბრალებელია, ეშმაკი და ბოროტია. ის მხოლოდ თავის ძალაუფლებაზე ფიქრობს...

ნიცშეს არასდროს მოსვლია თავში აზრად, რომ ძალაუფლებისკენ სწრაფვა, რომლითაც თავის ზეკაცს აღჭურავს, შიშისგან არის წარმოშობილი. ის, ვისაც არ ეშინია სხვების, ვერ ხედავს იმის აუცილებლობას, რომ იბატონოს მათზე. არ ეძებს ტკბობას მუსიკაში და ადამიანების ხოცვა-ჟლეტაში ნერონივით, რომლის გულიც იმავე დროს ამბოხების შიშით თრთის...

უნდა ვაღიაროთ, რომ არსებობს ქრისტიანული ეთიკის გარკვეული ტიპი, რომლის მიმართაც ნიცშეს მკაცრი კრიტიკა შეიძლება სამართლიანი იყოს. პასკალის და დოსტოევსკის სათნოებას რაღაც სისაწყლის იერი აქვს. პასკალმა თავისი შესანიშნავი მათემატიკური გონება ღმერთს შეწირა - სისასტიკე, რომელიც მან ღმერთს მიაწერა, სინამდვილეში თვით პასკალის სულიერი წამების კოსმიურად გაფართოებული უკუფენა იყო. დოსტოევსკი ათვალწუნებით უყურებდა ადამიანურ სიამაყეს. მას შეეძლო იმის გულისთვის ჩაედინა ცოდვა, რომ მოენანიებინა და აღსარების სიამოვნება განეცადა.

არ შევუდგები იმის გამოძიებას, რამდენად უნდა დაბრალდეს ასეთი გონების დაბნელება ქრისტიანობას, მაგრამ ვეთანხმები ნიცშეს, რომ დოსტოევსკის პროსტრაცია საძაგელია. მე იმასაც ვეთანხმები, რომ პირდაპირობა, სიამაყე და გარკვეული თვითდამკვიდრების უნარიც კი საუკეთესო ადამიანური თვისებებია. არ შეიძლება აღფრთოვანებას იწვევდეს სათნოება, რომელიც შიშიდან არის აღმოცენებული.

არსებობს ორგვარი წმინდანობა - ბუნებისმიერი და შიშით ნასაზრდოები. ბუნებისმიერი წმინდანი უშუალოდ და წრფელად უყვარს კაცობრიობა, ის სიკეთეს აკეთებს იმიტომ, რომ ეს სიხარულს განაცდევინებს. მოშიშარი წმინდანი, პირიქით იმ ადამიანს გავს, რომელიც არ ქურდობს პოლიციის შიშით და რომელსაც მხოლოდ ჯოჯოხეთის ცეცხლის და ადამიანების შურისგების მოლოდინი აკავებს უზნეობისგან. ნიცშეს შეეძლო წარმოედგინა მხოლოდ მეორე ტიპის წმინდანი: ის იმდენად იყო შეპყრობილი შიშით და სიძულვილით, რომ ადამიანებისადმი გულწრფელი სიყვარული შეუძლებლად ესახებოდა. მას ვერაფრით გაეგო, როგორ არ მიაყენებს სხვებს ტანჯვას ზეკაცური უშიშრობით და ჯიუტი სიამაყით აღჭურვილი ადამიანი იმიტომ, რომ არა აქვს ამის სურვილი. ვინ იფიქრებს, რომ ლინკოლნი ჯოჯოხეთში მოხვედრის შიშით იქცეოდა ისე, როგორც იქცეოდა? და მაინც, ნიცშეს თვალთახედვით, ლინკოლნი უბადრუკია, ნაპოლეონი კი დიდი.

...არსებობს სერიოზული პრაქტიკული არგუმენტები, რომ იმ მიზნების მიღწევის ცდას, რომლებსაც ნიცშე სახავდა, სინამდვილეში მოსალოდნელისგან სრულიად განსხვავებულ შედეგებამდე მივყავართ. შთამომავლობითი არისტოკრატია ჩვენს დროში დისკრედიტირებულია. არისტოკრატიის ერთადერთი პრაქტიკულად შესაძლებელი ფორმა არის ფაშისტური ან ნაცისტური პარტიის ტიპის ორგანიზაცია. იგი, თუნდაც ომში არ დამარცხდეს, უთუოდ მოგვევლინება პოლიციურ სახელმწიფოდ, რომელშიც მმართველები თავიდან ვერ იშორებენ შიშს, რომ მათ ამოხოცავენ, ხოლო გმირები საკონცენტრაციო ბანაკებში არიან გამომწყვდეული. ასეთ საზოგადოებაში ნდობა და პატიოსნება დაბეზღებებით არის შერყეული და ნანატრი ზეკაცთა არისტოკრატია ლაჩრების ხროვად არის გადაგვარებული.

მაგრამ ეს ჩვენი ეპოქის არგუმენტებია, მათ არ ექნებოდა ძალა წარსულში, როცა არისტოკრატული წყობის სამართლიანობა ეჭვს არ იწვევდა. ეგვიპტის ხელისუფლება რამდენიმე ათასწლეულის განმავლობაში მართავდა ქვეყანას ნიცშეს პრინციპებით. ამერიკულ და ფრანგულ რევოლუციებამდე თითქმის ყველა დიდი სახელმწიფო არტისტოკრატული იყო. ამიტომ უნდა ვკითხოთ საკუთარ თავს: გვაქვს თუ არა იმის მყარი საფუძველი, რომ დემოკრატია ვამჯობინოთ მმართველობის ფორმას, რომლის არსებობაც ასე ხანგრძლივი და ნაყოფიერი იყო. ანდა, რაკი ფილოსოფიაზე ვმსჯელობთ და არა პოლიტიკაზე, გვაქვს თუ არა ობიექტური საფუძველი, უარვყოთ ეთიკა, რომლის მეშვეობითაც ნიცშე არისტოკრატიას ამკვიდრებს.

ეთიკური საკითხი აქ თანაგრძნობის საკითხია. თანაგრძნობა გამოიხატება იმაში, რომ უბედური ხარ სხვისი ტანჯვის გამო და ეს ადამიანისთვის გარკვეულწილად ბუნებრივია. პატარა ბავშვებს გუნება უფუჭდებათ, როცა სხვა ბავშვების ტირილი ესმით. მაგრამ ეს გრძნობა ადამიანებს სხვადასხვანაირად უვითარდებათ. ზოგი სიამოვნებას პოვებს ადამიანების დატანჯვაში, სხვა, მაგალითად, ბუდა, ხვდება, რომ ვერ იქნება სავსებით ბედნიერი მანამდე, ვიდრე რომელიმე ცოცხალი არსება იტანჯება. ადამიანების უმრავლესობა ემოციურად ყოფს კაცობრიობას მტრებად და მოყვრებად და მოყვრებს თანაუგრძნობს, მტრებს კი - არა. ქრისტიანული და ბუდისტური ეთიკის ემოციური სუბსტანცია უნივერსალურ თანაგრძნობას მოიცავს, ნიცშეს ეთიკა კი თანაგრძნობას სრულიად მოკლებულია.

მოდით, დავსვათ კითხვა: თუ დისპუტს მოვაწყობთ ბუდას და ნიცშეს შორის, შეძლებს კი რომელიმე ისეთი არგუმენტის მოყვანას, მიუკერძოებელ მსმენელს რომ მოეწონოს? შეგვიძლია წარმოვისახოთ, რომ ორივე წარდ-



ერვინ როდე, ფ. ოვერბეკი და ნიცშე. 1871



გა უზენაესის წინაშე, სატანის მსგავსად იობის წიგნის პირველ თავში და რჩევებს აძლევენ მას, როგორი სამყარო უნდა შექმნას. რისი თქმა შეუძლია თითოეულ მათგანს?

ბუდა კამათს დაიწყებდა საუბრით კეთროვნებზე, უსახლკაროებზე და უბედურებზე; ის ილაპარაკებდა ღატაკებზე, რომლებსაც მუშაობისგან ხელები ტკივათ და მწირი საზრდოთი ძლივს ინარჩუნებენ მბჟუტავ სიცოცხლეს; ილაპარაკებდა ბრძოლებში დაჭრილებზე და მათ ნელ აგონიაზე, ობლებზე, რომლებსაც ცუდად ეპყრობიან სასტიკი მეურვეები და წარჩინებულ, აღზევებულ ადამიანებზეც, რომელთაც მოსალოდნელ კრახზე და სიკვდილზე ფიქრი არ ასვენებთ. ბუდა იტყოდა, რომ ამ უნუგეშო ყოფიდან თავისდახსნის გზაა მოსაძებნი და ასეთ გზად მხოლოდ სიყვარული შეიძლება მოგვევლინოს.

ნიცშე მარტო ღმერთის ყოვლისშემძლეობისთვის ანგარიშის გაწევის გამო არ გააწყვეტინებდა ბუდას. როცა ბუდა დაამთავრებდა, ის სადინარს მისცემდა თავის სიტყვიერ კასკადებს: "ადამიანო, შენ უფრო სქელკანიანი უნდა გახდე. რას ზლუქუნებ იმის გამო, რომ უბრალო ხალხი წვალობს, ანდა დიდი ადამიანები იტანჯებიან? უბრალო ხალხის წვალება ჩვეულებრივი და ულიძლამოა, დიდი ადამიანების ტანჯვა კი დიადია და, ამდენად, სინანულს არ უნდა იწვევდეს. შენი იდეალი მთლიანად უარყოფითია - ეს არის ტანჯვის სრული გაქრობა, რაც მხოლოდ არყოფნაშია შესაძლებელი. მე კი პოზიტიური იდეალი მაქვს. მე აღფრთოვანებული ვარ ალკიბიადეთი, ფრიდრიხ მეორით და ნაპოლეონით. ასეთი ადამიანების არსებობა ამართლებს ტანჯვას. ღმერთო, მოგმართავ, როგორც უდიდეს შემოქმედს, მხატვარს, არ დაუშვა, რომ შენი არტისტული ენთუზიაზმი ჩაახშოს ამ უბედური ფსიქოპათის დეგენერატულმა, ლაჩრულმა ლაყბობამ".

ბუდა, რომელმაც ზეცაში ყოფნისას მოასწრო დაუფლებოდა მეცნიერებას, ცოდნის მიმართ აღტაცებით აღსავსე და ადამიანების მიერ მისი არასწორი გამოყენებით დანაღვლიანებული, თავაზიანი სიმშვიდით პასუხობს ნიცშეს: "ცდებით, პროფესორო, თუ ფიქრობთ, რომ ჩემი იდეალი მხოლოდ უარყოფითია. ის მართლაც შეიცავს ნეგატიურ ელემენტს - ტანჯვის გაქრობას, მაგრამ მასში პოზიტიური მომენტებიც საკმაოდაა, არანაკლები, ვიდრე თქვენს მოძღვრებაში. თუმცა ალკიბიადე და ნაპოლეონი მაინცდამაინც არ აღმაფრთოვანებენ, მეც მყავს ჩემი გმირები: იესო, რომელიც ასწავლიდა ადამიანებს, ყვარებოდათ თავიანთი მტრები; პიროვნებები, რომლებმაც განჭვრიტეს, როგორ შეიძლება ბუნების ძალების მართვა და სარჩოს მოპოვების, შრომის გაადვილება; ექიმები, რომლებმაც მიაგნეს ავადმყოფობათა განკურნების საშუალებებს; პოეტები, არტისტები და მუსიკოსები, ღვთაებრივად შთაგონებულნი და ნეტარნი. სიყვარული, ცოდნა და სილამაზით ტკბობა ნეგაცია არ არის; ეს არის ის, რაც საკმარისია იმისთვის, რომ შინაარსით აღივსოს ყველაზე დიდი ადამიანების ცხოვრება დედამიწაზე".

- თქვენი სამყარო, - უპასუხებდა ნიცშე, - მაინც მტკნარი იქნებოდა. თქვენ უნდა შეისწავლოთ ჰერაკლიტეს შრომები, რომლებიც სრულად ზეციურ ბიბლიოთეკაში ინახება. თქვენი სიყვარული იგივე სიბრალულია, თანაგრძნობით აღძრული; თქვენი ჭეშმარიტება, პატიოსნად თუ ვილაპარაკებთ, უსიამოვნოა, მისი წვდომა მხოლოდ ტანჯვის გამოვლით შეიძლება; რაც შეეხება სილამაზეს, რა არის მძვინვარე ვეფხვზე უფრო მშვენიერი? ვშიშობ, რომ თუ ღმერთი თქვენს სამყაროს მიანიჭებს უპირატესობას, მოწყენილობისგან ყველანი დავიხოცებით".

"თქვენ შეიძლება მართლაც მოგკლათ მოწყენილობამ, - პასუხობს ბუდა, - იმიტომ, რომ თქვენ გიყვართ ტანჯვა, თქვენი სიცოცხლისმოყვარეობა კი თვალთმაქცობაა. მაგრამ ისინი, ვისაც მართლა უყვარს სიცოცხლე, ისეთი ბედნიერები იქნებოდნენ, როგორიც არავინ შეიძლება იყოს ახლანდელ სამყაროში".

მე პირადად ჩემს მიერ ამგვარად გამოსახულ ბუდას ვეთანხმები. მაგრამ არ ვიცი, როგორ დავამტკიცო მისი სიმართლე ისეთივე მყარი არგუმენტებით, როგორითაც მათემატიკურ ან საბუნებისმეტყველო კამათში საბუთდება დებულებები. ჩემთვის უსიმპათიოა ნიცშე იმიტომ, რომ მას მოსწონს ტანჯვის ცქერა, იმიტომ, რომ მან პატივმოყვარეობა ადამიანის მაღალ მოვალეობად ღირსებად, იმიტომ, რომ პიროვნებები, რომლებიც მას აღაფრთოვანებენ, კაცისკვლაში დახელოვნებული, განთქმული დამპყრობლები იყვნენ. მაგრამ მე მგონია, რომ ნიცშეს ფილოსოფიის და, საერთოდ, ნებისმიერი უსიამოვნო, მაგრამ შინაგანად მწყობრი ეთიკის საწინააღმდეგო მთავარი არგუმენტი მოიძევება არა ფაქტების, არამედ ემოციების სფეროში. ნიცშეს ეზიზღება საყოველთაო სიყვარული, მე კი იგი ყოველივე იმის მამოძრავებელ ძალად მიმაჩნია, რაც ჩემთვის სამყაროში სასურველია.

თარგმნა

**ლევან აბესაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილიპ სოლერსი

# ნიცშე ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფრანგი მწერალია!

არის ორი მწვავედ აქტუალური მწერალი, რომელთა მეოხებით მიჰყვები თხრობას და ყოველგვარი ჭაპანწყვეტის გარეშე მიადგები დედააზრს. ესენი არიან ვოლტერი და ნიცშე. ყოველთვის საინტერესოდ მეჩვენება იმის აღნიშვნა, რომ "ადამიანური, ერთობ ადამიანური" ვოლტერს მიუძღვნა ნიცშემ და Ecce Homo-შიც კვლავ ზარზეიმით მჩქეფარე, ცეცხლოვანი დითირამბებით მიაგო მას პატივი. ნიცშე ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფრანგი მწერალია, ვინც კი ამქვეყნად მეგულება. მან აღიარა, რომ გერმანიამ შვა საშინელება, რომელიც თვით მეტაფიზიკის ისტორიაშიც კი ჩაიწერა, საბედისწერო ობობა, კანტი და ყველა, ვისაც კი ამ საქმეში სიმძიმის შეტანა შეეძლო და რომლის კულმინაციაც, მართლაც, ვაგნერია. ნიცშე ეზიარა ფრანგულ ენამზეობას, გამსჭვალულია უდიდესი პატივისცემით ენისადმი, რომელიც ჩასწვდა ბერძნულის სიღრმეს და ვოლტერისა და სტენდალის გზით, შესძლო ორი სხვადასხვა ნიშნის შერწყმა. რატომ კითხულობენ ნიცშეს დღეს? რატომ და იმიტომ, რომ ეყო გამბედაობა ეთქვა დიდი სიმართლე, რომ ბერძნულ სასწაულს ფრანგულმა სასწაულმა აჯობა. რომ იყო პატარა არისტოკრატული უმცირესობის დიქტატურა XVIII საუკუნეში, შთაგონების დიდი სათავე, რომლისთვისაც დროდადრო უნდა მიგეკითხა და დაწაფებოდი. აი, ამაშია ნიცშეს დღესასწაული, რომელიც იქნებ მისთვის არც იყო დღესასწაული, მაგრამ ჩვენთვის კი უნდა ყოფილიყო, ჩვენ რომ ასეთი ყრუები, ბრმები, დაბდურები, ყვიციანები, დაბეჩავებულები და ა.შ. არ ვყოფილიყავით. აი ასე უნდა შევაფასოთ და ვაღიაროთ იგი - ფრანგულის კუთხით. დარწმუნებული ვარ, ამ თვალით უნდა წაიკითხო. თანაც საჩქაროდ უნდა წაიკითხო წიგნი, რომელსაც არავინ კითხულობს, რომელიც თან, ეტყობა, ცუდი თარგმანია, მაგრამ რა გაეწყობა; რომელსაც მთელი გვერდები აკლია, მაგრამ რა გაეწყობა;

ყველაზე საოცარი კი ის არის, რომ ისინი, ვინც თავს ფილოსოფოსებს უწოდებენ, დიდ მომჭირნეობას იჩენენ არა მარტო ნიცშესთან, არამედ ჰაიდეგერის ნიცშესთან მიმართებაში, რაც იმის მაჩვენებელია, რომ არც ერთ ჩვენ სწავლულ ფილოსოფოსს, არც სარტრს, არც ლაკანს, არც ფუკოს, არც დერიდას, არც დელიოზს და არც არავის, შიგ ცალი თვალითაც არ ჩაუხედავს. ეს არის ნიჰილიზმის საკითხი, ეს არის მეტაფიზიკის ისტორია, ისეთნაირად ნაჩვენები, რომ სწორედ დღეს არის ჩვენთვის საინტერესო.

ფრანგულიდან თარგმნა სესილ ბონემ



ლუ ანდრეას-სალომე

# ფრიდრიხ ნიცშე მისი შემოქმედების სარკეში



"Mihi ipsi scripsi!" ("დავწერე ჩემთვის") - ნიცშეს არაერთხელ წამოუძახია წერილებში თავის ამა თუ იმ დასრულებულ ნაწარმოებზე საუბრისას და ეს ცოტას როდი ნიშნავს ჩვენი დროის პირველი სტილისტის, იმ ადამიანის ბაგეთაგან, რომელიც ახერხებდა, შეიძლება ითქვას, არა მხოლოდ თითოეული აზრის, არამედ ამ აზრის უფაქიზესი ნიუანსების ზედმიწევნით გადმოცემას. ვისაც გულდასმით წაუკითხავს ნიცშეს ნაწარმოებები, მას ძალზე მნიშვნელოვნად მოეჩვენება ეს სიტყვები. იგი ხომ არსებითად ფიქრობდა მხოლოდ თავისთვის, წერდა თავისთვის, აღწერდა თავის თავს და თავის შინაგან "მეს" განყენებულ აზრებად აქცევდა.

თუ ბიოგრაფის ამოცანაა მოაზროვნე მისი პირადი ცხოვრებისა და ხასიათის მიხედვით ახსნას და დაახასიათოს, ეს ყველაზე უფრო ნიცშეს მიესადაგება, ვინაიდან აზრის გარე ნამუშევარი და შინაგანი სულიერი სამყარო ასეთ სრულ ერთობაში სხვასთან არავისთან არ არის წარმოდგენილი.

* * *

მართალია ამ ბოლო წლების მანძილზე ნიცშეზე გაცილებით მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე რომელიმე სხვა მოაზროვნეზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი სულიერი ხატის ძირითადი ნიშნები თითქმის უცნობია. მას შემდეგ, რაც მკითხველთა ის პატარა, დაქსაქსული წრე, რომელსაც ნამდვილად ესმოდა მისი, თაყვანისმცემელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა ფართო წრედ იქცა, ნიცშე მასების საკუთრება გახდა. იზიარებდა რა აფორიზმების ყველა სხვა ავტორის ბედს, კონტექსტიდან ამოგლეჯილი მისი ცალკეული აფორიზმი თუ ყველაზე განსხვავებული ახსნა-განმარტებების დამშვები მისი ცალკეული იდეა, განსხვავებული, ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებების დევიზად იქცა. და, გაისმის ამ აფორიზმების ძახილი გაცხარებულ კამათებსა, მრწამსისათვის ბრძოლასა თუ ავტორისათვის სრულიად უცხო პარტიათა შეხლა-შემოხლისას. მრავალთა და მრავალთ, რომელთაც არ იციან კრიტიკა, იგი კიდევ უფრო მეტად აჰყავთ ცაში ბრმა თაყვანისცემის მთელი გულუბრყვილობით. მაგრამ სწორედ ისინი შეგვახსენებენ ნიცშეს მიერ ნათქვამ მკაცრ, უიმედო სიტყვებს: "ყურს უგდებდი, მინდოდა გამოხმაურება მომესმინა, მაგრამ მოვისმინე მხოლოდ ქება" ("სიკეთესა და ბოროტებას მიღმა").


ლაიფციგის ფილოლოგიური საზოგადოების სხდომაზე

ხანდახან მეჩვენება, რომ იმ ადამიანებს შორის, რომლებიც აფასებენ, იგი ვინმე ყარიბივით, განდეგილივით დგას და მათ შორის მხოლოდ იმიტომაა, რომ გზა დაებნა. საბურველში გახვეული მისი ფიგურა კი არავის განუძარცვავს. და აი, დგას იგი თავისი ზარათუსტრას ჩივილით ბაგეზე - "სადამოობით, ცეცხლის პირას თავმოყრილნი, ისინი ყველანი ჩემზე ლაპარაკობენ, მაგრამ ჩემზე არავინ ფიქრობს! ის ახალი სიჩუმეა, რომელიც მე შევიცანი, მათი ხმაური კი საბურველში ახვევს ჩემს აზრებს".

* * *

ფრიდრიხ ვილჰელმ ნიცშე დაიბადა 1844 წლის 15 ოქტომბერს, რისკენში, ლუცერნის მახლობლად, პასტორის ოჯახში. სკოლის დამთავრების შემდეგ იგი ბონის უნივერსიტეტში აბარებს ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, 1865 წლიდან კი სწავლას ლაიფციგში აგრძელებს, სადაც თავის მასწავლებელს, ფილოლოგიის პროფესორს - რიჩლს მიჰყვება. ჯერ დიპლომიც არა აქვს აღებული, რომ ოცდაოთხი წლის ნიცშეს კათედრას სთავაზობენ და იგი კლასიკური ფილოლოგიის ორდინალური პროფესორის ადგილს იკავებს. მალე ლაიფციგის უნივერსიტეტი ყოველგვარი წინასწარი გამოცდის გარეშე მას დოქტორის ხარისხს ანიჭებს. ამავე დროს იგი მუშაობას იწყებს ბაზელის პედაგოგიუმის მესამე (უმაღლესი) კლასის ბერძნულის მასწავლებლად.

1870 წელს საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს ნიცშე ნებაყოფლობით სანიტრად მუშაობს. მალე ამის შემდეგ ეწყება ძლიერი თავის ტკივილების პერიოდული შეტევები: "ვცხოვრობ დღიდან დღემდე, ვინ იცის, რამდენჯერ სიკვდილს ძლივს გადარჩენილი, საშინელი ტკივილებით გაწამებული. თითოეულ ჩემ დღეს ავადმყოფობის თავისი ისტორია აქვს". ნიცშე ამ სიტყვებს ერთ-ერთ თავის მეგობარს სწერს და იმ ტკივილებსა და ტანჯვაზე მიუთითებს, რასაც თხუთმეტი წლის მანძილზე განიცდიდა. 1876 წლის დასაწყისში თავის ტკივილების გამუდმებული შეტევების გამო იძულებული გახდა პედაგოგიუმი მიეტოვებინა.



1876-1877 წლების ზამთარი ნიცშემ სორენტოს რბილ ჰაერზე, რამდენიმე მეგობართან ერთად გაატარა - რომიდან ჩამოვიდა მისი ძველი მეგობარი ქალი მალვიდა ფონ მეიზენბუჰი (ცნობილი "იდეალისტის მემუარების" ავტორი), აღმოსავლეთ პრუსიიდან ჩამოვიდა დოქტორი პაულ რე, რომელთანაც ნიცშეს უკვე სამი წელია მტკიცე მეგობრობა აკავშირებდა - მაგრამ სამხრეთში ჩასვლამ ტანჯვა ვერ შეუმსუბუქა და იგი იძულებული გახდა პედაგოგიური მოღვაწეობისათვის თავი დაენებებინა. 1879 წელს მიატოვა პროფესურაც. ამის შემდეგ იგი განდეგილია, ხან იტალიაშია, ხან გენუაში, ზოგჯერ შვეიცარიის მთებშიც - ენგადინის პატარა სოფელ სილს-მარიაში. კაცმა რომ თქვას, ეს არის და ეს მთელი მისი გარეგანი ცხოვრების გარეგანი მხარე, მაშინ როცა მისი სულიერი ცხოვრება არსებითად მხოლოდ ახლა იწყება.

ამ დროისათვის მისი გარეგნობა უდიდეს გამომსახველობას იძენს, მისი სახე იმას ახხივებს, რასაც იგი სიტყვით არ გამოხატავს, რასაც თავის თავში ფარავს. სწორედ ეს გულჩახვეულობა, ფარული მარტოობის წინათგრძნობა ტოვებს ძლიერ შთაბეჭდილებას მასთან პირველსავე შეხვედრისას. ერთი შეხედვით ამ გარეგნობაში არაფერი განსაკუთრებული არ არის, პირიქით, შეიძლებოდა სრულიად გულგრილადაც ჩაგევლო ამ ძალზე უბრალო, მაგრამ ფაქიზად ჩაცმული, მშვიდი სახის, უკან გადავარცხნილ წაბლისფერთმიანი საშუალო სიმაღლის კაცისათვის, რომლის თხელ, მეტყველ ტუჩებს თითქმის მთლიანად ფარავს დიდი, წინწამოვარცხნილი ულვაში. იცინის წყნარად, წყნარია მისი მეტყველების მანერა. ოდნავ მოხრილს ფრთხილი, ჩაფიქრებული სიარული სჩვევია. ძნელია წარმოიდგინო უამრავ ადამიანს შორის, ბრბოში გარეული, ვინაიდან განცალკევებულობის, განმარტოებულობის დამღითაა დაღდასმული. აქვს არაჩვეულებრივად ლამაზი და ნატიფი ხელები, გინდა თუ არა, შენს ყურადღებას რომ იქცევენ. მას რომ ჰკითხო, მის გონებას სწორედ ეს ხელები აძლევენ ძალას. "არიან ადამიანები, - წერს იგი, - რომლებიც, რაც არ უნდა თავს გარიდებოდნენ და იმალებოდნენ, ხელებს იფარებდნენ თვაიანთ გამყიდველ თვალებზე (თითქოს არ შეიძლება, ხელებიც გამყიდველი იყოს) და მაინც ავლენენ თავიანთ გონებას ("სიკეთისა და ბოროტების მიღმა").

ასეთივე მნიშვნელობას ანიჭებს იგი თავის უჩვეულოდ პატარა და ნატიფ ყურებს, "გაუგონარი ამბების მოსასმენად" ("ზარატუსტრა") რომ აქვს.

საქართველოს ეროვნ...



ნიცშე თეოლოგი

ამ აზრით, ნამდვილი მოღალატე ნიცშეს თვალებიც გახლდათ. მართალია იგი სანახევროდ ბრმა იყო, მაგრამ მისი თვალები არ იჭუტებოდა, თავისდაუნებური მომაბეზრებლობით არ გამჭტერდებოდა, როგორც ეს ახლომხედველ თვალებს სჩვევია. ეს თვალები უფრო გუშაგებივით, იმ საკუთარი განძის იდუმალი მცველებივით შემოგყურებდნენ, რომელსაც საქმეში ჩაუხედავი მზერა არ უნდა შეხებოდა. სუსტი მხედველობა მის ნაკვთებს განსაკუთრებულ მიმზიდველობას ანიჭებდა - ნაცვლად იმისა, შთაბეჭდილებები აერეკლა, მხოლოდ იმას ამჟღავნებდნენ, რამაც ადრე მისი შინაგანი სამყარო გამოიარა. მისი თვალები შიგნით იმზირებოდნენ და ამავე დროს - უვლიდნენ რა გვერდს ახლომდებარე ნივთებს, სადღაც შორს იმზირებოდნენ, ან უფრო სწორად, შიგნით ისე ჩაიცქირებოდნენ, როგორც უკიდეგანო შორეთში. არსებითად, მთელი მისი ფილოსოფია ხომ ძიება იყო, ადამიანის სულის იმ იდუმალი სამყაროების "ამოუწურავ შესაძლებლობათა ძიება" ("სიკეთისა და ბოროტების მიღმა"), რომელსაც თვად ქმნიდა და გარდაქმნიდა. ზოგჯერ, პირისპირ საუბრისას იგი ზუსტად იმ ადამიანად წარმოგვიდგებოდა, რაც იყო და მის თვალებში მაშინ ენთებოდა და ისევ უკვალოდ ქრებოდა თვალისმომჭრელი ელვარება. როდესაც დათრგუნული იყო, მისი თვალებიდან ბინდისფერი მარტოობა თითქოს იმ იდუმალებით მოცული სიღრმეებიდან მოედინებოდა, რომელშიაც გამუდმებით მარტოდმარტო რჩებოდა, მაგრამ ამ მარტოობის გაზიარება არავისთვის შეეძლო, სიღრმეებიდან, რომელთა ძალმოსილება თვად მას შიშის ზარს სცემდა და რომელმაც ბოლოსა და ბოლოს მისი სულიც შთანთქა.

რაღაც იდუმალის, რაღაც გულში ჩამარხულის შთაბეჭდილებას ტოვებდა ნიცშეს ქცევაც. ყოველდღიურ ცხოვრებაში იგი არაჩვეულებრივი თავაზიანობით, სირბილით, თანაბარი ხასიათით გამოირჩეოდა, მოსწონდა დახვეწილი მანერები. მაგრამ ყოველივე ამაში თავს იჩენდა თვალთმაქცობის, იმ შინაგანი ცხოვრების დამფარავი ნიღბების სიყვარული, რომელსაც არასოდეს ამჟღავნებდა.

მახსოვს ჩემი პირველი შეხვედრა ნიცშესთან - ეს იყო გაზაფხულზე, რომში, წმინდა პეტრეს ეკლესიაში. მისმა მოჩვენებითმა ცერემონიულობამ გამაოცა და შეცდომაში შემიყვანა. მაგრამ ამ მარტოსულმა ადამიანმა დიდხანს ვერ შეძლო ეცრუა საკუთარი თავის გამო, ვინაიდან ზუსტად ისევე უგერგილოდ ირგებდა თავის იმ ნიღბებს, როგორც ქალაქელის სრულიად უბრალო სამოსს მოირგებდა შორეული მთებიდან ან უდაბნოდან ჩამოსული ადამიანი. იმის მიხედვით, თუ როგორ იზრდებოდა მასში განმარტოებულობის გრძნობა, ყველაფერი ის, რაც გარე სამყაროსკენ იყო მიმართული, თვალთმაქცობად გარდაიქმნებოდა - იმ ცრუ საბურველად, რასაც თავის ირგვლივ მარტოობის უძირო ვნება ქსოვდა; "ღრმად მოაზროვნე ადამიანებს სხვა ადამიანებთან მიმართებაში თავი მსახიობად ეჩვენებათ, ვინაიდან იმისთვის, რათა გაგებულ იქნენ, თავი საბურველით უნდა დაიფარონ" ("ადამიანური, ერთობ ადამიანური"). შეიძლება ითქვას, ნიცშეს იდეები ჰგავს "კანს, რომელიც რაღაცას აჩენს, მაგრამ გაცილებით მეტს მალავს" ("სიკეთისა და ბოროტების მიღმა"), რამეთუ - ამბობს იგი, - "ან უნდა დაფარო შენი აზრები, ან თავად უნდა დაიმალო შენი აზრების უკან" ("ადამიანური, ერთობ ადამიანური").

"- ეს შენ ხარ, ყარიბო?.. დაისვენე... სული მოითქვი!.. თქვი, რა გიშველის, რა დაგასვენებს?..

- რა დამასვენებს? ო, ცნობისმოყვარევ! აბა რას ამბობ! მაგრამ, მომეცი, მომეცი-მეთქი, გემუდარები!

- რა? რა უნდა მოგცე? მითხარი!..

- კიდევ ერთი ნიღაბი! მეორე ნიღაბი!.." ("სიკეთისა და ბოროტების მიღმა").

თითოეული ახალი ნიღბის მნიშვნელობა იმ ხარისხით იზრდება, რა ხარისხითაც ნიცშეს განმარტოებულობა და თვითჩაღრმავებულობა ხდება სულ უფრო დაძაბული. ბოლოს და ბოლოს იგი ღმერთივით მოცინარ მაცდუნებელ სახემდეც კი მიდის და სილამაზის ამ ნიღბით მჭმუნვარების დაფარვას ცდილობს. ამგვარად, უკანასკნელი პერიოდის თავის ფილოსოფიურ მისტიკაში ნიცშე თანდათან იმ უკიდურეს მარტოობაში, იმ სიჩუმეში იძირება, სადაც ჩვენ უკვე თვალის მიდევნების ძალა აღარ შეგვწევს.

შინაგანი განდეგილობის, სიმარტოვის გრძნობა ნიცშეს ცდომილების ის განუხრელი ჩარჩოა, საიდანაც მისი სახე შემოგვყურებს. იგი თავის მეგობარს წერს (1880 წელი, 31 ოქტომბერი, იტალია): "მარტოობა სულ უფრო მეტად და მეტად მეჩვენება როგორც განმკურნებლად, ისე ჩემს ბუნებრივ მოთხოვნილებად. თან რაც მთავარია, სრული, აბსოლუტური მარტოობა. უნდა შეგეძლოს მიაღწიო მდგომარეობას, რა მდგომარეობაშიც ყველაზე უკეთესის შექმნა შეგიძლია, ოღონდ ამისთვის უამრავი მსხვერპლის გაღება საჭიროა".

* * *

გამოჯანმრთელების მტანჯველ სურვილს ნიცშე არაერ-



დასთან ერთად, XIX ს-ს 90-იანი წლების ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხელ მიუყვანია ახალ იდეებთან. მაგრამ, საკმარისი იყო აესახა საკუთარი თავი ამ იდეებში, მოეხდინა მათი ასიმილება საკუთარ ძალებთან, რომ უმალ ის ახალი ციებ-ცხელება იპყრობდა, რომელიც გამწარებით უბიძგებდა გარეთ მის ნამატ შინაგან ენერგიას; "მხოლოდ ზედმეტი ძალაა ძალის დამადასტურებელი" - ამბობს ნიცშე "ღმერთების მწუხრის" წინასიტყვაობაში, - ამ ნამატით ძალა თავად იქმნის ტანჯვას, ანადგურებს საკუთარ თავს სულის ამომხდელ ბრძოლაში, აღძრავს იმ ტანჯვისა და შფოთისათვის, რაც სულის შემოქმედებას განაპირობებს. ამაყი შეძახილით - "რაც არ მკლავს,სწორედ ის მაძლიერებს!" ("ღმერთების მწუხრი") - იგი აწამებს თავის თავს არა სულის ამოხდამდე, არა სიკვდილამდე, არამედ მხოლოდ ჭრილობებით სერავს საკუთარ თავს. ტანჯვის ეს ძიება ნიცშეს მთელ ნამოღვაწარს გასდევს და მისი სულიერი ცხოვრების ნამდვილ წყაროს წარმოადგენს.

სულის სიმტკიცე უბედურებაშია, ხოლო მისი გამჭრიახობა და ვაჟკაცობა იმაში, თუ როგორ უძლვება იგი ამ უბედურებას - ქედს უხრის და ურიგდება, თუ უბედურებიდან ყველაფერს თავის სასარგებლოდ ხაპავს. აგიზგიზებული სული სჭირდება, მაგრამ ეს ალი სიკეთის მომტან სითბოდ არასოდეს უნდა იქცეს, ის მუდამ მწველი და მოგიზგიზე ცეცხლით უნდა გსერავდეს.

შეხედულებების შეცვლა, მიდრეკილება მეტამორფოზისაკენ ღრმად არის ნიცშეს ფილოსოფიაში ჩადებული, იგი თითქოს მისი შემეცნების სისტემათა ლეიტმოტივს აყალიბებს: "არასოდეს არაფერი დაფარო, შენს თავს არასოდეს დაუმალო ის, რაც შეიძლება შენი იდეის საწინააღმდეგოდ იყოს ნათქვამი. ამას შენ საკუთარ თავს უნდა შეჰპირდე! ეს პატიოსანი მოაზროვნის უპირველესი ვალია. მართალია საკუთარი თავის წინააღმდეგ ყოველდღე ჯვაროსნული ლაშქრობა უნდა მოაწყო, მაგრამ გამარჯვება და ციხესიმაგრის აღება უკვე შენი კი არა, ჭეშმარიტების საქმეა. იცოდე, არც დამარცხებამ უნდა შეგაშფოთოს!" "...იმდენად, რამდენადაც მოაზროვნეს თავისი მტერი უყვარს", - თქვა მან მოგვიანებით, მაგრამ მტრისადმი ეს სიყვარული იმ ბუნდოვანი წინათგრძნობიდან მომდინარეობს, იქნებ მტერში მომავალი მოკავშირეც იმლებოდესო, და რომ მხოლოდ გამარჯვებულს ელის ახალი გამარჯვებები. იგი იმ წინათგრძნობიდანაც მომდინარეობს, რომლის მიხედვითაც, სწორედ შინაგანი მეტამორფოზების ერთფეროვანი მტანჯველი პროცესი ქმნის აუცილებელ პირობას ყოველგვარი მოქმედებისათვის. "სული გადაგვარჩენს სრული ხრწნისა და ნაზშირად ქცევისაგან. ცეცხლისაგან თავის დასაღწევად, მსგავსად კეთილშობილი, ყოვლის გამცემი მოღალატეებისა, დავეხეტებით ქვეყნიერებაზე სულისაგან აღძრულები აზრიდან აზრამდე" ("ადამიანური, ერთობ ადამიანური"). - "ჩვენ უნდა გავხდეთ გამცემები, უნდა ვუღალატოთ, უნდა მივატოვოთ ჩვენი იდეალები" ("ადამიანური, ერთობ ადამიანური"). ეს მარტოსული ადამიანი უნდა დაშლილიყო, უნდა გამრავლებულიყო უამრავ მოაზროვნედ იმისდა მიხედვით, თუ როგორ იკეტებოდა იგი თავის თავში - მხოლოდ ამგვარად შეეძლო ეცხოვრა სულიერი ცხოვრებით. სწრაფვა საკუთარი თავის მიმართ ძალადობისაკენ თვითგადარჩენისკენ სწრაფვას ნიშნავდა, ვინაიდან იგი მხოლოდ ახალ-ახალ წამებებში ჩაძირვით გადაირჩენდა თავს ტანჯვისაგან. "მხოლოდ ჩემი ფეხის ქუსლია უწყვლადი!.. მხოლოდ იქ შეიძლება აღდგომა, სადაც სიკვდილი და კუბოებია!.. ასე მღეროდა ზარათუსტრა!"

* * *

ნიცშე განასხვავებს ჰარმონიულ ნატურას გმირული, ანუ წინააღმდეგობებით სავსე ნატურისაგან. ისინი წარმოადგენენ მოქმედთა და შემმეცნებელთა ტიპებს, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი საკუთარი სულისა და ამ სულის დიამეტრულად საპირისპირო ტიპებს. მოქმედ ადამიანად იგი თვლის დაუნაწევრებელ, დანაწევრების არმცოდნე, ანუ ისეთ ადამიანს, რომელსაც მბრძანებლის თანდაყოლილი ინსტინქტი გააჩნია. თუ ასეთი ადამიანი თავის ბუნებრივ განვითარებას მიჰყვება, იგი ბუნებით სულ უფრო თავდაჯერებული უნდა გახდეს და თავის გულისყურმოკ-



ლუ ანდრეას-სალომე, პაულ რე და ფრიდრიხ ნიცშე. 1882

რებილი ძალა ჯანსაღ ქცევაში უნდა გამოავლინოს. დაბრკოლება, რომელსაც გარესამყარო უქმნის, კიდევ უფრო მეტად აღძრავს მოქმედებისათვის, რამეთუ მისთვის არ არსებობს იმაზე უფრო ბუნებრივი მდგომარეობა, ვიდრე გარესამყაროსთან ბრძოლაა, ხოლო მისი ჯანმრთელობა მთელი თავისი სისავსით ისე არაფერში იჩენს თავს, როგორც ბრძოლის სწორად წარმართვაში. მნიშვნელობა არა აქვს, დიდია თუ მცირე მისი ტვინი - როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში იგი თავისი ნატურის ამ ცინცხალი ძალისა და იმის ძალაუფლების ქვეშ იმყოფება, რაც მისთვის აუცილებელია და სასარგებლო. თავის მისწრაფებებში არ უპირისპირდება საკუთარ ბუნებას, არ ანაწევრებს მას.

სრულიად განსხვავებულად წარმოგვიდგება შემმეცნებელი ადამიანი. ნაცვლად იმისა, თავისი მისწრაფებების გაერთიანებისაკენ ისწრაფოდეს, იგი მათ თავისუფლებას ანიჭებს. რაც უფრო ფართოა სფერო, რომლის დაუფლებასაც ესწრაფიან, მით უკეთესი? რაც უფრო მეტია საგანი, რომლისკენაც თავის საცეცებს იწვდიან, სინჯავენ, ეხებიან, მით უფრო მეტი სარგებლობა მოაქვთ ამ ადამიანების მიზნების - შემეცნებითი მიზნებისათვის. მათთვის "ცხოვრება შემეცნების საშუალება ხდება" ("მხიარული მეცნიერება"). "თავად იყავით ექსპერიმენტის ობიექტი, ცოცხალი მასალა ცდებისათვის!" - ამბობს ნიცშე თავის თანამოაზრეებისადმი მიმართვაში (იქვე). ასე და ამგვარად, იგი თვითონვე ანაწევრებს თავის მთლიანობას, ვინაიდან, მიაჩნია, რომ რაც უფრო მრავალმხრივია ობიექტი, მით უკეთესია:

"უკმეხის და რბილის, უხეშის და ნაზის, მიმნდობის და უცნაურის, ბინძურის და სუფთას, სულელისა და ბრძენის ნაერთი - მე ეს ყველაფერი მინდა, მინდა ყველაფერი ვიყო - ერთდროულად მტრედიც, ღორიცა და გველიც".

"რამეთუ ჩვენ, შემცნობელნი, - ამბობს იგი, - ჩვენს არსებაში მადლობლები უნდა ვიყოთ ღმერთისაც და ეშმაკისაც, ტარიგისაც და ჭიაყელისაც... მადლიერი უნდა ვიყოთ გარე და შინაგანი საშინელებისა, რომელთა სიღრმეში წვდომა ადვილი არ არის" ("სიკეთისა და ბოროტების მიღმა"). "შემმეცნებელი ფლობს სულს, ვისაც ყველაზე მაღალი კიბე აქვს, ვისაც შეუძლია გაცილებით ღრმად ჩავიდეს მიწაში; ყველაზე ფართო, დიდ სულს, ვისაც აქვს შესაძლებლობა იხეტიალოს თავის თავში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაექცეს და დაეწიოს თავის თავს ყველაზე შორეულ წრეებში; ყველაზე ბრძენ სულს, რომელსაც სიშლეგე ტკბილ სიტყვებს ჩასჩურჩულებს; თავის ყველაზე უფრო მოყვარულ სულს, რომელშიც ყველაფერს თავის შედინება და გამოდინება, თავისი მიქცევა და უკუქცევა აქვს..." ("ასე იტყოდა ზარატუსტრა").

ამგვარი სულით ადამიანი "ათას ფეხსა და ათას საცეცს" იძენს ("სიკეთისა და ბოროტების მიღმა"), გამუდმებით ისწრაფის გაექცეს საკუთარ თავს და თავისი თავი სხვა არსებაში შეიყვანოს: "როცა ბოლოსა და ბოლოს შენ თავს პოულობ, დრო და დრო მისი დაკარგვა და კვლავ პოვნა უნდა შეგეძლოს. ცხადია, ეს მხოლოდ მოაზროვნეს შეეხება, ვინაიდან მისთვის საზიანოა ნიადაგ ერთ პიროვნებაში ჩაკეტვა" ("ყარიბი და მისი ჩრდილი"). იგივეა ნათქვამი მის ლექსებშიც: "მსგავსად დაბურული ტყეების, უკიდეგანო ზღვების ბინადართა, მიყვარს დიდი ხნით საკუთარი თავის დაკარგვა, თავდავიწყება, წარმტაც ულრანებში ჩაფიქრებული ხეტიალი და ბოლოს სადღაც შორიდან შინ შეტყუება, საკუთარი თავის საკუთარ თავთან მიქცევა!" ("მხიარული მეცნიერება"). "საკუთარ თავში" ამგვარი ცხოვრება გარე სამყაროს მიმართ მით უფრო ნაკლებ ხდება მეამბოხე, რაც უფრო სავსეა ცხოვრება ბრძოლებით, მარცხითა და გამარჯვებებით. მარტოობისას სულიერი თვითჩაღრმავებისა და თვითგანვითარების დროს იგი ეძიებს უფრო გარსს, რომელიც დაიფარავს გარესამყაროს ხმაურიანი და მტკივნეული მოვლენებისაგან. შინაგანი სამყარო ხომ უამისოდაც სავსეა ტანჯვითა და ტკივილებით. შემეცნებელი ადამიანის ამ ტიპს მიეკუთვნება ნიცშეს მიერ აღწერილი ეს ტიპიც: "აი ადამიანი, რომელიც ნიადაგ რაღაც უჩვეულოს განიცდის, ხედავს, ესმის, ეჭვობს, იმედოვნებს, ოცნებობს, რომელსაც თავისი საკუთარი აზრები ისე ამარცხებენ და გულს ისე უკოდავენ, როგორც რაღაც გარეშე, უცნაური მოვლენები, რაღაც ელდა და თავზარი" ("სიკეთისა და ბოროტების მიღმა").

მის სულში მისწრაფებათა ურთიერთმტრობა არ გამქრალა, პირიქით, უფრო გაძლიერდა. "ის, ვინც იმსჯელებს ადამიანის მისწრაფებებზე იმის მიხედვით, თუ როგორ მოქმედებენ ისინი, როგორც სულის აღმაფრენნი და შთამაგონებელნი, თუ როგორც დემონები, ნახავს, რომ თითოეული მათგანის სურვილია სწორედ თავისი თავი წარმოაჩინოს სამყაროს საბოლოო მიზნად, სხვა დანარჩენ მისწრაფებათა მბრძანებლად, ვინაიდან ყოველი მისწრაფება ძალაუფლების მოყვარულია და თითოეული ცდილობს თავისებურად იფილოსოფოსოს" ("სიკეთისა და ბოროტების მიღმა").

მახსოვს ნიცშეს ერთი ზეპირად ნათქვამი, რომელიც ძალზე ზუსტად ახასიათებს იმ ადამიანის სიხარულს, ვინც მთელი სიგრძე-სიგანით შეიცნო თავისი ბუნება, სიხარულს, გამოწვეულს იმით, რომ მისი ცხოვრება "შემეცნებლის ექსპერიმენტად" იქცა ("მხიარული მეცნიერება"). "მე ვგავარ ძველ, აუღებელ ციხე-სიმაგრეს, რომელშიც უამრავი საწყობი და სარდაფია, მაგრამ, მე ჯერ კიდევ არ შემიღწევია ყველაზე ფარულ მიწისზედა შესასვლელებში, ჯერ არ ჩავსულვარ ყველაზე ღრმა უფსკრულებში - ისინი ხომ ყოველი ნაგებობის ქვეშაა. განა არ შემიძლია ჩემი სიღრმიდან მიწის ზედაპირზე ყოველი მიმართულებით ამოვიდე? განა საკუთარ თავს არ ვუბრუნდებით ყველა ფარული შესასვლებით?

ამგვარად, არაჰარმონიული, "სტილს მოკლებული" ნატურის სიფართოვე და სირთულე უდიდეს უპირატესობად იქცევა - "ჩვენ რომ გვინდოდეს და გავბედოთ ჩვენი სულის შესაბამისი არქიტექტურის შექმნა, ჩვენი ნიმუში ლაბირინთი იქნებოდა!" ("აისი"), მაგრამ არა ისეთი ლაბირინთი, სადაც სული თავის თავს კარგავს, არამედ ისეთი, რომლის ხვეულებში შემეცნებასთან მისასვლელ გზას პოულობს". იმისთვის, რომ "ცდომილი ვარსკვლავი შვა, შენში ქაოსსაც უნდა ატარებდე" - ზარატუსტრას ეს გამონათქვამი ეხება იმ სულს, რომელიც თავისი ჭეშმარიტი რაობითა და თავისი აპოთეოზით ვარსკვლავური არსებობისთვის, სინათლისთვისაა შობილი.



ედვარდ მუნკის ნახატი

* * *

იმისათვის, რათა ბოლომდე ჩაწვდე და გაიგო ნიცშეს არსი, აუცილებელია გაიგო მისი რელიგიური გრძნობის ფილოსოფია. ნიცშეს ყოველგვარ ნიჭს შორის არ არის არცერთი, რომელიც ასე ღრმად და განუყოფლად იქნებოდა დაკავშირებული მის სულიერ არსთან, როგორც მისი რელიგიური გენია. სხვა დროს, კულტურის სხვა პერიოდში მღვდლის შვილს იგი ხელს შეუშლიდა მოაზროვნე გამხდარიყო. ჩვენი ეპოქის გავლენებს შორის კი მისმა რელიგიურმა გენიამ ცოდნას, მეცნიერებას მიმართა. მისი განვითარება მნიშვნელოვანწილად განპირობებულია რწმენის დაკარგვით, "ღმერთის სიკვდილის" გამო იმ უსაზღვრო მწუხარებით, რომელიც გაისმის თითქმის უკვე შეშლილობის ზღვართან მყოფი ნიცშეს თვით ამ უკანასკნელ ნაწარმოებშიც კი - "ასე ამბობდა ზარატუსტრა". თუკი უამრავი ცალკეული, ერთმანეთთან დაუკავშირებელი სწრაფვა იყოფა ორ, თითქოს დაპირისპირებულ რაობად, რომელთაგან ერთი ბატონობს, მეორე კი ემორჩილება, ადამიანიც ხომ ნახულობს შესაძლებლობას, ისე მოეკიდოს თავის თავს, როგორც უმაღლეს არსებას. იმით, რომ მან თავისი ნაწილი მსხვერპლად მიუტანა თავის თავს, იგი რელიგიურ ექსტაზს მიუახლოვდა.

"ადამიანში შეერთებულია ქმნილება და შემოქმედი - ადამიანს გააჩნია მატერია, ნაკლი, სიჭარბე, ნეშტი, ავსულობა, უგუნურება, ქაოსი, მაგრამ არის მასში შემოქმედიც, არის გრდემლის სიმტკიცე, განმჭვრეტელის ღვთაებრიობა და მეშვიდე დღის განწყობა"... ("სიკეთისა და ბოროტების მიღმა"). აქაც ჩანს, განუწყვეტელი ტანჯვა და თვითგაღმერთება ერთმანეთს როგორ განაპირობებს იმით, რომ თითოეული თავიდან ქმნის თავის საკუთარ დაპირისპირებულობას. "ყველას, ვისაც ოდესმე თავისი ცა აუშენებია, ძალა ამისათვის მხოლოდ საკუთარ ჯოჯოხეთში უპოვია" ("მორალის გენეოლოგიისათვის").

დაზვეწილობისა და ეგზალტაციის ის მიზეზები, რომელიც ცხარე სურნელივით გასდევს ყოველივე მაღალსა და მნიშვნელოვანს ნიცშეს ფილოსოფიაში, მისი ნატურის სწორედ ამ ძირითად თვისებებში მდგომარეობს. ყველაზე ძლიერად ამას ახალგაზრდა, ჯანსაღ ნატურათა შეურყვნელი გემოვნება უნდა გრძნობდეს, ანდა იმ ადამიანების გემოვნება, რომელთაც რელიგიურ შეხედულებათა უშფოთველობა იცავს და არა საკუთარ თავთან მებრძოლი, რელიგიური მისწრაფებების ათეისტის გემოვნება. მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ეს ხდის ნიცშეს ჩვენი დროის ესოდენ დიდ ფილოსოფოსად. მასში ტიპიურად აისახა ის, რაც ყველაზე მეტად აღელვებს თანამედროვეობას - არსებული ცოდნის ტრაპეზიდან აკრეფილი ნამცეცებით დაკმაყოფილების შეუძლებლობა, უარის თქმის შეუძლებლობა ცოდნისადმი თავის დამოკიდებულებაზე. ასეთია ნიცშეს ფილოსოფიის დიდი და გასაოცარი სურათი - თანამედროვე ტრაგიზმის ამ საკითხის გადაჭრის, თანამედროვე სფინქსის საიდუმლოს ამოხსნისა და ამ სფინქსის უფსკრულში გადაჩეხის უამრავი მცდელობის სურათი.

თუ ჩვენ გვინდა გავერკვეთ ნიცშეს შრომებში, სწორედ ამიტომ ყურადღება უნდა მივმართოთ არა თეორეტიკოსისკენ, არამედ ადამიანისაკენ. როგორც თეორეტიკოსი, იგი ხშირად ეყრდნობა სხვა მოაზროვნეებს, მაგრამ ის, რასაც მათ სიმწიფეში, თავიანთი შემოქმედების მწვერვალზე მიაღწიეს, ნიცშესათვის საკუთარი შემოქმედების მხოლოდ საწყის წერტილს წარმოადგენს. თვით ის უმცირესიც კი, რასაც მისი გონება შეხებია, მთელი სისავსით აღძრავდა მის შინაგან ცხოვრებას. ერთხელ თქვა: "არსებობს გენიოსების ორი ტიპი - ერთი, რომელიც ქმნის, ან უნდა რომ შექმნას, ხოლო მეორე თავს ანაყოფიერებს და ახლიდან შობს" ("სიკეთისა და ბოროტების მიღმა").

ცხადია, თავად იგი გენიოსების მეორე ტიპს განეკუთვნება. ნიცშეს სულიერ ბუნებაში იყო სიდიადემდე მისული რაღაც ქალური, მაგრამ ამასთან ერთად იყო იმდენად გენიალური, რომ მისთვის აბსოლუტურად სულერთს წარმოადგენდა, რა მისცემდა პირველ ბიძგს. თუ ჩვენ იმ ყველაფერს შევკრებთ, რაც მის გონებაში წინანდელი მოძღვრებებიდანაა ჩათესილი, ხელში მხოლოდ მნიშვნელობის სრულიად არმქონე ერთი მუჭა მარცვალი შეგვრჩება. ხოლო როდესაც მის ფილოსოფიაში შევდივართ, ველური, უსაზღვრო ბუნების საუცხოო მცენარეულობისა და ტოტებგაშლილი ხეების უღრანი ჩრდილი გვფარავს.

ზოგჯერ, როცა ამას განსაკუთრებული ძალით გრძნობდა, ნამდვილ, ჭეშმარიტ გენიად ქალურ გენიას თვლიდა. "ქალური საწყისი ცხოველებს ადამიანებისაგან განსხვავებულად ესმითო, - ამბობდა, - მდედრი მათთვის პროდუქტული არსებაა... ორსულობა ქალს უფრო რბილს, მომთმენს, მგრძნობიარეს, მორჩილს ხდის. სულიერი ორსულობა ზუსტად ასე ამსგავსებს მჭვრეტელის ხასიათს ქალისას - ისინი მამაკაცი-დედები არიან" ("მხიარული მეცნიერება").

პრილი



## ბერნარ ედელმანი

# ნიცშე თხემით-ტერფამდე მატერიალისტია



რატომ კითხულობენ დღეს ნიცშეს? მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა წაიკითხონ! ნიცშეს წაკითხვა ახლა ნაძლევივით არის. ყველამ ვიცით, რა ძნელია გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებული ფრაგმენტების გაგება... ეს ფრაგმენტები წყლიდან ნაწილობრივ ამოსულ აისბერგს ჰგავს. მთელი წყალქვეშა ნაწილი ამ ფრაგმენტებშია და თუ არ ჩაყვინთე, ვერავინ შეძლებს დაინახოს ნიცშეს ფილოსოფია. ჩემი მხრივ, მე რასაც ვცდილობ, ის, მე მგონი, ჯერ არავის გაუკეთებია. მინდა დავსვა აშკარად თვალში საცემი კითხვები: საიდან იწყება? როგორ განვითარდა? სად მთავრდება, თუკი საერთოდ მთავრდება? ძალიან მარტივი კითხვებია და იქნებ, ისეთ ფილოსოფოსებს, როგორიც არიან ჰეგელი და კანტი, [illegible] ტრივიალურადაც მოჩვენებოდათ ეს, მაგრამ ნიცშეს ამგვარი რამ არასდროს უთქვამს. ძალიან დიდი სამუშაოა. ჯერ ამ კითხვებზე გავცეთ პასუხი და მერე უკვე შეიძლება ისიც ვიკითხოთ, რატომ კითხულობენ დღეს ნიცშეს. მე თუ მკითხავთ, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ნიცშე თხემით-ტერფამდე მატერიალისტია, რაც როგორც ვიცი, არცერთ მის კომენტატორს აქამდე არ აღუნიშნავს - წარმოუდგენელი რამ არის! არავის უთქვამს, რომ ნიცშე, პირველ ყოვლისა, მატერიაა - მატერიაა თავიდან ბოლომდე - კოსმოლოგიური თუ ბიოლოგიური დონის მატერია. ჩვენს წინაშეა გონიერი მატერიალიზმი - კულტურული და ღრმა, რაიც ფრიად იშვიათია. ამიტომაც ასკვნიან, რომ ნიცშე ბერძენი ფილოსოფოსია, უფრო სწორად ჰერაკლიტეანელი, ოღონდ კოსმოსის თანამედროვე ხედვით დაჯილდოებული, ანუ იგი კოსმოსს ჩვენი თანამედროვე ფიზიკის თვალით ხედავს. ნიცშეს ამჟამინდელი, თანამედროვე ხედვა გამოწვეულია მისი დიდი გულისყურით თავისი დროის ბიოლოგიური ევოლუციისადმი. ამ დროს აღმოაჩინეს უჯრედი, ეს იყო დარვინის დრო, ეს, მართლაც, ბიოლოგიის დაბადების დრო იყო. ნიცშე ძირფესვიანად ჩაითრია ბიოლოგიამ და რაც ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია, მან განჭვრიტა ბიოეთიკა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მან ჩამოაყალიბა ბიოლოგიური მორალი. ეს განჭვრეტის არაჩვეულებრივი ფენომენია, რადგანაც ჩვენს დღევანდელ ვითარებას ასახავს. დიახ, ნიცშემ განჭვრიტა ბიოლოგიური მორალი, ააგო ახალი პოლიტიკა, რომელიც ბიოლოგიაზე დააფუძნა და იგი ანტიდემოკრატიული ჰიპოთეზებით გაამაგრა. ნიცშე დღესაც გვაგულიანებს.

ფრანგულიდან თარგმნა თამარ აბრამიშვილმა

** ბერნარ ედელმანი - სამართლის დოქტორი და ადვოკატი. ახლახან გამოსცა წიგნი ნიცშეზე "დაკარგული კონტინენტი" (გამომც. P.U.F. 1999 წ.)*

ეროვნული ბიბლიოთეკა



სილვია პლათის ავტობიოგრაფიული რომანი "ზარი - ქოთანი" 1963 წელს, ლონდონში, პოეტის თვითმკვლელობამდე ერთი თვით ადრე, ვიქტორია ლუკასის ფსევდონიმით გამოქვეყნდა. ამ დროს სილვია პლათი ოცდაათი წლის იყო და ტედ ჰიუზთან განშორების შემდეგ თავის ორ ბავშვთან ერთად ლონდონში ცხოვრობდა. საქსტონის ფონდისგან მიღებული თანხებით, რომანი რომ დაესრულებინა, პლათი ბავშვებისთვის ძიძას ქირაობდა და წიგნის პარალელურად "არიელის" ლექსებს წერდა. სწორედ "ზარი - ქოთანით", რომელიც რამდენიმე წელიწადში სხვა ევროპულ ენებზეც თარგმნეს, აღმოაჩინეს ფემინისტებმა სილვია პლათი, როგორც ბრწყინვალე სიმბოლო მეამბოხე ხელოვანი ქალისა, მაშინ, როდესაც პლათის ლექსებმა მხოლოდ 80-იან წლებში ჰპოვეს აღიარება.

"ზარი - ქოთანის" სიუჟეტი პლათის ცხოვრების ადრეულ პერიოდს ემთხვევა, როცა 19 წლის სილვია ნიუიორკში გაზეთის რედაქტორად ერთთვიანი მიწვევის შემდეგ ბოსტონში ბრუნდება და აღმოაჩენს, რომ უბრალოდ, - არ იცის რა აკეთოს. ამ ეტაპზე, როგორც სილვია პლათის, ასევე მისი გმირის დეპრესია, თვითმკვლელობის მცდელობები და ფსიქიატრიული მკურნალობა, მისი ცხოვრებაში დაბრუნებით დასრულდა.

პლათი ეჭვქვეშ აყენებდა რომანის მხატვრულ ღირებულებას. ეს წიგნი მისთვის იყო მხოლოდ ერთგვარი მცდელობა წარსულისგან განთავისუფლებისა. ამიტომ პლათმა მტკივნეულად მიიღო ის ფაქტი, რომ მისი რომანი ბესტსელერი გახდა. პოეტი აპირებდა დაეწერა მეორე წიგნი - ჯანმრთელი ადამიანის თვალით დანახული სამყაროს შესახებ, ვისთვისაც ცხოვრება ზარივით რეკს და არც "ზარი - ქოთანია" და არც "ზარი - ხუფი", რომელიც თავზე თუ დაგემხო, მის ქვეშ ან ნელ-ნელა და ინერტულად ჩაკვდები, ან სტიქიურად განადგურდები.

რაც შეეხება რომანის ენას, მიუხედავად სისადავისა, მისი ცნობიერების ნაკადი, პლათის აღმსარებლური პოეზიის მსგავსად, სიმბოლოებით აზროვნების ფანტასტიური ნიმუშია; იმდენად ბრწყინვალე, რომ რჩება შთაბეჭდილება, პლათი იმ ფაქტსაც კი, რომ ის ქალია, ისე იყენებს, როგორც დიდებულ სიმბოლოს.

**მთარგმნელისაგან**

## სილვია პლათი

# "ზარი - ქოთანი"

## (ნაწყვეტი ავტობიოგრაფიული რომანიდან)

კონსტანტინი ჩემზე გაცილებით დაბალი, მაგრამ თავისებურად ლამაზი იყო - ღია წაბლისფერი თმით, მუქი ლურჯი თვალებითა და ცოცხალი, გამომწვევი იერით. ისეთი ოქროსფერი კანი და კარგი კბილები ჰქონდა, ამერიკელი გეგონებოდათ. მაგრამ მე მაშინვე მივხვდი, რომ ამერიკელი არ იყო. რაც მას შევამჩნიე, არცერთ ამერიკელ მამაკაცში არ მინახავს - ინტუიცია.

კონსტანტინი თავიდანვე მიხვდა, რომ მისის უილიარდის პროტეჟე არ ვიყავი. აქ წარბი ავწიე, იქ - ცალყბად ჩავიცინე და სულ მალე ორივენი აშკარად ვჭორავდით მისის უილიარდს. მე გავიფიქრე: "ეს კონსტანტინი ალბათ ყურადღებას არ მიაქცევს მეტისმეტად მაღალი რომ ვარ, ენები არ ვიცი და ევროპაშიც რომ არ ვყოფილვარ. უამისოდაც მიხვდება, სინამდვილეში ვინც ვარ".

კონსტანტინმა მწვანე მანქანით გაეროს შენობისკენ წამიყვანა. ძველი მანქანა ჰყავდა, სახურავგადახდილი, ყავისფერი ტყავის სავარძლებით. მეუბნებოდა - კანი იმიტომ მაქვს გარუჯული, რომ ჩოგბურთს ვთამაშობო. და ასე, გვერდიგვერდ რომ ვისხედით და მზიან ქუჩებში დავქროდით, ჩემი ხელი აიღო და თავისაში მომუჭა, და თავი ასე ბედნიერად პირველად ვიგრძენი მას შემდეგ, - ცხრა წლის რომ ვიყავი და მამასთან ერთად ცხელ, თეთრ სანაპიროზე დავრბოდი - წინა ზაფხულს, ვიდრე მოკვდებოდა.

როცა მე და კონსტანტინი გაეროს დარაბებიან ოთახში, ჩასხმული და შეუღებავი რუსი გოგოს გვერდით ვისხედით, რომელიც კონსტანტინის მსგავსად სინქრონულად თარგმნიდა, მე იმაზე ვფიქრობდი, რომ უცნაური იყო, რომ ამაზე უწინ არ მიფიქრია, მაგრამ ნამდვილად ბედნიერი მხოლოდ ცხრა წლამდე ვიყავი.

ხოლო მას შემდეგ, მიუხედავად სკაუტებისა და ნაოსნების ბანაკებისა და ფორტეპიანოს და ფერწერის და ცეკვის გაკვეთილებისა, რომლებიც დედაჩემმა ჩემთვის შეაკოწიწა, და მიუხედავად კოლეჯისა, რომელიც ნისლით იყო მოცული საუზმემდე და ძირდამწვარ შაქარლამებამდე, და მიუხედავად ყოველდღე ახალ-ახალი იდეების ნაპერწკლებისა, - ბედნიერი მართლა აღარ ვყოფილვარ.

რუს გოგოს მივაშტერდი - ორმაგსაყელოიან და ნაცრისფერ პიჯაკში, ჩემთვის გაუგებარ ენაზე იდიომას - იდიომაზე რომ აწყობდა. კონსტანტინის თქმით, ეს ძალიან ძნელი გახლდათ, იმიტომ, რომ რუსებს არ ჰქონიათ ინგლისურთან ზუსტად შესატყვისი იდიომები. და როგორღაც, ძალიან მომინდა - შევმძვრალიყავი იმ გოგოს სამეტყველო აპარატში და მთელი დარჩენილი ცხოვრება იქ ვმჯდარიყავი და იდიომა იდიომაზე გამომეჩხრიკა. ამით ალბათ ბედნიერი ვერ გავხდებოდი, მაგრამ სრულ მოძრაობაში ვიქნებოდი, როგორც მთლიანი მექანიზმის პატარა ნაწილი.

მერე თითქმის ყველა დამცილდა - კონსტანტინი და რუსი თარჯიმანი გოგო და მთელი ბრბო - შავი და თეთრი და ყვითელი ადამიანებისა, მიკროფონებში რომ ხმაურობდნენ. შევყურებდი იმათ პირებს, ბგერის გარეშე რომ იღებოდა და იხურებოდა. თითქოს მიმავალი ხომალდის გემბანზე ისხდნენ და სიჩუმეში მარტო მტოვებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმაზე ფიქრი დავიწყე, რისი კეთებაც არ შემეძლო.

პირველი - საჭმლის მომზადება იყო.

ბებიაჩემი და დედაჩემი ისეთი კარგი მზარეულები იყვნენ, რომ ეს საქმე იმათ შევატოვე. სულ ცდილობდნენ ჩემთვის რამე კერძის გაკეთება ესწავლებინათ: შევხედავდი და ვიტყოდი "დიახ, დიახ, გავიგე", რეცეპტები კი ერთი ყურიდან მეორეში გამოფრინდებოდა და მერე ხელს რასაც მოვკიდებდი, ისე ვაფუჭებდი, რომ აღარავინ მთხოვდა, კიდევ მეცადა.

ჯუდი გამახსენდა, ჩემი საუკეთესო და ერთადერთი მეგობარი კოლეჯში. დაწყებით კლასში ვიყავით, როცა ერთ დილას თავის სახლში ერბო-კვერცხი შემიწვა. არაჩვეულებრივი გემო ჰქონდა. ვკითხე - რამე განსხვავებული თუ უყავი-მეთქი, - ყველი და ნივრის მარილი დაემატებინა. არავის უსწავლებია, თვითონ მოვიფიქრეო. მაგრამ ჯუდი ძალიან პრაქტიკული გოგო იყო.

არც სტენოგრაფიის მესმოდა რამე.

ესე იგი - კოლეჯს დავამთავრებდი და სამუშაოს ვერ ვიშოვნიდი. დედაჩემი სულ ჩამჩიჩინებდა - უბრალო ფილოლოგი არავის სჭირდებაო. მაგრამ კარგი ფილოლოგი და თან სტენოგრაფისტი - სულ სხვა იყო. საქმიანი ახალგაზრდები პირდაპირ სანთლით დაეძებდნენ ისეთ მდივან გოგოებს, რომლებიც მათ წერილებს უპრობლემოდ დაშიფრავდნენ და დააგზავნიდნენ.

მაგრამ საქმე იმაში იყო, რომ ფიქრიც კი მძულდა - მამაკაცებისთვის რამენაირი სამსახური გამეწია. მე მინდოდა ჩემი საკუთარი სასწრაფო წერილები მეკარნახა. თანაც, ის პატარა სტენოგრაფიული სიმბოლოები, დედაჩემმა წიგნში რომ მიჩვენა, ისეთივე არარაობა იყო, როგორც, ვთქვათ - t უდრის დროს და S უდრის მთელ მანძილს.

ჩემი სია გაიზარდა.

საშინლად ვცეკვავდი. რიტმს ვერ ვყვებოდი და არც წონასწორობის გრძნობა მქონდა. სპორტულ დარბაზში, ვიწრო ფიცარზე - გაშლილი ხელებით, თავზე წიგნდადებულებს რომ უნდა გაგვევლო, ყოველთვის ვეცემოდი. არც ცხენზე ჯდომა ვიცოდი და არც თხილამურებით სრიალი. არადა, ამ ორი რამის გაკეთება ყველაზე მეტად მინდოდა. იმიტომ, რომ ყველაზე მეტი ფული ღირდა. ვერც გერმანულად ვლაპარაკობდი, ვერც ჰიბრუს ვკითხულობდი და ვერც ჩინურად ვწერდი. მე ისიც კი არ ვიცოდი, რუკაზე სად მდებარეობდა გაეროს ის შორეული ქვეყნები, რომლის წარმომადგენლებიც ახლა ჩემს თვალწინ ფუსფუსებდნენ.

პირველად ჩემს ცხოვრებაში, აქ, გაეროს შენობის ბგერაშეუღწეველ ჯიხურში, კონსტანტინის გვერდით, რომელიც ისევე მშვენივრად თამაშობდა ჩოგბურთს, როგორც თარგმნიდა, და რუსი გოგოს გვერდით, რომელმაც ამდენი იდიომა იცოდა, თავი საშინლად ზედმეტად ვიგრძენი. უბედურება ის იყო, რომ მთელი ამ დროის მანძილზე ზედმეტი ვიყავი. უბრალოდ ამაზე არ მიფიქრია.

ერთადერთი, რაშიც ვვარგოდი, სტიპენდიებისა და ჯილდოების მოგება იყო. და ეს ერაც დასასრულს უახლოვდებოდა.

თავს ისე ვგრძნობდი, როგორც სადოლე ცხენი ქალაქში - იპოდრომების გარეშე, ან კოლეჯის ფეხბურთის ჩემპიონი, ბირჟისა და საქმიანი კაცის პიჯაკის პირისპირ რომ აღმოჩნდება, ძველი დიდების დღეები კი პატარა ოქროს თასად შეკუმშულა და ზედ თარიღია ამოტვიფრული, ისე როგორც საფლავის ქვაზე.

ჩემი ცხოვრება დავინახე. ჩემს წინ დატოტილი, როგორც მწვანე ლეღვის ხე.

ყოველი რტოდან მშვენიერი მომავალი - მწიფე, იისფერი ლეღვის მსგავსად თვალს მიკრავდა და მეძახდა. ერთი ლეღვი ქმარი იყო და ბედნიერი სახლი და ბავშვები; და მეორე ლეღვი იყო ბრწყინვალე პროფესორი; და სხვა ლეღვი იყო - შესანიშნავი რედაქტორი; და სხვა ლეღვი იყო - ევროპა და აფრიკა და სამხრეთ ამერიკა; და სხვა ლეღვი იყო კონსტანტინი და სოკრატე და ატილა. და წყება სხვა საყვარლებისა - უცნაური სახელებითა და პროფესიებით; და კიდევ სხვა ლეღვი იყო - ოლიმპიური ჩემპიონი ქალი ნიჩბოსნობაში; და ამ ლეღვების გარდა და ამ ლეღვების მიღმა იყო კიდევ უამრავი ლეღვი, რომლებიც ეხლა თვალში არ მხვდებოდა.

ჩემს თავს ვხედავდი. ვიჯექი ამ ხესთან და შიმშილისგან სული მძვრებოდა, იმიტომ, რომ არ ვიცოდი, რომელი ლეღვი მომეწყვიტა. იმათგან სათითაოდ ყველა მინდოდა, მაგრამ ერთის არჩევა სხვების დაკარგვას ნიშნავდა; და ვიდრე ასე ვიჯექი და ვერ გადამეწყვიტა, ლეღვები ჭკნებოდნენ და შავდებოდნენ და ფეხებთან ცვიოდნენ.

კონსტანტინის რესტორანს სანელებლებისა და არაჟანის სუნი ჰქონდა. ნიუ-იორკში ყოფნისას ასეთი რესტორანი არსად მინახავს. ყველგან, სადაც მე დავდიოდი - "ღვთაებრივი ჰამბურგერების" სუფთა დახლები მხვდებოდა, და გრძელი სარკეების წინ უზარმაზარ ჰამბურგერებს, წვნიანებს და ოთხნაირ შაქარლამასყიდიდნენ.

ამ რესტორანში რომ მოვხვედრილიყავით, სარდაფის მსგავსად, შვიდი ოდნავ განათებული საფეხური ჩავიარეთ.

გაკვამლულ კედლებს სამოგზაურო რეკლამები ფარავდა, როგორც უამრავი სარკმელი, რომლებიც შვედურ ტბებს და იაპონურ მწვერვალებს და აფრიკულ სტეპებს გადაჰყურებდა. სქელი, მტვრიანი, კონუსური სანთლები თითქოს საუკუნეების მანძილზე ენთო, და ფერადი ცვილი მოწითალო-მოლურჯო-მომწვანო, მშვენიერ, სამგანზომილებიან მაქმანებად იღვრებოდა. მაგიდები სინათლის რკალებში იდგა, სახეები კი ლივლივებდნენ, თვითონაც წამონთებულნი და აალებულნი.

არ მახსოვს, რა შევჭამე, მაგრამ პირველივე ლუკმის შემდეგ თავი გაცილებით უკეთ ვიგრძენი. თავში გამიელვა, რომ მთელი ჩემი წარმოსახვა - ლეღვის ხისა და მწიფე ლეღვებისა, რომ ჭკნებოდნენ და მიწაზე ტყაპა-ტყუპით ცვიოდნენ, ჩემი სტომაქის სიღრმიდან უნდა ამოზრდილიყო.

კონსტანტინი ჭიქებს ტკბილი ბერძნული ღვინით ავსებდა. იმ ღვინოს ფიჭვის გემო ჰქონდა. ჩემს თავს ყური რომ დავუგდე, კონსტანტინს ვუამბობდი, თუ როგორ ვაპირებდი გერმანულის სწავლას და მეგი ჰიგინსის მსგავსად ომში კორესპონდენტად წასვლას.

მაწონსა და მარწყვის მურაბას რომ შევუდექი, თავი უკვე ისე მშვენივრად ვიგრძენი, რომ გადავწყვიტე, კონსტანტინისთვის ნება მიმეცა - ვეცდუნებინე.

მას შემდეგ, რაც ბადი უილიარდმა ოფიციანტი ქალის შესახებ მიამბო, სულ იმას ვფიქრობდი, რომ ვინმესთან თვითონაც უნდა დავწოლილიყავი. ბადისთან დაწოლას აზრი არ ჰქონდა,






იმიტომ, რომ თუ გავყვებოდი, - მერე ის მაინც ერთადერთი იქნებოდა. ამიტომ, სხვა ვინმე უნდა მეპოვნა.

ერთადერთი ბიჭი, ვისთან ყოფნაზეც ოდესმე მიფიქრია, ერთი პირქუში, კეხიანცხვირიანი სამხრეთელი იყო - იელიდან. ის ბიჭი ერთ დღეს კოლეჯში მოვიდა და გაიგო, რომ წინა დღეს შეყვარებული ტაქსის მძღოლთან ერთად გაექცა. ის გოგო ჩემთან ცხოვრობდა და რადგანაც იმ ღამეს ჩემს გარდა შინ არავინ იყო, ბიჭის ხასიათზე მოყვანა მე დამეკისრა.

მახლობელ ყავახანაში, თვალსმიფარებულ, მაღალზურგიან და ზედ ასობით სახელამოჭრილ ხის სკამებზე შევიყუჟეთ. მაგარ ყავას ფინჯანს-ფინჯანზე ვსვამდით და სექსის შესახებ გულახდილად ვსაუბრობდით.

იმ ბიჭმა - მას ერიკი ერქვა, თქვა, რომ გულს ურევდა რასაც ჩემი კოლეჯელი გოგოები აკეთებდნენ. ღამის პირველ საათზე, როცა ზარი რეკდა და ყველას მოუწოდებდა, დასაძინებლად დაწოლილიყვნენ, ისინი გამოდიოდნენ განათებულ აივანზე, ბუჩქებთან და გამვლელების დასანახად, გიჟებივით იხდიდნენ. "ევოლუციის მილიონობით წელიწადი, - თქვა კუშტად ერიკმა, - და ვინ ვართ ჩვენ? - ცხოველები".

მერე ერიკმა მიამბო, როგორ ეძინა ქალთან პირველად.

სამხრეთულ სკოლაში დადიოდა. ის სკოლა ყოველმხრივ ჩამოყალიბებულ ჯენტლმენებს უშვებდა და სკოლას რომ დაამთავრებდი, დაუწერელი კანონი იყო - ქალის გემო უნდა გცოდნოდა. გცოდნოდა ბიბლიური გაგებით, - როგორც ერიკმა თქვა.

ასე რომ, ერთ შაბათს ერიკი და რამდენიმე მისი თანაკლასელი ავტობუსით უახლოეს ქალაქში ჩავიდნენ და ცნობილი საროსკიპო მოინახულეს. ერიკის მეძავს კაბაც არ გაუხდია. სქელი, შუახნის ქალი იყო, წითლად შეღებილი თმა, უცნაურად სქელი ტუჩები და ჩალურჯებული კანი ჰქონდა, და სინათლეც არ ჩაუქრია და ასე ყოფილან - ბუზებით დაწინწკლული ოცდახუთვატიანი ნათურის ქვეშ. და არაფერი იმის მსგავსი არ ყოფილა, რასაც ყვებოდნენო. ისეთივე მოსაწყენი იყო, როგორც საპირფარეშოში ყოფნა.

მე ვუთხარი, რომ ქალი როცა გიყვარს, შეიძლება, ასეთ საძაგლობად არ მოგეჩვენოს-მეთქი, მაგრამ ერიკმა თქვა, რომ ამას ის ფიქრი უფუჭებდა, რომ ეს ქალიც დანარჩენებივით ცხოველი იყო. ასე რომ, თუ ოდესმე ვინმე ეყვარებოდა, არასოდეს დაწვებოდა მასთან. ისევ მეძავთან წავიდოდა და იმ ქალს კი, რომელიც უყვარდა, ამ ჭუჭყიან საქმეში არ გარევდა.

მაშინ გამიელვა თავში, რომ ერიკი ის ადამიანია, ვისთანაც დაწოლა ღირს-მეთქი. გამოცდილი იყო, ეს უკვე გაეკეთებინა და როცა ამაზე ლაპარაკობდა, სხვა ბიჭებისაგან განსხვავებით, არც გარყვნილი და არც სულელი არ ჩანდა. მაგრამ მერე ერიკმა წერილი მომწერა, რომ ნამდვილად შეეძლო ვყვარებოდი, რადგან ჭკვიანი და ცინიკური ვიყავი და მაინც ასეთი კეთილი სახე მქონდა, რომელიც საოცრად ჰგავდა მისი უფროსი დის სახეს. ასე რომ, მივხდი, აზრი აღარ ჰქონდა. ისეთ კატეგორიას მიმაკუთნა, ვისთანაც არასოდეს დაწვებოდა; და მივწერე, რომ სამწუხაროდ უკვე ვთხოვდებოდი ბავშვობის შეყვარებულზე.

რაც უფრო მეტს ვფიქრობდი, სულ უფრო მეტად მომწონდა აზრი, - ნიუ-იორკში თარჯიმანს ვეცდუნებინე. კონსტანტინი ზრდასრული და ყურადღებიანი იყო. არავის ვიცნობდი, ვისთანაც მერე ტრაბახს მოჰყვებოდა, - როგორც კოლეჯის ბიჭები ტრაბახობენ ოთახის მეგობრებთან და თანაგუნდელებთან - გოგო მანქანის უკანა სავარძელზე იმასვქენიო. თანაც, მშვენიერი ირონია იჩითებოდა - დამეძინა კაცთან, რომელიც მისის უილიარდმა გამაცნო. თითქოს, როგორღაც - მისი ბრალი იქნებოდა.

როცა კონსტანტინმა მკითხა, მასთან თუ ვისურვებდი ასვლას ბალალაიკის ჩანაწერების მოსასმენად - გამეღიმა. დედაჩემი სულ მარიგებდა - არავითარ შემთხვევაში არ უნდა წავსულიყავი მამაკაცთან, სახლში, სადილის შემდეგ; რომ ეს მხოლოდ ერთადერთს ნიშნავდა.

"ბალალაიკა ძალიან მიყვარს", - ასე ვუთხარი.

კონსტანტინის ოთახს აივანი ჰქონდა, რომელიც მდინარეს გადაჰყურებდა. სიბნელეში საბუქსირო გემების საყვირის ხმა გვესმოდა. ღელვითა და სინაზით ავივსე და დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩაფიქრებულის ასრულება მართლა მინდოდა.

ვიცოდი, ბავშვი ამყვებოდა, მაგრამ ეს ფიქრი შორეული და ბუნდოვანი იყო და სულაც არ მთრგუნავდა. ასპროცენტიანი საშუალება ბავშვის წინააღმდეგ არ არსებობსო, - ამბობდა სტატია, რომელიც დედაჩემმა "დაიჯესტიდან" ამოჭრა და კოლეჯში გამომიგზავნა. ამ სტატიის ავტორი გათხოვილი, შვილებიანი იურისტი ქალი იყო და სტატიას "უბიწოების დასაცავად" ერქვა.

იქ ჩამოთვლილი იყო ყველა არგუმენტი, თუ რატომ არ უნდა დაიძინოს გოგომ ვინმესთან, ქმრის გარდა. იმასთანაც, - მხოლოდ ქორწინების შემდეგ.

სტატია გვმოძღვრავდა, რომ მამაკაცის სამყარო განსხვავდება ქალის სამყაროსგან, და მამაკაცის გრძნობები განსხვავდება ქალის გრძნობებისგან და მხოლოდ ქორწინებას შეუძლია სწორად შეაერთოს ეს ორი სამყარო და გრძნობების განსხვავებული ქსელი. დედაჩემმა თქვა, რომ ეს ისეთი რამეა, რასაც გოგო თავისით ვერ მიხვდება, ვიდრე კისერს არ წაიტეხს; და ამიტომაც იმ ხალხის რჩევას უნდა უსმინოს, ვინც უკვე გამოცდილია. ე.ი. - გათხოვილ ქალებს.

ის იურისტი ქალი წერდა, რომ საუკეთესო მამაკაცებს სურდათ უბიწოები ყოფილიყვნენ თავიანთი ცოლებისათვის და იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ იყვნენ, სურდათ, ცოლებისთვის თვითონ ესწავლებინათ ეს საქმე. რა თქმა უნდა, ისინი ეცდებოდნენ დაწოლილიყვნენ გოგოსთან და იმასაც დაპირდებოდნენ, რომ მერე ცოლად შეირთავდნენ, მაგრამ გოგო დათანხმდებოდა თუ არა, მთელს მის პატივისცემას კარგავდნენ და ამბობდნენ, რომ თუ მან ეს მათთან გააკეთა, სხვა კაცთანაც იზამდა იგივეს. და ყველაფერი იმით მთავრდებოდა, რომ ამ გოგოს ცხოვრებას გაუმწარებდნენ.

ქალი თავის სტატიას იმით ამთავრებდა, რომ უმჯობესია თავი დაიცვა, ვიდრე - ნანობდე. და ამას გარდა - არ არსებობს საიმედო გზა ფეხმძიმობის წინააღმდეგ. და ხიფათი კი სწორედ აქედან იწყება.

ერთადერთი, რაზეც ეს სტატია არაფერს ამბობდა, ქალიშვილის გრძნობები იყო.

ალბათ მშვენიერი რამ უნდა იყოს - უბიწო გოგო უბიწო კაცზე გათხოვდე, მაგრამ ვაითუ უეცრად, მას შემდეგ რაც ვიქორწინებთ, იმან აღიაროს, რომ უბიწო არ არის, როგორც ეს ბადი უილიარდმა გააკეთა? ვერ ვიტანდი აზრს, რომ ქალს უნდა ჰქო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდა ერთადერთი - უბიწო ცხოვრება და კაცს შეეძლო ჰქონოდა ორი - ერთი უბიწო და მეორე - არა.

საბოლოოდ გადავწყვიტე, რომ თუ ასე ძნელი იყო მეპოვნა ძლიერი, ჭკვიანი მამაკაცი, რომელიც ოცდაერთი წლის ასაკში ჯერ კიდევ უბიწო იქნებოდა, ჯობდა, მეც დამევიწყებინა უბიწოება და მერე გავყოლოდი ვინმე ბიწიერს და როცა ის ჩემი ცხოვრების გამწარებას დაიწყებდა, მეც შემძლებოდა, მისთვის ცხოვრება გამემწარებინა.

ცხრამეტი წლის რომ ვიყავი, უბიწოების თემა დიდი კამათის საგანი გახლდათ.

იმის ნაცვლად, რომ სამყარო დაყოფილი ყოფილიყო კათოლიკეებად და პროტესტანტებად, ან რესპუბლიკელებად და დემოკრატებად, ან თეთრკანიანებად და შავკანიანებად, ან თუნდაც - ქალებად და კაცებად, მე ვხედავდი სამყაროს დაყოფილს ხალხად, რომლებსაც ვინმესთან ეძინათ და ხალხად, რომლებსაც არავისთან არ ეძინათ. და ეს იყო ერთადერთი მნიშვნელოვანი განსხვავება ადამიანებს შორის.

მეგონა, სასაზღვრო ხაზს რომ გადავკვეთდი, ჩემში უზარმაზარი ცვლილება მოხდებოდა.

მეგონა, ეს იმის მსგავსი იქნებოდა, ოდესმე ევროპაში რომ ჩავიდოდი, დავბრუნებოდი სახლში და ჩემს თავს სარკეში დავაკვირდებოდი, მერე საკუთარი თვალის გუგაში პატარა, ალპების თეთრ მწვერვალს შევამჩნევდი. ახლა ვფიქრობდი, რომ ხვალ სარკეში თუ ჩავიხედავდი, ჩემს თვალში თოჯინის ზომის კონსტანტინს დავინახავდი, რომელიც იჯდა და მიღიმოდა.

ასე რომ, თითქმის მთელი საათი ვიცინოდით კონსტანტინის აივანზე. საზურგეებზე გადაწოლილები ვუსმენდით ჩანაწერებს. ჩვენს შორის ბალალაიკის ფირფიტები დახვავებულიყო. ქუჩის ნათურებიდან, თუ - ნახევარმთვარიდან, თუ - მანქანებიდან, თუ - ვარსკვლავებიდან თეთრი, მკრთალი შუქი მოდიოდა. არ ვიცი რატომ, მაგრამ იმის გარდა, რომ ჩემი ხელი ხელში ეჭირა, კონსტანტინს არანაირი სურვილი არ შემჩნევია ჩემი ცდუნებისა.

ვკითხე - დანიშნული თუ იყო, ან შეყვარებული თუ ჰყავდა. ვიფიქრე - საქმე ამაშია-მეთქი. მაგრამ მიპასუხა, რომ ასეთი ურთიერთობებისგან თავი შორს ეჭირა.

მერე ფიჭვის ღვინომ ძილქუში მომგვარა.

"ვფიქრობ, ახლა შევალ და დავწვები", - ასე ვუთხარი.

ანგარიშმიუცემლად შევფრატუნდი საძინებელში და ფეხსაცმლის გაძრობა დავიწყე. სუფთა საწოლი მაშველი ნავივით ქანაობდა. მთელს სიგრძეზე გავიშოტე და თვალები დავხუჭე. მომესმა, კონსტანტინმა რომ ამოიოხრა და აივნიდან შემოვიდა. იმისი ფეხსაცმელები სათითაოდ დაეცა იატაკზე და თვითონ ჩემს გვერდით დაეშვა.

შუბლზე ჩამოშლილი თმიდან ჩუმად გავხედე.

ზურგზე იწვა, ხელები თავქვეშ ამოედო და ჭერს შეჰყურებდა. მისი პერანგის გახამებული სახელოები, იდაყვებამდე აკეცილი - ნახევრადსიბნელეში არამიწიერად ბჟუტავდა; და მისი ოქროსფერი კანი თითქმის შავს ჰგავდა. გავიფიქრე, რომ ის ულამაზესი კაცი იყო, ვინც ოდესმე შემხვედროდა.

გავიფიქრე, რომ სახის ძლიერი ნაკვთები რომ მქონოდა, ან პოლიტიკაზე გამჭრიახი მსჯელობა შემძლებოდა, ან ცნობილი მწერალი რომ ვყოფილიყავი, კონსტანტინს შეიძლება საინტერესოდ მოჩვენებოდა ჩემთან დაწოლა.

მერე, მინდოდა მცოდნოდა - რომ მოვწონებოდი, ჩემთვის ჩვეულებრივ კაცად თუ იქცეოდა; და რა წამს შევუყვარდებოდი, თუ დავინახავდი სათითაოდ მის ყოველ ნაკლს, როგორც ეს ბადი უილიარდთან და იმის წინ სხვა ბიჭებთან დამემართა.

ყოველთვის ერთი და იგივე ხდებოდა:

შორიდან ვინმე სრულქმნილ მამაკაცს მოვკრავდი თვალს, მაგრამ ცოტათი მომიახლოვდებოდა თუ არა - სულ არაფრად ვარგოდა.

ეს ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც გათხოვება არასდროს არ მინდოდა. ყველაზე ნაკლებად სიმშვიდეს ვეძებდი, და სულ არ მეპიტნავებოდა, ვყოფილიყავი მშვილდი, რომელიც ისარს გასტყორცნის, თავად კი ადგილზე რჩება. ცვლილება და მღელვარება მინდოდა, რომ ყველა მიმართულებით თვითონ მექროლა, როგორც ფოიერვერკის ფერად ისრებს.

წვიმის ხმამ გამომაღვიძა.

აბსოლუტური სიბნელე იყო. ცოტა ხანში უცხო ფანჯრის კონტურები გავარჩიე. აქა-იქ სინათლის სხივი გამოჩნდებოდა, ჰაერიდან კედელზე თითის ანაბეჭდივით გადავიდოდა და მერე სულმთლად ფერმკრთალდებოდა.

მერე ვიღაცის სუნთქვა მომესმა.

თავიდან ვიფიქრე, რომ ჩემივე სუნთქვა იყო და სიბნელეში, საკუთარი სასტუმროს ნომერში ვიწექი. სული გავიკმინდე, მაგრამ სუნთქვა მაინც გაგრძელდა.

ჩემს გვერდით, საწოლზე - კომპასივით მეოთხედებად დაყოფილი მწვანე თვალი ენთო. ფრთხილად მივწვდი და ხელი დავაფარე. რომ ავწიე, მკლავიც მოჰყვა - მძიმე, როგორც მკვდრის, მაგრამ ძილისგან თბილი.

კონსტანტინის საათში სამი იყო.

ის იწვა პერანგით და შარვლით და წინდებით ზუსტად ისე, როგორც დავტოვე, ვიდრე ჩამეძინებოდა. თანდათან, სიბნელეს თვალი რომ შევაჩვიე, მისი თვალები, სწორი ცხვირი და მოკუმული, ლამაზი პირი გავარჩიე. ოღონდ, ყველაფერი როგორღაც - გამოგონილს ჰგავდა, თითქოს ნისლში ჩაძირულიყო. რამდენიმე წუთით მისკენ დავიხარე და დავაკვირდი. მამაკაცის გვერდით პირველად მეძინა.

ვცადე, წარმომედგინა, თუ როგორ იქნებოდა ყველაფერი, კონსტანტინი ჩემი ქმარი რომ ყოფილიყო.

ეს ნიშნავდა შვიდ საათზე ადგომას და მისთვის კვერცხის, შებოლილი ხორცის, პურის და ყავის მირთმევას და მერე ფრატუნს - ღამის პერანგითა და ბიგუდებით, მას შემდეგ, რაც სამსახურში წავიდოდა. და მე უნდა დამერეცხა ჭუჭყიანი თეფშები და ლოგინი ამელაგებინა, და მერე როცა დაბრუნდებოდა, თავბრუდამხვევი დღის შემდეგ - დიდ სადილს მოისურვებდა, და მე უნდა მთელი საღამო კიდევ უფრო მეტი ჭუჭყიანი თეფში მერეცხა, ვიდრე საწოლში არ ჩავწვებოდი ქანცგამოცლილი.

თხუთმეტი წლის განმავლობაში სულ ფრიადოსანი გოგოსთვის ამგვარი პერსპექტივა საშინელ და უქმად ჩავლილ ცხოვრებასთან იგივდებოდა, მაგრამ მე ვიცოდი, რომ ქორწინება სწორედ ეს იყო. იმიტომ, რომ - მზარეულობა, წმენდა და რეცხვა იყო ერთადერთი, რასაც ბადი უილიარდის დედა აკეთებდა დილიდან-დაღამებამდე. და ის იყო უნივერსიტეტის პროფესორის ცოლი და თვითონაც კერძო სკოლაში ასწავლიდა.

ერთხელ, ბადისთან რომ მივედი, მისის უილიარდს მისტერ უილიარდის ძველი მაისურების ძაფებით ხალიჩის ქსოვა დაეწყო. იმ ხალიჩის ქსოვას რამდენიმე კვირა მოანდომა. ძალიან მომწონდა - ტვიდის ყავისფერი და მწვანე და ლურჯი ფერები - ერთად ჩაწნული. მაგრამ მისის უილიარდმა ქსოვა რომ დაამთავრა, იმის მაგივრად, რომ ხალიჩა კედელზე ჩამოეკიდა - როგორც ამას მე ვიზამდი, იატაკზე, სამზარეულოს ჭილოფის ნაცვლად დააგდო; ხალიჩა რამდენიმე დღეში გამიწიანდა და გაუფერულდა და ვეღარც გაარჩევდით რომელიმე ერთდოლარიანი ჭილოფისგან.

და მე ვიცოდი, რომ მიუხედავად მთელი იმ ვარდებისა და კოცნებისა და რესტორანში ვახშმებისა, რითაც მამაკაცი ქალს ცოლად შერთვამდე აავსებდა, ერთადერთი, რაც მას ფარულად სურდა, იყო ის, რომ საქორწინო ცერემონიალის ჩათავების შემდეგ ეს ქალი გაბრტყელებულიყო მის ფეხქვეშ, როგორც მისის უილიარდის სამზარეულოს ჭილოფი.

თვითონ დედაჩემმა მიამბო, რომ მან და მამაჩემმა, როგორც კი თაფლობის თვის შემდეგ რენო დატოვეს (მამაჩემი წინა ცოლს უნდა გაყროდა), მამამ ასე უთხრა: "მაშ, ასე, ახლა შეგვიძლია ჩვენ-ჩვენ თავს დავუბრუნდეთ!" და იმ დღიდან დედაჩემს წუთით მოსვენება არ ჰქონია.

მახსოვს, ბადი უილიარდმა როგორ მითხრა თავდაჯერე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულად, ავისმომასწავებლად, რომ ბავშვები რომ მეყოლებოდა, თავს სულ სხვანაირად ვიგრძნობდი - ლექსების წერა აღარ მენდომებოდა. და მე დავიწყე ფიქრი, იქნებ მართლა ასეა და როცა გათხოვდები და ბავშვები გეყოლება, თითქოს ტვინი გადაგირეცხესო, - მონასავით თვითნიერი გახდები-მეთქი.

დავყურებდი კონსტანტინს, - როგორც მბრწყინავ, ხელმიუწვდომელ კენჭს ჩაჰყურებენ ჭის ღრმა ფსკერზე. მისი თვალის ქუთუთოები გაიხსნა და რომ შემომხედა, თვალები სიყვარულით ჰქონდა სავსე.

უსიტყვოდ მივჩერებოდი. მერე სინაზის ბურუსი ცნობიერებამ გაუფანტა და ფართო გუგები დაეწმინდა და ხელოვნური ტყავივით დაუკრიალდა.

კონსტანტინი მთქნარებით წამოჯდა. "რა დროა?"

"ზამია", - მშვიდად ვუთხარი, - "აჯობებს შინ წავიდე. სამსახურში ადრე უნდა ვიყო".

"მანქანით წაგიყვან".

საწოლზე ერთმანეთს ზურგი მივაქციეთ და ღამის ლამფის უსიამოვნოდ თეთრ შუქზე ჩვენ-ჩვენს ფეხსაცმელს ხელსაცეცებით დავუწყეთ ძებნა. ვიგრძენი, რომ კონსტანტინი შემოტრიალდა. "შენი თმა სულ ასეთია?"

"როგორი?"

პასუხი არ გამცა. დაიხარა. ხელი თმაში შემიცურა და ნელა გამოასრიალა, თითქოს მვარცხნიდა. სუსტმა დენმა დამიარა, არ გავნძრეულვარ. ბავშვობიდან მიყვარდა, როცა თმას მვარცხნიდნენ. მეძინებოდა და ვმშვიდდებოდი.

"აჰ, მე ვიცი ეს რაც არის", - თქვა კონსტანტინმა, - "ახალი დაბანილი გაქვს".

და დაიხარა, რომ თავისი კედები შეეკრა.

ერთი საათის შემდეგ ჩემი სასტუმროს საწოლზე ვიწექი და წვიმას ვუსმენდი. წვიმის ხმა არც ჰქონდა, - თითქოს ონკანიდან ასხამდნენ. მარცხენა წვივში ტკივილი გამიახლდა და იმედი აღარ მქონდა, რომ შვიდამდე დავიძინებდი. შვიდზე კი - ჩემს მაღვიძარას უნდა დაეწყო გულმოდგინედ განგაში.

ყოველთვის, როცა წვიმდა, მონატეხი ფეხი თავს მახსენებდა. ეს იყო გამაბეზრებელი ტკივილი.

მე ვფიქრობდი: "ბადი უილიარდმა მომატეხინა ეს ფეხი".

მერე ვფიქრობდი: "არა, მე თვითონ მოვიტეხე, განგებ მოვიტეხე, რომ ჩემი უჯიშო თავისთვის ჭკუა მესწავლებინა".

ინგლისურიდან თარგმნა ლელა სამნიაშვილმა

არილი




## ხულიო კორტასარი



# ედგარ პოს ცხოვრება

## ახალგაზრდობა

დასაწყისი იხ."არილი", N16, 17

ჯარისკაცი ედგარ ა.პერი უნაკლოდ მსახურობდა და მალე სერჟანტ-მაიორის წოდებაც მიიღო. მაგრამ იგი სევდიან ზიზღს გრძნობდა გარემომცველი უფერულებისა და უნიჭობის მიმართ, თანაც მას უკვე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ლიტერატურისთვის მიეძღვნა თავი, რისთვისაც თავისუფალი დრო, ბიბლიოთეკები და სხვა წრის ადამიანებთან კონტაქტი იყო აუცილებელი. ყველაფერმა ამან იგი აიძულა ჯონ ალანთან შერიგების გზები ეძია. ედგარ პომ ხუთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და მას ჯერ კიდევ სამი წელი ჰქონდა წინ. ასე რომ, ედგარმა თხოვნით მიმართა ალანს, რათა მას ეუწყებინა სამხედრო ხელმძღვანელობისთვის აღსაზრდელის თადარიგში დათხოვნის შესახებ. ალანმა მას არ უპასუხა, მაგრამ მალე ედგარი ვირჯინიაში გადაიყვანეს. იგი თავის სახლთან ახლოს აღმოჩნდა, "დედის" მონახულების სურვილი ჰკლავდა - მისი მდგომარეობა ხომ სულ უფრო უარესდებოდა. ედგარი უკვე მიხვდა, რომ ალანი არ დათანხმდებოდა არმიიდან მის დათხოვნას, თუკი ერთხელ მაინც ახსენებდა ლიტერატურულ კარიერას და

გადაწყვიტა დროებით კომპრომისზე წასულიყო იმ იმედით, რომ აღმზრდელი მხარს დაუჭერდა მის წინადადებას უესტ-პოინტის აკადემიაში ჩაბარების შესახებ. ეს უკვე ბრწყინვალე კარიერა იქნებოდა და ალანიც დათანხმდა. მაგრამ სწორედ მაშინ მოუწია ედგარს მეორეჯერ განეცადა დიდი დანაკლისი - "დედა" ფრენსის ალანი გარდაიცვალა; ალანის წერილი ძალზე გვიან ჩავიდა ედგართან და მომაკვდავის უკანასკნელი ნება არ იქნა აღსრულებული - იგი ხომ სიცოცხლის ბოლომდე იხვეწებოდა, მისთვის ედგარი ეჩვენებინათ. ედგარი მიცვალებულსაც ვერ გამოემშვიდობა, იგი მხოლოდ საფლავზე მივიდა (რომელიც "ელენეს" საფლავთან იყო ახლოს და მის გულშიც ამ ორმა ქალმა გვერდიგვერდ დაიმკვიდრეს ადგილი) და გონწასული ეკიპაჟამდე შავკანიანმა მსახურებმა მიიყვანეს.

უესტ-პოინტში ჩაბარებას ბალტიმორში გამგზავრება უძღოდა წინ. ედგარმა თავის ნამდვილ ნათესავებთან ურთიერთობის აღდგენა მოისურვა, რაც აღმზრდელის მისდამი დამოკიდებულების გამო განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა. თანაც, იგი ერთგული რჩებოდა თავისი გადაწყვეტილებისა და ცდილობდა "ალ-აარაფი", დიდი პოემა დაებეჭდა, რომელზედაც იგი თავის, ჯერ კიდევ უსაფუძვლო იმედებს ამყარებდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს პერიოდი გადამწყვეტი აღმოჩნდა პოს ცხოვრებაში - თუმცა კი მისი ბიოგრაფები ასე არ ფიქრობენ, რადგანაც ამ დროს განვითარებული მოვლენები არ იყო აღბეჭდილი განსაკუთრებული დრამატიზმითა და თეატრალურობით. მაგრამ სწორედ 1829 წლის მაისში, ალანის მიერ ცხოვრებისთვის და უესტ-პოინტში ჩასაბარებლად გამოყოფილი უმცირესი თანხებით ედგარი პირველ კონტაქტებს ამყარებს ჟურნალების რედაქტორებსა და გამომცემლებთან. როგორც მოსალოდნელი იყო, უსახსრობის გამო მან ვერ შეძლო პოემის გამოცემა. ედგარი გაჭირვებაში ცხოვრობდა და იძულებული გახდა დეიდასთან, მარია კლემთან გადასულიყო საცხოვრებლად, სადაც ასევე ცხოვრობდა მისი ბებია, მამის მხრიდან, მისის დევიდ პო, უფროსი ძმა (ძალზე ბუნდოვანი პერსონაჟი: იგი ოცდახუთი წლისა გარდაიცვალა, მემკვიდრეობითი სნება მისთვის ყველაზე სწრაფი და საბედისწერო აღმოჩნდა) და მისის კლემის შვილები, ჰენრი და პატარა ვირჯინია. სწორედ ამ უკანასკნელთანაა დაკავშირებული პოეტის ყველაზე რთული და მარად ამოუხსნელი გამოცანა.

გავუსწრებთ მოვლენებს და აღვნიშნავთ: მისის კლემი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ედგარის მფარველ-ანგელოზად იქცა, მის ნამდვილ დედად (ერთ-ერთ სონეტში პოეტი ამ სიტყვით ამკობს მას), რომელსაც მოფერებით "მადი"-ს ეძახდა. ედგარი მის ღარიბულ სახლში დაბინავდა, მისის კლემი კერვითა და ნათესავებისა თუ მეზობლების გულმოწყალებით არჩენდა ოჯახს. ედგარს მხოლოდ თავისი ახალგაზრდობა და მომავალი წარმატებების იმედი შეეძლო შეეთავაზებინა. მადიმ იგი ისე მიიღო, თითქოს თავიდანვე მიხვდა, თუ რა იყო ედგარისთვის ყველაზე აუცილებელი. მას მხურვალედ შეუყვარდა ყმაწვილი, რაშიც არაერთხელ დავრწმუნდებით. ახლა ედგარს თავშესაფარი ჰქონდა - მანსარდა, რომელსაც თავის მომაკვდავ (იგი ჭლექით იყო დაავადებული) ძმასთან იყოფდა. იგი ბევრს მუშაობდა და ცდილობდა კონტაქტი დაემყარებინა გამომცემლებთან და კრიტიკოსებთან. ჯონ ნილის, იმ დროისთვის საკმაოდ სახელგანთქმული მწერლის რეკომენდაციების წყალობით "ალ-აარაფის" გამომცემელიც გამოჩნდა. პოემა "თემურლენგთან" და სხვა ლექსებთან ერთად გამოვიდა, უკვე ყველასგან დავიწყებული პირველი კრებულიდან.

ედგარი კმაყოფილი უნდა ყოფილიყო. იგი დაბრუნდა



მარია კლემი

რიჩმონდში, რათა ჯონ ალანის სახლში - რომელიც ჯერ კიდევ "მის" სახლადაც ითვლებოდა - დალოდებოდა უესტ-პოინტში მეცადინეობის დაწყებას. ედგარისთვის ძნელი გამოსაცნობი იყო, თუ რას მოიმოქმედებდა აღმზრდელი ამგვარ სიტუაციაში, მან ხომ უარი თქვა ლექსების გამოცემაზე, თუმცა კი იგი მაინც გამოვიდა წიგნად. ედგარი, ცხადია, თავისი ლიტერატურული გეგმებით იყო გატაცებული და ახალი წიგნის ეგზემპლარებსაც ურიგებდა მეგობრებს (მათ მაინც ვერაფერი გაუგეს ლექსებს, უნივერსიტეტის მეგობრებმაც კი). ბოლოს და ბოლოს, ალანის შენიშვნამ ედგარის "უსაქმურობის" შესახებ, მორიგი უთანხმოება გამოიწვია. მაგრამ 1830 წლის მარტში პო მაინც ჩაირიცხა სამხედრო აკადემიაში; ივნისის ბოლოს მან გამოცდები ჩააბარა და ფიცი მისცა.

ღირს კი იმაზე საუბარი, თუ რა სევდიანმა შეაბიჯა მან უესტ-პოინტში, სადაც კიდევ უფრო მძიმე და უსიამოვნო მოვალეობები ელოდა, ვიდრე რიგითი ჯარისკაცის სტატუსი მოითხოვდა ამას. მას - ისევე როგორც სამი წლის წინ - არჩევანი არ ჰქონდა: ან "კარიერა", ან შიმშილით სიკვდილი. სამხედრო ფორმის მოჩვენებითი ღირსებისა და ბრწყინვალებისთვის იგი თავის ახალგაზრდობას წირავდა. ედგარს კარგად ესმოდა, რომ იგი არ იყო გაჩენილი ასეთი ცხოვრებისთვის (თუნდაც ფიზიკური თვალსაზრისით): ოდესღაც კაჟივით ჯანმრთელმა ორგანიზმმა მალე დაიწყო რღვევა და კადეტის მკაცრი ყოფაც მისთვის აუტანელი გახდა. მაგრამ გაცილებით უფრო მწვავედ რეაგირებდა მისი ორგანიზმი იმ აპათიასა და სევდაზე, რომელიც აკადემიაში დაეუფლა მას, სადაც თითქმის არ რჩებოდა დრო ფიქრისა და შემოქმედებისთვის. ჯონ ალანმა, თავის მხრივ, იგივე პოზიცია დაიკავა, როგორც ედგარის უნივერსიტეტში სწავლისას ჰქონდა: უეცრად აღმოჩნდა, რომ გამოგზავნილი ფული ყველაზე აუცილებლისთვისაც კი არ იყო საკმარისი და აზრი არ ჰქონდა თხოვნის წერილების გაგზავნას, იმის მტკიცებას, თუ რა სასაცილოდ გამოიყურებოდა იგი თავისი მდიდარი ამხანაგების თვალში. მას მხოლოდ "ბრძენის" ავტორიტეტი შველოდა და ის სილაღე, რითაც იგი თავის გაუგონარ მოგზაურობებსა და რომანტიული თავგადასავლების ამბებს იგონებდა. ბევრს სჯეროდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მისი - შემთხვევითი არაა, რომ ნახევარი საუკუნის შემდეგ, ამ ისტორიებმა პოეტის ბიოგრაფიაში დაიდეს ბინა. ედგარის ამაყი, გესლიანი ხასიათიც უწყობდა ამას ხელს, თუმცა ამგვარ თვისებებს ყოველთვის როდი მოაქვს სიკეთე ადამიანისთვის... ედგარი მალე დარწმუნდა ამაში. მას სული ეხუთებოდა აკადემიაში - უხამსი, გულისრევამდე მოსაწყენი, წარმოსახვისაგან და შემოქმედებითი ენერგიისგან დაცლილი ატმოსფერო დამთრგუნველ გავლენას ახდენდა მასზე. გაურბოდა ყველაფერს, ხშირად მარტოვდებოდა, თავის მომავალ პოეტიკაზე ფიქრობდა (კოლრიჯის მნიშვნელოვანი დახმარებით). ამავე დროს, "შინიდან" ჯონ ალანის ახალი ქორწინების ამბავიც მოვიდა, იგი მიხვდა, რომ მხარდაჭერის იმედი აღარ უნდა ჰქონოდა და არც შემცდარა ამაში: ალანი კანონიერ შვილებზე ოცნებობდა, ახალმა მისის ალანმა კი პირველივე დღიდან გამოხატა ზიზღი უცნობი "ნაბუშარის" მიმართ, რომელიც უესტ-პოინტში სწავლობდა.

ედგარს იმედი ჰქონდა, რომ კურსს ექვს თვეში გაივლიდა - ძირითადად ადრე მიღებული საუნივერსიტეტო და სამხედრო განათლების საფუძველზე; მაგრამ აღმოჩნდა, რომ ადმინისტრაციული მიზეზების გამო ეს შეუძლებელი იყო. როგორც ჩანს, მას დიდხანს არ უფიქრია, აღარც ალანის იმედი ჰქონდა და ამიტომ მისი რისხვაც არ აშინებდა: მან გადაწყვიტა აკადემიიდან თავისი გარიცხვა მოეწყო: უესტ-პოინტის დატოვება მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი, ისე რომ, არც დადებულ ფიცს არღვევდი. ჩანაფიქრის განხორციელება ადვილი აღმოჩნდა. ედგარი ბრწყინვალე მოსწავლედ ითვლებოდა და ამიტომაც მან დისციპლინარული დარღვევების გზა აირჩია. ხშირ და განზრახ ჩადენილ "დანაშაულებს" - მაგალითად, მეცადინეობების, ან რელიგიურ მსახურებათა გაცდენებს - შეუძლებელი იყო გარიცხვა არ მოჰყოლოდა. მაგრამ მანამ, სანამ ეს მოხდებოდა, ედგარმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ იგი იშვიათი იუმორითაა დაჯილდოებული: ერთ-ერთი პოლკოვნიკის დახმარებით მან მოახერხა, რომ კადეტებს ხელმოწერებით შეეგროვებინათ ფული მისი ახალი, უესტ-პოინტში შექმნილი ლექსების კრებულის გამოსაცემად. ყველას ეგონა, რომ ეს აკადემიის შესახებ დაწერილი სატირული, თავშესაქცევი კუპლეტები იქნებოდა, მაგრამ გაოგნებულმა მკითხველმა იქ "იზრაფილი", "ელენეს" და "ლინორი" აღმოაჩინა. ადვილი მისახვედრია, რა რეაქცია მოჰყვებოდა ამას.

ალანთან ურთიერთობის შეწყვეტა საბოლოო აღმოჩნდა, თანაც საქმეს ედგარის კიდევ ერთი უხეში შეცდომა ართულებდა: სრულიად უიმედომ, მან წერილი გაუგზავნა მევალეს, სადაც თავის გასამართლებლად აღმზრდელის სიძუნწეს იმოწმებდა და მას ლოთს უწოდებდა. უკანასკნელმა შენიშვნამ - რაც სიცრუე იყო! - ალანის ყურამდეც მიაღწია. ედგარისადმი მიწერილი მისი ბარათი არ შემორჩა, მაგრამ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა საშინელებები ეწერა იქ. ედგარმა უპასუხა, იგი კიდევ უფრო ხაზს უსვამდა თავის შეფასებებს და საყვედურებით ავსებდა "მამობილს". ამის შემდეგ, 1831 წლის 19 თებერვალს, მან შემოისხა კადეტის ლაბადა (რომელსაც იგი სიცოცხლის ბოლომდე ატარებდა), ავიდა გემზე და ნიუ-იორკში გაემგზავრა ბედნიერებისა და საკუთარი თავის საძიებლად.

მარტში მშიერი და ნატანჯი პო ლამის რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებულ პოლონელთა რიგებში ჩაეწერა. მას უარი ეთქვა. სამაგიეროდ, ამავე დროს გამოვიდა ლექსების პირველი, ყველაზე გამორჩეული წიგნი, "მოკრძალებული ძღვენი სამხედრო აკადემიას". ახალ ლექსებში პომ უკვე სრულად აჩვენა თავი, მათში (მიუხედავად მრავალრიცხოვანი გადაკეთებისა, რომელიც განიცადა ამ ლექსებმა) საოცარი შუქით აკიაფდა მისი პოეტური გენიის მთავარი ნიშნები - თუმცა, ისინი მხოლოდ რამდენიმე კრიტიკოსმა თუ შეამჩნია. სიტყვიერი მაგია - აი, ყველაზე საკვირველი რამ მის პოეზიაში და სწორედ მისი წყალობით გამოიხატა მშფოთვარე და იდუმალებით მოცული ლირიკული განწყობილება როგორც სასიყვარულო ლექსებში, სადაც "ელენესა" თუ ელმირას აჩრდილები დაფარფატებენ, ისე მეტაფიზიკურ, ლამის კოსმოგონიურ ქმნილებებშიც. გაჭირვებით განაწამები ედგარი ბალტიმორში დაბრუნდა და კვლავ მისის კლემთან ჰპოვა თავშესაფარი. იგი უკვე დარწმუნებული იყო თავისი არჩევანის სისწორეში და იმაში, რომ - სისუსტეების, ნაკლისა და შფოთვის მიუხედავად - მან შეძლო "არ ეღალატა საკუთარი თავისთვის".

ბალტიმორში ჩამოსვლისთანავე გარდაიცვალა მისი უფროსი ძმა. ახლა იგი მარტო დარჩა მანსარდში, რომელსაც ადრე ავადმყოფთან ერთად იყოფდა და შეეძლო შედარებით მყუდრო სიტუაციაში ემუშავა. მისი ყურადღება - აქამდე ერთთავად პოეზიაზე მიმართული - მოთხრობაზე გადადის, ჟანრზე, რომელიც "უკეთ იყიდება"; ამ ფაქტორს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისთვის. თანაც ეს ჟანრი ძალზე აინტერესებდა ახალგაზრდა ავტორს. ედგარი მალე დარწმუნდა: სწორად მიმართული მისი პოეტური ნიჭი პროზაში სრულიად განსაკუთრებულ ატმოსფეროს შექმნიდა და ეს ატმოსფერო დაიმორჩილებდა სხვა ყველაფერს. ამ აღმოჩენამ, უპირველეს ყოვლისა, თავად იგი განაცვიფრა. მთავარი იყო მოთხრობა და პროზაული ლექსი არ აერია ერთმანეთში, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი იყო, თავად მოთხრობა არ დამგვანებოდა რაღაც რომანის ნაწყვეტის მაგვარს. ასეთ ელემენტარულ შეცდომებს ედგარი არ დაუშვებდა და პირველი გამოქვეყნებული მოთხრობაც, "მეტცენგერშტაინი", ათენასავით იშვა, მთელი თავისი აღჭურვილობით - მას ყველა ის ღირსება ახასიათებდა, რომელსაც მომდევნო წლებში პო სრულყოფილებამდე აიყვანს.

თარგმნა შალვა მიქანდარამ

გაგრძელება შემდეგ ნომერში




# MarGAret Atwood

8 ოქტომბერს ლონდონში ბრიტანული ბუკერის მორიგი ლაურეატი დასახელდა. ჯილდო წილად ერგო 61 წლის კანადელ პოეტსა და პროზაიკოსს, მარგარეტ ეტვუდს რომანისთვის "ბრმა მკვლელი".

წელს ეტვუდი მეოთხედ მონაწილეობდა ბუკერის მარათონში. 1989, 1993 და 1998 წლებში ბუკერზე წარდგენილი იყო მისი რომანები: "ელიას გრეისი", "მოახლის ნაამბობი" და "რეზინის საცოლე".

წელს კი როგორც კრიტიკოსებს, ისე გამომცემლებს შორის ეტვუდი აშკარა ფავორიტი იყო. ამის დასტურია ბუკერის ექსპერტთა მიერ მის სასარგებლოდ მიცემული 120 ხმა. ეს მაღალი შეფასება ხუთკაციანმა უმაღლესმა ჟიურიმაც გაიზიარა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ჟურნალისტი და ლიტერატურათმცოდნე საიმონ ჯენკინსი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი როი ფოსტერი, მწერალი და ლიტერატურის რადიოანალიტიკოსი მარიელა ფროსტრუფი, "სანდი თაიმსის" ლიტერატურული რედაქტორი კეროლინ გასკოინი და მწერალი როუზ ტრემეინი.

"ბრმა მკვლელის" გარდა, წლევანდელ ბუკერზე წარდგენილი იყო მაიკლ კოლინზის "ჭეშმარიტების მცველნი", კაზუო იშიგუროს "ჩვენ რომ ობლები ვყოფილიყავით", მათეო კნილის "მამა მაკგრეივის ჩვენება" და ტრეზ აზოპარდის "ფარული ადგილი".

მიუხედავად წარუმატებლობისა, თითოეულ მათგანს 1000 გირვანქა სტერლინგი გადაეცემა, ხოლო გამარჯვებულის ფულადი ჯილდო 21.000 გირვანქა სტერლინგს (29.980$) შეადგენს.

"ბრმა მკვლელი" იწყება ფრაზით, რომელსაც ეყრდნობა მთელი რომანი: "ომის დასრულებიდან ათი დღის შემდეგ, ჩემი და ლაურა მანქანით ხიდზე გადადიოდა"... მთხრობელი აირისია, 82 წლის მოხუცი ქალი, ლაურას და, რომელიც იხსენებს განვლილ ცხოვრებას და ყველაფერს, პირდაპირ თუ ირიბად, ლაურას ნაადრევ და ტრაგიკულ სიკვდილს უკავშირებს.

მიუხედავად იმისა, რომ რომანს ერთი მთხროებელ ჰყავს, ნაწარმოებში დროდადრო იცვლება პირი, აქა-იქ კი ჩართულ ნოველებსაც ვხვდებით.

ეტვუდი ცნობილია, როგორც მწერალი, რომელიც გამუდმებით ქალთა პრობლემებს უტრიალებს. ამის გამო მას ხშირად მოიხსენიებენ ფემინისტ მწერლად. მართლაც, ეტვუდი ქალთა საერთაშორისო მოძრაობის დიდი მხარდაჭერით სარგებლობს, რაც ალბათ არცთუ უმნიშვნელო ფაქტორი იქნებოდა ბუკერის ჟიურისათვის.

"როცა ქალთა მოძრაობა დღის სინათლეზე გამოვიდა, მე გაოცებული ვფიქრობდი, აქამდე სად იყვნენ-მეთქი?" - ამბობს ეტვუდი. "სწორედ ისინი იყვნენ პირველნი, ვინც მართლა გაიგო, თუ რის შესახებ ვწერდი... მათ განმიმტკიცეს რწმენა, რომ სწორ გზაზე ვიდექი".

როცა მარგარეტ ეტვუდი 20 წლის დამწყები პოეტი იყო, მას ხშირად უწევდა ლექსების კითხვა ტორონტოს ერთ-ერთ ყავახანაში, სადაც მისი თაობის ლიტერატორები იკრიბებოდნენ. ეს გარემო თითქოს იდეალური უნდა ყოფილიყო ახალბედა პოეტისათვის, მაგრამ, როგორც თავად ამბობს, იმ წლებს ზიზღის გარეშე ვერ იხსენებს. რატომ? თურმე ამის მიზეზი ის საშინელი შიში ყოფილა, რომელსაც ეტვუდი ლექსების ხმამაღალი კითხვისას განიცდიდა და რომელიც თურმე დღემდე მოჰყვება. მაგრამ მწერალი იმასაც აღიარებს, რომ ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოცდილება იყო მის ცხოვრებაში, გამოცდილებაც და გაკვეთილიც.

ეტვუდის პირველი რომანი 1969 წელს გამოიცა. დღეს იგი 25 პროზაული და 12 პოეტური წიგნის ავტორია. ამასთანავე მას გამოცემული აქვს რამდენიმე საბავშვო წიგნი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, წერა ჯერ კიდევ ძალიან უჭირს. "ბრმა მკვლელის" წერა მან სამჯერ დაიწყო და მიატოვა, თანაც სამივე შემთხვევაში თხრობა სხვადასხვა პირში სცადა, ვიდრე ბოლოს და ბოლოს აირისის ხმა არ ჩაესმა.

"ბრმა მკვლელი" ეტვუდის რიგით მეათე რომანია. მისი რედაქტორი და გამომცემელი ელენ ზელიგმანი ვარაუდობს, რომ ეტვუდისადმი ბუკერის პრემიის მინიჭება საგრძნობლად გაზრდის ევროპელების ინტერესს კანადური ლიტერატურისადმი. "თუ დღემდე ევროპელებისათვის კანადური მწერლობა მხოლოდ მაიკლ ონდაჩესთან და მორდეხაი რიხლერთან ასოცირდებოდა, დღეიდან ისინი ახალი საინტერესო სახელების ძიებას შეუდგებიან", - თქვა ზელიგმანმა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მარგარეტ ეტვუდი

# პირველი გაკვირვება



ამ ურთიერთკავშირის შესახებ მიწევს საუბარი, რომელიც არსებობს ცხოვრებასა და პოეზიას შორის, უკიდურეს შემთხვევაში - ჩემს ცხოვრებასა და ჩემს პოეზიას შორის. არც ისე დიდი ხნის წინ წავიკითხე ნარკვევი, რომლის თანახმად, ასაკოვანი მწერლები, ასე ვთქვათ - ჩემი ხნის ხალხი, ყოველნაირად ცდილობენ, მკაცრად აკონტროლონ თავიანთი ბიოგრაფიები, დახვეწონ და ალამაზონ თითოეული წვრილმანი ეპიზოდი. მოკლედ, გააყალბონ წარსული. გამოდის, ეს ჩვენი ასაკისათვის დამახასიათებელი თვისება ყოფილა. არადა, როცა წერ ნაწარმოებს, სადაც ყველაფერი გამოგონილია, ყველას ჰგონია, რომ სიუჟეტიც და პერსონაჟებიც რეალური ცხოვრებიდან არიან ნასესხები, თანაც მხოლოდ ავტორის ცხოვრებიდან, მაგრამ როგორც კი ავტობიოგრაფიის წერას გადაწყვეტ, ჩათვალე, რომ შენს ერთ სიტყვასაც არავინ დაიჯერებს, უკეთეს შემთხვევაში, იტყვიან, რომ შენ არამარტო მათ, არამედ თავსაც იტყუებ.

ეს უკანასკნელი მოსაზრება, შესაძლოა, მართლაც იყოს, განსაკუთრებით - პოეტებთან დაკავშირებით. პლატონმა თქვა, რომ იდეალური სახელმწიფოს შექმნის უმთავრესი პირობა - პოეტების გაძევებაა, რადგან ისინი - ყველანი - მატყუარები არიან. მე ვარ პოეტი და მე ვადასტურებ, რომ ეს სიმართლეა. თანაც პოეტები არაფერზე ტყუიან იმდენს, რამდენსაც საკუთარ თავზე. მე ვიცნობ ერთ პოეტს, - მრავალთაგან ერთ პოეტს, - რომელიც თავისი ბიოგრაფიის მინიმუმ ხუთ განსხვავებულ ვერსიას ავრცელებს და, ცხადია, მათგან არცერთი არ არის მართალი. მე, როგორც შეთავსებით პროზაიკოსს, იქნებ ოდნავ უფრო დამეჯერება, ვიდრე პირწმინდა პოეტებს, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს, რადგან ლექსებსაც ვწერ და, ბუნებრივია, არავინ მენდობა.

მოდით, ჯერ ვნახოთ ოფიციალური ვერსია ჩემი, როგორც პოეტის, ცხოვრების.

მე ერთხელ ვიყავი ცხვირაბზუებული ქერა გოგონა. მერქვა ბეტი. მქონდა მხიარული ხასიათი და გახლდით კოლეჯის საფეხბურთო კლუბის თავგადაკლული გულშემატკივარი. ჩემი საყვარელი ფერი იყო ალისფერი. შემდეგ გავხდი პოეტი. წინა ღამით ჩემი თმა გამუქდა, ცხვირი დაგრძელდა, ფეხბურთი ვიოლონჩელომ შეცვალა, ჩემი ნამდვილი სახელი გაქრა და ადგილი დაუთმო მეორეს, რომელიც უფრო პოეტურად ჟღერდა და ლიტერატურაში დამკვიდრების მეტი შანსი ჰქონდა, განჯინაში კი ფერი იცვალეს ჩემმა კაბებმა - ყველამ უკლებლივ - ისინი გაშავდნენ. მე გავიჟღინთე ოკლაჰომას სიმღერებით და საუბრისას კირკეგორის ციტირებას მოვუხშირე. ჩემმა ფეხსაცმელებმა არამარტო ქუსლები დაკარგეს, საერთოდ გათავხედდნენ და სანდლებად იქცნენ. ზედმეტიცაა აღნიშვნა, რომ ჩემი ყველა ბოიფრენდი ერთნაირად დააფრთხო ჩემმა გარდასახვამ და მათ ბლავილით დატოვეს სცენა, თითქოს უეცრად გაჩენილი ცეცხლისაგან ცდილობდნენ თავის დაძვრენას. ისინი ახლებმა შეცვალეს - ყველანი წვერიანები იყვნენ.

რა ვქნათ, დავიჯეროთ ეს ყველაფერი? ალბათ არის ამ ნაამბობში სიმართლის მარცვალი. მართალია, სახელი იყო არა ბეტი, არამედ რაღაც სხვა - გაცილებით არაპოეტური, თუმცა ასოების იგივე ოდენობით, მაგრამ სახელში ხომ არ არის საქმე?!.. ბოიფრენდების ამბავიც ცოტა საეჭვოა, მაგრამ ეჭვშიც ხომ არის სიმართლის მარცვალი?! მოკლედ, თუ მოვინდომებთ, ჩემს ნაამბობში სიმართლესაც ვიპოვით, ოღონდ ძალიან თუ მოვინდომებთ.

პოეტი რომ გავხდი, თექვსმეტი წლის ვიყავი. ყველაფერი ჩემდაუნებურად მოხდა, მე ამ საქმეში უდანაშაულო ვარ.

ნება მომეცით, აღვადგინო სცენა და დეკორაციები. ეს იყო 1956 წელი. ელვის პრესლი სწორედ მაშინ გამოჩნდა ედ სალივანის შოუში. სკოლის დისკოთეკებზე, რომლებიც გიმნაზიებში ეწყობოდა და ოფლის სუნით გაჯერებულიყო, ყველაზე ღვთაებრივ ცეკვას როკ-ენ-როლი წარმოადგენდა. მაშინდელი მოდა - მაღალყელიანი და დეზებიანი თეთრი ჩექმები, უზონარო საღამოს კაბები ან კრინოლინის განიერი ქვედაბოლოები, რომელშიც ემსგავსებოდი ნახევარკომბოსტოს ბოლოკის თავით. სკოლაში ჯინსებით სიარული გვეკრძალებოდა, მაგრამ იყო გამონაკლისებიც - ფეხბურთის დღეები. მოედნის ზემოთ ბორცვი იყო და გულშემატკივარი გოგოები სწორედ იქ ვსხდებოდით. შარვლები რომ არ გვცმოდა, წარმოიდგინეთ, როგორი ხედი გადაეშლებოდათ თავზემოთ მოთამაშე ბიჭებს... ამიტომ იყო, რომ ასეთ დღეებში ჯინსები არ იკრძალებოდა.

ალბათ იფიქრებთ - და მართალიც იქნებით - რომ ასეთი გარემო ვერაფრით შეუწყობდა ხელს მოზარდის პოეზიით დაინტერესებას. ვინმეს რომ ეთქვა ჩემთვის, ერთი წლის შემდეგ ლექსების წერას დაიწყებო, სიცილით მოვკვდებოდი. მაგრამ ეს მოხდა.

დაწყებით სკოლაში სწავლის მეოთხე წელი იწურებოდა. სკოლა იყო ტორონტოში, რომელიც 1956 წელს ჯერ კიდევ ინარჩუნებდა "კეთილგონიერი ქალაქის" სახელს, ალბათ მისი პურიტანული კანონმდებლობის გამო. ეს ქალაქი ბრმა უმწიკვლობის სიმბოლოს წარმოადგენდა. ასეთივე იყო ჩემი სკოლაც, რომელიც მაღალკვალიფიციური სპეციალისტების უწყვეტი ნაკადით ამარაგებდა მინისტრთა კაბინეტს, მაგრამ ჯერ არავის ახსოვს, მის წიაღში პოეტი ჩასახულიყოს; არც ჩემამდე და არც შემდეგ.

დღე, როცა პოეტად ვიქეცი, იყო მზიანი და ისეთი, ცუდს რომ არაფერს ელოდები ადამიანი. სირბილ-სირბილით ვკვეთდი საფეხბურთო მოედანს - იმიტომ კი არა, რომ ვვარჯიშობდი ან გასახდელის უკან სიგარეტის მოსაწევად მეჩქარებოდა, - უბრალოდ, ეს იყო ჩემი ჩვეული მარშრუტი, რომლითაც სკოლიდან სახლში ვბრუნდებოდი. მივუყვებოდი ჩემს ყოველდღიურ გზას, სრულიად ჯანმრთელი და უეცრად უზარმაზარი და უხილავი ცერა თითი დაეშვა ციდან, დაეშვა და თავზე დამეჭირა... და გაჩნდა ლექსი. ეს იყო პირქუში ლექსი, სწორედ ისეთი, თექვსმეტი წლის პოეტს რომ ეკადრება. ეს იყო ძღვენი, ძღვენი ანონიმი დონორისაგან, რომელიც იმ წუთში ჩემთან ერთად და ჩემსავით აღეგზნო.

ვფიქრობ, ყველა პოეტი დაახლოებით ასე იწყებს ლექსების წერას, მაგრამ მათ ამის გამხელა რატომღაც არ სურთ; ამიტომაც იგონებენ ათასგვარ უფრო დამაჯერებელ ისტორიებს. არადა, ყველაფერი სწორედ ისე ხდება ხოლმე, როგორც მე ვამბობ. ყველას მოვუწოდებ, აღიაროს ჩემი სიმართლე.

ლექსი, რომელიც გაჩნდა იმ შემთხვევით გამორჩეულ დღეს, მართალია, უნუგეშოდ უსახური იყო, მაგრამ მას მაინც ჰქონდა

მცირე ღირსებები. ის იყო გარითმული და ასე თუ ისე გამართული, რადგან სკოლაში ლექსთწყობასა და რითმიკას გვასწავლიდნენ. მასში იგრძნობოდა ლორდ ბაირონი და ედგარ ალან პო, ოდნავ ნაკლებად - შელი და ქითსიც. მთავარი კი ისაა, რომ იმ დროისათვის, როცა პოეტად ვიქეცი, სულ რამდენიმე ისეთი ლექსი მქონდა წაკითხული, რომელიც 1900 წლის შემდეგ დაიწერა. მე არაფერი მსმენოდა მოდერნიზმისა და თავისუფალი ლექსის შესახებ. საქმე მხოლოდ არცოდნაშიც არ იყო. წარმოდგენაც კი არ მქონდა, თუ რას ნიშნავს იყო პოეტი, როგორ უნდა მოიქცე. რა უნდა ჩაიცვა. არც ის ვიცოდი, რომ ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა კიდევ უფრო რთულია, როცა პოეტი მდედრობითი სქესისაა. ჯერ არავისგან მსმენოდა სალანძღავი ინტონაციით წარმოთქმული სიტყვა "პოეტესა" და, ბუნებრივია, ვერც იმას ვხვდებოდი, რომ ოდესმე მეც ეს სახელი დამერქმეოდა. არ ვიცოდი, რომ ფრაზა - შენ გადალახე შენი სქესი - კომპლიმენტი იყო, თანაც ისეთი ძვირი კომპლიმენტი, რომ მის ნატვრაში ლამის ნახევარი ცხოვრება გამეფლანგებოდა. თქვენ წარმოიდგინეთ, მაშინ ისიც კი არ ვიცოდი, რომ პოეტობისთვის სულაც არ არის აუცილებელი შავი ტანსაცმელი. ეს ყველაფერი მომავალში უნდა გამეგო. თექვსმეტი წლის ვიყავი და რა უნდა ყოფილიყო ქვეყნად ისეთი, რასაც ვერ შევძლებდი? პოეზია არსებობდა, ესე იგი მეც შემეძლო ლექსების წერა. არც არავის უთქვამს ჩემთვის, რომ იყო ბევრი, ბევრი, ბევრზე ბევრი მიზეზი, რომელთა გამო მე ეს არ შემეძლო.

მოკლედ, ჯერ იყო უზარმაზარი უხილავი ცერა თითი, რომელიც ციდან ჩამოეშვა და თავზე დამეჭირა. იმ დღეს პოეტად ვიქეცი. მაგრამ მანამდე იყო ცხოვრება, რომელმაც პოეტობამდე მომამწიფა.

დავიბადე 1939 წლის 18 ნოემბერს ოტავას მთავარ ჰოსპიტალში, მეორე მსოფლიო ომის დაწყებიდან ორნახევარი თვის შემდეგ. როგორც ომის დროს გაჩენილს, მე ბუნებრივად დამყვა განწირულობის შიში და მშფოთვარე მსოფლშეგრძნება, რაც ასე საჭიროა პოეტისათვის. გარდა ამისა, ჩემი დაბადების დრო იმაზეც მიანიშნებს, რომ ცუდად და არასწორად ვიკვებებოდი; ამიტომაც ვარ დაბალი. საკვები რომ უკეთესი მქონოდა, ერთი თავით მაღალი ვიქნებოდი და იქნებ ლექსების წერაზე აღარც მეფიქრა. პირველი სათამაშო - გასაბერი ბურთი - 1946 წელს ვნახე, არადა, ომამდე ყოფილა ნაყიდი, მაგრამ "საჭირო შემთხვევისთვის" მინახავდნენ და მხოლოდ მაშინ გამიბერეს, როცა ყბაყურა დამემართა; თანაც ავადმყოფობა ჩემს დღეობას დაემთხვა. ეჰ, ბურთი გაბერვისთანავე გასკდა. ამან დიდი გავლენა იქონია ჩემს გვიანდელ ლექსებზე.

რაც შეეხება ჩემი დაბადების თვეს, - პოეტისათვის უმნიშვნელოვანეს დეტალს, რომელსაც უამრავ სიმბოლიკას მიაწერენ, - მთელი ბავშვობა განვიცდიდი, რომ სწორედ ნოემბერში ვიყავი გაჩენილი, რადგან ამ თვეში ყველაზე ულიმღამოა ხოლმე დაბადების დღეები. თებერვლის შვილებს ტანსაცმელს ჩუქნიან, მაისის შვილებს - ყვავილებს, მე კი რას უნდა გავეხარებინე? ხმელი ფოთლებით მორთულ ტორტს?.. ნოემბერი იყო უფერული, ბნელი და სველი თვე. ზოგჯერ თოვლიანიც; ერთადერთი ზეიმი - ხსოვნის დღე იყო. მაგრამ უკვე მოზრდილმა აღმოვაჩინე, რომ ნოემბერი, ასტროლოგიურად რომ ვთქვათ, იყო სექსის, სიკვდილისა და აღორძინების თვე. პირველ ნოემბერს მკვდრების დღე აღინიშნებოდა. მოკლედ, პოეტის დაბადებისთვის ამაზე ხელსაყრელი თვე არც არსებობდა, პოეტის ცხოვრება ხომ სიკვდილზე, სექსზე და აღორძინებაზე ზრუნვას ხმარდება!




დაბადებიდან ექვსი თვის შემდეგ ზურგჩანთაში ჩამსვეს და შორეულ კვებეკში წამიყვანეს. დავსახლდით ხის პატარა ქოხში. მამაჩემი ენტომოლოგი იყო. აქვე ვიტყვი, რომ ჩემი მშობლები ძალიან გამოირჩეოდნენ თავიანთი თანამედროვეებისგან, ორივე ცდილობდა, რაც შეიძლება შორს ყოფილიყვნენ ყველაფრისგან, რაც ცივილიზაციასთან იყო დაკავშირებული. დედაჩემი იმიტომ, რომ დიასახლისობასა და ჩაის წვეულებებს ვერ იტანდა, მამას კი, უბრალოდ, ბუნება უყვარდა. მათი ეს ახირება ძალიან დამეხმარა გვიანდელ ცხოვრებაში.

ჩემი ბავშვობა ორ ნაწილად იყო გაყოფილი, ცხელი სეზონი - ტყეებში, ცივი კი - სხვადასხვა ქალაქებში. ამდენად, მე თავიდანვე ჩამომიყალიბდა ორმაგი პიროვნულობის ნიშნები, რაც ასევე აუცილებელია პოეტისათვის. გარდა ამისა, მე თავზესაყრელი დრო მქონდა ფიქრისთვის. ფიქრის დროს კი, რამდენადაც ვხვდები, თავისუფალი დრო ეწოდება. ამის შედეგი იყო ის, რომ ძალიან ადრე დავიწყე კითხვა. გამიმართლა იმაშიც, რომ დედაჩემს ხმამაღლა კითხვა უყვარდა, მაგრამ მას ამის დრო იშვიათად ჰქონდა, ამიტომ იძულებული ვიყავი, ჩემი თავი თვითონვე გამერთო. როცა დედას არ ეცალა და გარეთ წვიმდა, სხვა რა გზა მქონდა, ვკითხულობდი. ასე გავხდი კითხვის ნარკომანი და ასეთადვე ვრჩები დღემდე. "ნახავ, თვალებს მოისპობ", მეუბნებოდნენ ხოლმე, როცა წამასწრებდნენ სხვენზე, ჩემს საიდუმლო სამალავში, სანთლის შუქზე, წიგნით ხელში. მაგრამ მე მაინც არ ვეშვებოდი ამ საქმეს და მინდოდა, მუდამ ასე ვყოფილიყავი. როგორც სიგარეტის მწეველი, რომელიც, თუ თამბაქო არ აქვს, ლეიბის სატენსაც კი მოსწევს. მე ვკითხულობდი ყველაფერს, რაც კი ხელში ჩამივარდებოდა. ბავშვობაში ბევრი ისეთი წიგნი წავიკითხე, რისი წაკითხვაც არ ღირდა, მაგრამ ესეც ხომ ჩვეულებრივი ამბავია პოეტისათვის!

"დედა ბატი" იყო პრველი ლექსების წიგნი, რომელიც წავიკითხე. დღესაც მგონია, რომ ეს წიგნი შეიცავს ყველაზე სიურრეალისტურ ლექსებს ინგლისურენოვან პოეზიაში. ხუთი წლის ვიყავი, როცა შევქმენი პირველი საკუთარი წიგნი. ეს ასე მოხდა. ჯერ ამოვჭერი გასაფერადებელი რვეულის ფურცლები და ავკინძე, შემდეგ ამ გვერდებში ჩავწერე ყველა ლექსი, რომელიც ზეპირად მახსოვდა, მაგრამ მათი რაოდენობა ცოტა იყო, გვერდებისა კი - ბევრი. ბევრი ფურცელი ცარიელი დარჩა და მე ისინი შევავსე... ჩემი ლექსებით. დიახ, სახელდახელოდ შევთხზე ლექსები, რათა წიგნის მთლიანობა არ დარღვეულიყო. ეს წიგნი ჩემს თავს უდიდეს წარმატებად ჩავუთვალე, იმდენად დიდ წარმატებად, რომ მივხვდი - ამ სფეროს მეტს ველარაფერს შევმატებდი, და მთელი თერთმეტი წლით მივატოვე ლექსების წერა.

1955 წელს ჩემმა ინგლისურის მასწავლებელმა მითხრა, რომ მთელ კლასში მე ყველაზე ნაკლებ იმედებს ვიძლეოდი. ეს იყო სრული სიმართლე. გიგანტური ცერის დაშვებამდე მე არანაირ იმედებს არ ვიძლეოდი. ალბათ იმ ცერის დაშვების შემდეგაც ასევე გრძელდებოდა, მაგრამ ამას უკვე ველარ ვგრძნობდი. პოეტების უმეტესობა უვიცობის ნიადაგზეა აღმოცენებული. თუ თავიდანვე ბევრი იცი, პოეზიისკენ აღარ გაგიწევს გული, მაშინვე ფაქტობრივ მეცნიერებებში გადაერთვები. მე რომ უვიცი არ ვყოფილიყავი, არ გამოვუცხადებდი კაფეში შეკრებილ ჩემს დაქალებს, რომ მწერლობას ვაპირებდი. ვთქვი "მწერალი" და არა "პოეტი". არც მახსოვს, რას მოვაყოლე ეს განცხადება; ალბათ არაფერს, ალბათ სულ სხვა რამეზე იყო საუბარი და მე ყველასთვის მოულოდნელად დავახეთქე, რომ მწერალი ვარ. ჩანგლები დაღებულ პირებთან გაშეშდნენ, სენდვიჩის ნაჭრები მაგიდასა და პირებს შორის დაეკიდნენ; არავის არაფერი უთქვამს. ერთ-ერთმა მათგანმა ამ ცოტა ხნის წინ შემახსენა ეს ამბავი და ახლაღა მითხრა, რომ გაოგნებული ყოფილა ჩემი განცხადებით. ვკითხე, რატომ-მეთქი. იმიტომ, რომ მე თვითონ ვაპირებდი მწერლობასო. და კიდევ იმიტომ, რომ მისგან განსხვავებით, ამის ხმამაღლა თქმა გავბედე. მითხრა, რომ ჩემმა სითამამემ გააოგნა. მაგრამ ეს სითამამე კი არა, უვიცობა იყო. ორმოცდაათიანი წლების კოლონიურ კანადაში საკუთარი თავის მწერლად გამოცხადებას ერთადერთი სიკეთის მოტანა შეეძლო - ვინმეს ეთქვა, რომ მე ამას თუნდაც იმიტომ ვერ შევძლებდი, რომ გოგო ვიყავი; მაგრამ მსგავსი რამ არავის უთქვამს ჩემთვის. ჩემმა მეგობრებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა



სიცილის კიდევ ერთი მიზეზი იპოვეს და ამით დაკმაყოფილდნენ. იყო კიდეც სასაცილო; მწერლები ხომ ან მკვდრები იყვნენ, ან ინგლისელები; ან გადაბერებულები და ან ამერიკელები... არცერთი მწერალი არ იყო თექვსმეტი წლის და თანაც კანადელი. რაც მთავარია, არცერთი მწერალი არ იყო გოგო. მაგრამ მე ამას არ განვიცდიდი, რადგან ყველა ამაღელვებელი ლექსი, რომელიც იმ დროს წავიკითხე, ან სისხლისღვრაზე იყო, ან სექსზე და მაისის ვარდებზე, ანაც სიკვდილზე; და ეს ყველაფერი ძალიანაც ქალურად მეჩვენებოდა.

და მე ვწერდი შემაძრწუნებლად უვარგის ლექსებს, რომელთაც რეგულარულად ვაქვეყნებდი სკოლის ჟურნალში. ეს იყო ძალიან ცუდი ლექსები, მაგრამ მრცხვენოდა? - არა, პირიქით, დიდი სიამაყით ვიღებდი თავშეკავებულ და ყალბ შექებებს ჩემი არაჩვეულებრივი, შესანიშნავი ინგლისურის მასწავლებლისგან, მის ბილინგსისგან. "ძვირფასო, ვერაფერი ვერ გავიგე, როგორც ჩანს, მართლა კარგი ლექსია", - მეუბნებოდა ის. სიტყვას არ გავაგრძელებ იმ შიშზე, რომელიც ჩემს შემყურე მშობლებს დაეუფლათ; ისინი წუხდნენ - და ჰქონდათ კიდეც წუხილის მიზეზი - როგორ უნდა მეცხოვრა, როგორ უნდა მერჩინა თავი. ასევე გამოვტოვებ ჩემს მსუბუქ და ხანმოკლე ფლირტს ჟურნალისტიკასთან, რომლის საშუალებით ერთხანობას თავის რჩენა გადავწყვიტე. ეს იდეა მაშინვე უარვყავი, როგორც კი მივხვდი, რომ, დღევანდელისგან განსხვავებით, მაშინდელი ქალი ჟურნალისტის ბოლო მენეკროლოგეობა იყო.

მაგრამ როგორ უნდა მერჩინა თავი? პოეზიის ბაზარი არ არსებობდა, ამ საქმით ფულს ვერ იშოვნიდი. ჯერ ვფიქრობდი, სადმე გადავსახლებულიყავი და ოფიციანტობა დამეწყო, რაც მოგვიანებით ვცადე კიდეც, მაგრამ ამ საქმემ ძალიან დამღალა და, რაც მთავარია, ძალიან გამახდუნა: არაფერი მოქმედებს აპეტიტზე ისე უარყოფითად, როგორც სხვისი ნასუფრალის ლაგება და თეფშების რეცხვა. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ჩავაბარე უნივერსიტეტში, ინგლისური ლიტერატურის ფაკულტეტზე, რადგან ჩავთვალე, რომ ამ გზით მასწავლებელი გავხდებოდი: - ამაზე იოლი პროფესია ვერც წარმომედგინა. რაც მთავარია: ვთვლიდი, რომ ეს საქმე ხელს არ შეუშლიდა ჩემს პოეტობას. სწორედ უნივერსიტეტში გავეცანი პირველად ტ.ს. ელიოტის პოეზიას და ძალიანაც აღტკინებული ვიყავი მისით. "ვერაფერი ვერ გავიგე, როგორც ჩანს, მართლა კარგი ლექსებია", - ვიფიქრე მე.

მე მომწონდა სტუდენტობა. თავდახრილობისა და საკუთარი თავის ზრდილობიან ადამიანად გასაღების ხანა; უნივერსიტეტში შესვლიდან უკვე ორი წელი იყო გასული, როცა გავიცანი ხუთი სტუდენტი, რომლებიც ჩემსავით მწერლობით იყვნენ დაინტერესებული. მათი და კიდევ რამდენიმე მასწავლებლის მეშვეობით აღმოვაჩინე, რომ თურმე არსებობდა კანადური მწერლობა - მთელი მიწისქვეშა იმპერია, რომელსაც აქამდე საიმედოდ მიმალავდნენ. მაშინ გავიგე ისიც, რომ არსებობდა ხუთი ლიტერატურული ჟურნალი, რომლებიც თავიანთი არარენტაბელურობით სისხლს უშრობდნენ თავიანთ რედაქტორებს, რომლებიც, თავის მხრივ, ერთმანეთს უშრობდნენ სისხლს. ამ ჟურნალებში ერთხელ გამოქვეყნება დაახლოებით იგივე იყო, რაც მასონთა დახშულ რიგებში შეღწევა, მაგრამ თუ ამას მიაღწევდი, უნდა ჩაგეთვალა, რომ იმ მიწისქვეშა იმპერიის მოქალაქეობა მიიღე, რომელსაც კანადური მწერლობა ერქვა; უეცრად ხდებოდი დიდი საიდუმლოს ნაწილი და მისი მცველი. ზოგჯერ მეკითხებიან იმ გავლენების შესახებ, რომელთაც ახალგაზრდობაში განვიცდიდი. ისინი, ვინც ჩემზე გავლენა იქონიეს, ჩემივე თაობის ან ოდნავ უფროსი ასაკის პოეტები იყვნენ: ჰ.კ.ჯონსი, ელი მანდელი, ჯონ ნაულოვი, გვინდოლინ მაკ'კევენი, მაიკლ ონდაჩნ, პეტ ლეინი, მარგარეტ ავისონი, ჯეი მაკპერსონი, ჯეიმს რონი, ირვინ ლეიტონი, ლეონარდ კოენი, ელ პადრი, დ.ჯ. ჯონსი, ჯორჯ ბოუერინგი, ელდენ ნაულინი, ელიზაბეტ სბრიუსტერი, ენი უილკინსონი, - აი, ნაწილი იმ პოეტებისა, ვინც წერდა და ქვეყნდებოდა მაშინ, ვისაც ვიცნობდი, ვის ლექსებსაც ვკითხულობდი. ის ლიტერატორები, რომლებიც მაშინ კანადური პოეზიის შესახებ წერდნენ, ბევრს საუბრობდნენ ეროვნული ლიტერატურის შექმნის აუცილებლობაზე. იყო დიდი ვნებათაღელვა, იყო შეგრძნება, რომ განსხვავებულ ნიადაგზე ვიყავით აღმოცენებული.

ამდენად, პოეზიამ სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა, და ამან სწრაფად მიიღო საერთო-სახალხო მოძრაობის ხასიათი. ბურჟუაზია ინარჩუნებდა ძალაუფლებას ყველა სფეროში, მაგრამ ერთადერთი, რაშიც ეს ძალაუფლება გამოიხატებოდა, იყო ორბორტიანი კოსტიუმები და ჰალსტუხები, აქლემის ბეწვის ქურქები და ბრილიანტის საყურეები. ღამით კი ცოცხლდებოდა ბოჰემური სამყარო, იკავებდა ტორონტოს მიყრუებულ ქუჩებსა და გარეუბნებს, კუს თავივით გამოძვრებოდა ხოლმე შავი ჯავშნიდან; პატარა მრგვალ მაგიდებზე, რომელთაც წითელუჯრედებიანი სუფრები ეფარათ, ისმებოდა ყავა, ღვინის ბოთლებზე მოციმციმე სანთლები ირეკლებოდნენ; ყავახანაში ისმინებოდა ჯაზი და კანადური ფოლკი, იკითხებოდა ლექსები, თანაც ისე ხმამაღლა, თითქოს მათ ავტორებს არასოდეს სმენოდათ, რომ პოეტობა სისულელის უპირველესი ნიშანია; იდებოდა უამრავი ფიცი... ოცი წლის ადამიანისთვის ეს მათრობელა გარემო იყო.

მე ვიბეჭდებოდი პატარა ჟურნალებში, ოდნავ მოგვიანებით ნარკვევების წერაც დავიწყე მათთვის. ოთხი წლის მანძილზე ყოველწლიურად ვაკოწიწებდი ლექსების კრებულს და მიმქონდა გამომცემლობებში, მაგრამ - მაშინ, ჩემდა სამწუხაროდ, ისე კი საუბედუროდ, - ამ კრებულებს გამოქვეყნება არ ეწერათ. მაინც რატომ მინდოდა ასე ძლიერ, რომ ჩემს ლექსებს დღის სინათლე ეხილათ? როგორც ყველა ოცდაერთი წლის პოეტი, მეც ვფიქრობდი, რომ ოცდაათისა მოვკვდებოდი; აი, ასეთი ცუდი მაგალითი მოგვცა სილვია პლათმა. იმ დროში ერთადერთი საქციელი, რითაც ქალ პოეტს ყურადღების მიქცევა შეეძლო, თვითმკვლელობა იყო და მეც ვფიქრობდი, რომ ჩემი დრო იწურებოდა.

სწავლის უკანასკნელ წელს ჩემმა ლექსებმა უნივერსიტეტის მთავარი ლიტერატურული პრემია დაიმსახურეს, რამაც, შეიძლება ითქვას, წყობიდან გამომიყვანა და, ჩემი რამდენიმე მეგობრის დახმარებით, ლექსების წიგნად გამოცემა შევძელი; რა თქმა უნდა, ჩემივე ფულით. ეს იმ დროს ჩვეულებრივი ამბავი იყო, უამრავი პოეტი გამოსცემდა საკუთარ წიგნებს, მთავარია, ფული ეშოვნათ. რომანებისაგან განსხვავებით, პოეტური კრებული მცირე ზომისაა და მისი გამოცემა ადვილი იყო. ჩემი წიგნი 250 ეგზემპლარად დავბეჭდეთ და 50 ცენტად ვყიდდით წიგნის მაღაზიებში. დღეს ის ლექსები ერთ ძალიან ძვირფას და ლამაზ გამოცემაშია შეტანილი, რომელსაც კანადური ლირიკა ეწოდება.

შემდეგ იყო ორი წელი ჰარვარდთან არსებულ უმაღლეს სკოლაში მასწავლებლობა, კიდევ ორი უმნიშვნელო მიწვევა, რომლებზეც უარი ვთქვი, რომელიღაც გაურკვეველ კომპანიაში მუშაობა, ჩემი პირველი მსხვილი რომანის დაწუნება, ევროპაში ყოვლად უაზრო მოგზაურობა... და ამ ყველაფრის შემდეგ მივაღწიე კოლუმბიის უნივერსიტეტამდე, სადაც საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტებს გრამატიკას ვასწავლიდი. მართალია, მეცადინეობები დილის ცხრის ნახევარზე იყო დანიშნული, მაგრამ სტუდენტებს ჩემსავით ეზარებოდათ ადრე გაღვიძება და, ამდენად, ყველაფერი კარგად აეწყო. მე მათ ვაწერინებდი კაფკას

მოთხრობების გარჩევებს, რადგან ვთვლიდი, რომ ეს უთუოდ დაეხმარებოდათ მომავალი საქმიანობის შერჩევაში.

წინა წლებთან შედარებით, ეს უკანასკნელი სამსახური ღვთის წყალობა იყო ჩემთვის. ვცხოვრობდი ვანკუვერის ნავსადგურთან, პატარა ოთახში, და მქონდა თავისუფალი ღამეები, რათა მეწერა. დღისით ვასწავლიდი სტუდენტებს, ვიკვებებოდი კონსერვებით, სარეცხს მანამდე არ ვრეცხდი, ვიდრე ყველაფერი არ გამიჭუჭყიანდებოდა. სწორედ იმ წელს დავწერე ჩემი პირველი ოფიციალურად გამოცემული რომანი, რომელსაც საგამოცდო ბლანკების ფურცლებზე ვწერდი. ასევე დავწერე ორი მოთხრობა და დავიწყე შემდეგი რომანი, რომელიც თავის დროზე ასევე ოფიციალურად გამოიცა. ეს იყო არანორმალურად პროდუქტიული წელიწადი.

ჩემს პირველ პოეტურ კრებულს “წრიული თამაში’’ ერქვა; მისი გარეკანი ჩემი ხელით გავაფორმე, რაღაც წერტილოვანი სურათი მივახატე; ყველას და, პირველ რიგში, ჩემდა გასაკვირად, ამ წიგნმა უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული პრემია მოიპოვა - უმაღლესი მუნიციპალური ჯილდო ლიტერატურაში, რაც კანადაში ძალიან პრესტიჟულად ითვლებოდა. ბედნიერი ვიყავი, ბედნიერი და ამაყი, როცა ჰარვარდს დავუბრუნდი. საერთო საცხოვრებელში სამ გოგონასთან ერთად ვცხოვრობდი, ესენი იყვნენ ჯუდი, სიუ და კარენი. მოახლოვდა პრემიის გადმოცემის ცერემონია, რომელიც მუნიციპალიტეტის შენობაში უნდა შემდგარიყო. მე და ჩემმა ახალმა მეგობრებმა გადავქექეთ ჩემი გარდერობი, მაგრამ ისეთი ვერაფერი ვიპოვეთ, რასაც ჯილდოს გადმოცემისას ჩავიცვამდი. მოკლედ, სიუმ თავისი კაბა და საყურეები მათხოვა, ჯუდიმ - ფეხსაცმელები, და ვიდრე მე მუნიციპალიტეტში ვიყავი, მათ დაწვეს ჩემი ძველი, ჭრიალა, რეზინისძირებიანი ბათინკები, რადგან ჩათვალეს, რომ ისინი აღარ შეეფერებოდნენ ჩემს ახალ, პოეტურ იმიჯს.

ეს საქციელი მათი მხრიდან ღალატის ტოლფასი იყო, მაგრამ ისინი მართლები იყვნენ, მე უკვე ასე თუ ისე აღიარებული პოეტი ვიყავი და რაღაც ნორმებს უნდა დავმორჩილებოდი. ამიტომ იყო, რომ ერთხანობას თმაც მოკლედ შევიჭერი, მაგრამ ვერ ვიგუე და ისევ მოვიზარდე. უკვე აღარ მეჩვენებოდა, რომ ოცდაათი წლის მოვკვდებოდი, ეს ზღვარი სამოცამდე გადაიწია. ვფიქრობ, რომ საკუთარი სასიცოცხლო ვადის წინასწარ მონიშვნა დროისადმი სერიოზულ დამოკიდებულებაზე მეტყველებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი წუთის მაქსიმალურად ათვისება გაქვს გადაწყვეტილი. აი, მე უკვე მივატანე სამოცს, ჯერ კიდევ ვწერ, ვწერ ლექსებს, და ჯერაც არ შემიძლია ავხსნა - რატომ; მე ჯერ კიდევ ჩემს კუთვნილ დროში ვარ, სამოც წლამდე რამდენიმე წელი მაშორებს. უორდსუორთი მართალი იყო, როცა თქვა: “ახალგაზრდა პოეტები სიხარულით იწყებენ წერას, მაგრამ სიბერეში მწუხარებას და სიგიჟეს იმკიან’’. დიახ, პოეტები ხშირად უვლიან გვერდს სიხარულს და პირდაპირ წუხილისაკენ მიაბიჯებენ, მაგრამ რატომ? ნაწილობრივ ამას ის პირობები განაპირობებენ, რომელშიც პოეტს უწევს მუშაობა - გაეცი ყველაფერი და სანაცვლოდ მიიღე გულგრილობა, ნაწილობრივ კი ყველაფერი იმ მარადიული უკმაყოფილების ბრალია, რომელსაც პოეტი საკუთარი ნაწერების მიმართ განიცდის, ჩვენ ხომ მუდამ იმის იმედი გვაქვს, რომ ნამდვილი ლექსი ხვალ გამოგვივა, მაგრამ ეს “ხვალ’’ არასდროს არ მოდის. “მთვარეული, შეყვარებული და პოეტი’’, ამბობს შექსპირი და იწყებს მსჯელობას, თუ რომელი მათგანი გაჩნდა პირველად. ჩემი საკუთარი თეორია ასეთია: პოეზიას გონების ყველაზე მელანქოლიური მხარე ქმნის, და თუ ლექსების წერის მეტს არაფერს აკეთებენ, მალე აღმოაჩენ საკუთარ თავს ბნელ გვირაბში, რომლის არც ბოლო არსებობს და არც დასაწყისი. მასში კი არ შედიან, მასში აღმოჩნდებიან ხოლმე. ამ გვირაბის ბოლოს სინათლეს ნურავინ ელის. მაგრამ მე ეს ხვედრი ავიცდინე: მე ვწერ პროზასაც. მაგრამ ყოველთვის, როცა ლექსის საწერად ვჯდები, ისევ იმ პირველი გაკვირვებით მიკვირს - მაინც რატომ ვაკეთებ ამას, მაინც რა იყო ის ანონიმური ძღვენი, რატომ და სად გადაწყდა, რომ ის მე მრგებოდა?

1995

ინგლისურიდან თარგმნა არჩილ მათიძემ

არილი



არქივი
ეროვნული ბიბლიოთეკა

# სტალინიადა

## ფრაგმენტები

"მწერლობის მოთვინიერების" შემდეგ აკაკი ბაქრაძე მუშაობდა ამ წიგნის გაგრძელებაზე - სათაურით - "გადარჩენა". "გადარჩენის" ერთ-ერთ ნაწილად ჩაფიქრებული იყო "სტალინიადა". არსებობდა გეგმა "სტალინიადის" ცალკე გამოცემის თაობაზეც.

"სტალინიადა", ჩვენ მხოლოდ სხვადასხვა დროის მონახაზების, ტექსტის ვარიანტების და სხვა ფრაგმენტების სახით შემოგვრჩა. მაგრამ ეს ფრაგმენტებიც წარმოდგენას გვიქმნის აკაკი ბაქრაძის ამ ერთ-ერთი განუხორციელებელი ჩანაფიქრის შესახებ.

ლაშა ბაქრაძე

### აკაკი ბაქრაძე

1. "ჩამოყალიბებაში" - უნდა აისახოს, როგორ ყალიბდებოდა ლენინისტი, რაც იგივე სტალინისტია. არცოდნის საფუძველზე, ისტორიის, ზნეობის, სოციალური სინამდვილის გამაოგნებელი მოდელის მიხედვით. ხელს როგორ უწყობდა ამას ხელოვნება და ლიტერატურა.

2. "რღვევაში" - სტალინის სიკვდილის შემდეგ, როგორ აღმოჩნდა გაიგივებული სოციალიზმი და სტალინი და როგორ დაინგრა სტალინის კრიტიკით სოციალიზმი.

3. განადგურება: - "პერესტროიკის" დროს მომხდარი ამბები.

* * *

ინტერვიუდან:

### რაც შეეხება სტალინს

ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა შეამჩნია საქართველოს ისტორიის ერთი კანონზომიერება, რომელიც მან ასე გამოთქვა: "თუ არა ქართველთა ოდენ სპითა ვერცარას ალექსანდრე იქმოდა კარგსა. და თუმცა დავითს სპარსთა ჰქონებოდა მეფობა, ანუ ბერძენთა და ჰრომთა ძალი, ანუ სხუათა დიდთა სამეფოთა, მაშინამცა გვენახნეს ნაქმარნი მისნი, უაღრესნი სხუათა ქებულთანი". როგორც ხედავთ, დავით აღმაშენებელს, პიროვნულად როგორც პოლიტიკოსსა და მხედართმთავარს გაცილებით მეტი შესაძლებლობა ჰქონდაო, ამბობს მემატიანე, ვიდრე საქართველო, როგორც ქვეყანა და სახელმწიფო მას აძლევდაო. მაშასადამე, დასმულია პრობლემა ქვეყნის ძალისა და პიროვნების ძალის შეუსაბამობისა.

ეს პრობლემა ალექსანდრე მაკედონელის წინაშეც იდგა. პლუტარქეს სიტყვით, ყმაწვილ ალექსანდრეში როცა მამა, მეფე ფილიპემ, შეამჩნია მსოფლიო დამპყრობელი, შვილს უთხრა თურმე: "შენი შესაფერისი საბრძანებელი უნდა მოძებნო, შვილო, მაკედონია შენ ვერ დაგიტევს!.." აქაც ქვეყნის ძალისა და პიროვნების ძალის შეუსაბამობის პრობლემა დგას. ალექსანდრესაც მძლავრი ქვეყანა სჭირდება, ის საქმე რომ გააკეთოს, რის გაკეთებაც უფალმა დაავალა.

ნაპოლეონიც დგას ამ პრობლემის წინაშე. პატარა კორსიკა ვერ მისცემს მას იმ ძალას, რაც მას სჭირდება ევროპის დასაპყრობად. ამისათვის იგი საფრანგეთის იმპერატორი უნდა გახდეს.

ხედავთ, რომ ალექსანდრე მაკედონელს, დავით აღმაშენებელს, ნაპოლეონს ერთნაირად აქვთ გადასაწყვეტი ის პრობლემა, რასაც პიროვნების ძალისა და ქვეყნის ძალის შეუსაბამობა ვუწოდეთ. სტალინიც ამ პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. ბესო ჯუღაშვილი მეფე რომ ყოფილიყო, ალბათ, ისიც ფილიპე მაკედონელივით ეტყოდა შვილს: შენი შესაფერი საბრძანებელი უნდა მოძებნო, შვილო, საქართველო შენ ვერ დაგიტევს.




სტალინი მსოფლიო იმპერატორად გააჩინა უფალმა, ამიტომ მას ისეთი ქვეყანა სჭირდებოდა, რომელიც მსოფლიო იმპერატორობის საშუალებას მისცემდა. ასეთი ქვეყანა რუსეთი იყო. სტალინიც რუსეთის იმპერიის მბრძანებელი გახდა. იგი საქართველოში ვერ დარჩებოდა. იცით კარგად, ვეშაპები შავ ზღვაში არ არიან. პატარაა მათთვის შავი ზღვა და იმიტომ. ვეშაპს ოკეანე სჭირდება, რომ იცოცხლოს. ასევე სჭირდებოდა ოკეანე ალექსანდრე მაკედონელს, ნაპოლეონს, სტალინს. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მათ თავიანთი პატარა სამშობლო არ უყვარდათ. მაგრამ უყვარდათ იმდენად, რამდენადაც ამის უფლებასა და საშუალებას დიდი ქვეყნების მბრძანებლობა აძლევდა. ნაპოლეონს კორსიკა იმდენად უყვარდა, რამდენადაც ამის უფლებას საფრანგეთის იმპერატორობა აძლევდა. სტალინსაც იმდენად უყვარდა საქართველო, რამდენადაც ამის უფლებას რუსეთის ხელმწიფობა აძლევდა. ეს ურთიერთობა ტრაგიკულია. ტრაგიკულია ქვეყანაც, რომლის შვილი თავის ძალასა და ნიჭიერებას სხვა ქვეყნის საკეთილდღეოდ ხარჯავს. ტრაგიკულია ადამიანიც, რომელიც სამშობლოს ნაცვლად სხვა ქვეყანას ემსახურება. მაგრამ ამ ტრაგიზმს ვერავინ ვერსად გაექცევა, რადგან უზენაესმა ინება ასე. ტრაგიკული იყო, როგორც პიროვნება, დავით აღმაშენებელიც, რადგან საქართველოს სიმცირემ მას არ მისცა საშუალება მისი კოლოსალური შესაძლებლობის განხორციელებისა. ამას დასტირის კიდეც მემატიანე.

ასე რომ, სტალინი (და საქართველოც) მსხვერპლია იმ შეუსაბამობისა, რომელიც ეგზომ ბრძნულად ამოიცნო დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმა.

აკაკი ბაქრაძე
1997, თებერვალი

* * *

წყევლა ხომ გაგიგონიათ, დედა რომ წყევლის შვილს: შენ მოუკვდი დედაშენს... შენ დაგაყარე მიწა... რატომ მუცელში არ

გამიწყალდი... შენი კუბო დავდგი... შენ არ გაიხარე... იფრქვევა ასე შემაძრწუნებელი სიტყვები, მაგრამ მათი არავის ეშინია - არც დედას, არც შვილს, არც შემთხვევით მსმენელს. ყველამ ჩინებულად იცის, რომ ამ წყევლაში ლოცვაა და არა მართლა კრულვა. ამიტომ შვილიც არხეინად ისმენს დედის სიტყვებს და გულში სიცილით კვდება. დედაც სულ ტყუილად ქოთქოთებს, რაკი გულში იმავდროულად ღმერთს ევედრება, შენი მფარველობა არ მოაკლოო ჩემს შვილს. გარეშე მსმენელსაც ღიმილი გადაჰფენია სახეზე: იმანაც ხომ ზედმიწევნით იცის დედის წყევლის ფასი და არსი.

რატომ გამახსენდა ეს? როგორც დედის წყევლაა ფორმით ერთი და შინაარსით მეორე, ასევეა ფორმით ერთი და შინაარსით მეორე, დღეს სტალინის ტოტალურად გაჩაღებული ლანძღვა-გინება, სიტყვით სტალინის გინების კორიანტელია დაყენებული, ქვეტექსტით კი მისი პიროვნებით გამოწვეული აღტაცებაა გამოვლენილი.

წერია: ლენინიც მაგ გველისწიწილს მოუწამლავს. გულისსკნელში კი ზეიმია: ნახე რა ბიჭია, ეს უბედური ლენინიც იმას არ გაუსაღებია!

წერია: კიროვის მკვლელობაც იმ ჯალათმა მოაწყო. გულისსკნელში კი ზეიმია: მხეცი იყო, ყველაფერს ისე აწყობდა, რომ ბოროტმოქმედების კვალს არ ტოვებდა. ამდენს აგინებენ, მაგრამ დანაშაულის ერთი დოკუმენტიც ვერავინ იპოვნა.

წერია: მეხიკოში კაციჭამია სტალინის მიერ დაქირავებულმა აგენტებმა გაუხეთქეს ტროცკის თავი, გულისსკნელში კი ზეიმია: უყურე შავყვ...-ს, მეხიკოშიც ყველა გამოჭერილი ჰყავდა და, რაც უნდოდა, იმას აკეთებდა.

წერია: სისხლში ბანაობდა. მილიონობით ადამიანი ჰყავს გაწყვეტილი. გულისსკნელში კი ზეიმია: თუ ხარ, უნდა იყო კიდეც კაცი. თან მილიონები გაჟუჟო და თან იმ გაჟლეტილი მილიონების მშობლები, ცოლ-შვილი, ნათესავ-მეგობრები დღედაღამ გიგალობდნენ - "ლენინივით გიწოდებ მეც მგზნებარე კოლხიდელს, რა იქნება, ძვირფასო, ერთხელ გორშიც მოხვიდე?.. ნუთუ არ გენატრება ის ადგილი, ის მხარე, სადაც ფეხი აიდგი, სადაც გულით იხარე?.."

ასეა: სიტყვით ლაფს ვასხამთ თავზე, გულისსკნელში კი ვნატრობთ მის დაბრუნებას, ანუ უფრო სწორად, მისი ბადალი დიქტატორის მოვლინებას.

არიან ადამიანები, რომელნიც ლეგენდისათვის იბადებიან. ასეთი ყოფილა სტალინიც. ჯერ შევქმენით ლეგენდა - სტალინი ღმერთია. ახლა ვქმნით ლეგენდას - სტალინი სატანაა. თუ ეს ლეგენდა საბოლოოდ შევქმენით, ეს იქნება იმის მაუწყებელი, რომ სსრკ-ის მოქალაქის ცნობიერება ვერასოდეს გათავისუფლდება სტალინისაგან. ხან ღმერთად მოგვევლინება იგი და ხან - სატანად. ხოლო, თუ სტალინისაგან არ გათავისუფლდა საბჭოელი ადამიანის ცნობიერება, ეს იმისი უტყუარი საბუთია, რომ არც ერთიან უნიტარულ სსრკ-ში და არც ეროვნულ, დამოუკიდებელ სახელმწიფოებად დაშლილ სსრკ-ში არასოდეს დამკვიდრდება პიროვნების თავისუფლება, აზრის თავისუფლება, დემოკრატიული ზნე-ჩვეულებანი.



დიქტატურა რომ სულითა და გულით ენატრებათ, ეს ნათლად გამომჟღავნდა სულ ახლახან, 16-17 ნოემბერს, სსრკ-ის უზენაესი საბჭოს სესიაზე. დეპუტატთა მთელი კორპუსი არსებითად მუხლებზე დაჩოქილი ევედრებოდა მიხ. გორბაჩოვს, იდიქტატორე და ყველას განუკითხავად თავში უჩაჩქუნეო. იმას კი არავინ კითხულობდა, შეძლებს თუ ვერა დღევანდელი პრეზიდენტი დიქტატორობას.

დიქტატორებად იბადებიან. თუ ღმერთმა ეს უნარი და თვისება არ გიბოძა, რამდენიც უნდა მოინდომო, დიქტატორი ვერ გახდება. ბუნებით დიქტატორი ხომ საშინელებაა, ათგზის უფრო დიდი უბედურებაა მონდომებით ან იძულებით დიქტატორი!.. ბუნებით დიქტატორი მონურ წესრიგს მაინც ამყარებს. მონდომებით ან იძულებით დიქტატორი კი ვერაფერს აჯერხებს.

* * *

(მეორე ვარიანტი)

მოგეხსენებათ უთუოდ წყევლა, დედა რომ წყევლის შვილს: შენ მოუკვდი დედაშენს, შენ დაგაყარე მიწა... რატომ მუცელში არ გამიწყალდი... შენი კუბო დავდგი... იფრქვევა ცეცხლის მომკიდებელი სიტყვები, მაგრამ მისი არავის ეშინია - არც დედას, არც შვილს და არც შემთხვევით მსმენელს. ყველამ იცის, რომ ეს წამიერი ქოთქოთია, რომ წყევლაში მეტი ლოცვაა, ვიდრე შეჩვენება. ამიტომ შვილიც არხეინად ისმენს ამ წყევლა-კრულვას და გულში სიცილით კვდება, დედაც გულში ღმერთს ევედრება - შენი მფარველობა არ მოაკლო ჩემს შვილს, და მსმენელსაც ღიმილი გადასდის სახეზე, რადგან მანაც ჩინებულად იცის დედის წყევლის ფასი.

ეს იმიტომ გამახსენდა, რომ, როცა დღეს სტალინის ტოტალურ ლანძღვა-გინებას ვკითხულობთ, აშკარად ამგვარი ორი განწყობილება ჩანს. გინების კორიანტელს აყენებენ, მაგრამ განწყობილებაში, სტრიქონსა და სტრიქონს შუა აშკარად გამოსჭვივის - აღტაცება.

ლენინი მოუწამლავს? ვენაცვალე სულში..

კიროვიც მოუკლავს? აი, ბიჭი...

- ტროცკი მეხიკოში გააგორა? ნახე ულვაშა რა არი!

აღტაცება ცნობიერია თუ არაცნობიერი ამას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ ჩვენი აზროვნება სტალინით აღტაცებას ვერ მოერია. ადრე ღმერთად გვყავდა წარმოდგენილი და აღტაცებული ვიყავით, ახლა სატანად ვხატავთ, მაგრამ აღტაცება ისევ გვეუფლება.

* * *

ახლა ბევრი იწერება და ბევრი ლაპარაკია: სტალინმა ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთი ხალხი აჰყარა და შუა აზიასა და ციმბირში გადაასახლაო. ამითაც ხსნიან იმ დიდ წინააღმდეგობებს, რაც ამჟამად იმერკავკასიაში ხდება. რა თქმა უნდა, აქ ბევრია სიმართლე, მაგრამ ეს მოვლენა ბევრად რთულია, ვიდრე ამას დღეს წარმოვიდგენთ.

არც ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები, არც ყირიმელი თათრები, არც ყალმუხები და არც სხვები სტალინს იმიტომ არ აუყრია და გადაუსახლებია, რომ ისინი გერმანიის არმიას მხარდაჭერით შეხვდნენ. ეს მხოლოდ საბაბი იყო. ხალხების აყრა-გადასახლება მაინც მოხდებოდა, გერმანია-სსრკ-ის ომი საერთოდაც რომ არ ყოფილიყო. საქმე ის გახლავთ, რომ სტალინი ადამიანისა და ბუნების (მთელი სამყაროს) შეცვლის დე-

არქივი




მონური იდეით იყო შეპყრობილი. მან ომი ადამიანებს კი არ გამოუცხადა, არამედ ღმერთს. მთელი მისი ცხოვრება არის ექსპერიმენტი იმისა, შეუძლია თუ არა ადამიანს შეცვალოს, გარდაქმნას ის, რაც ღმერთმა შექმნა, რაც ბუნებაა, რაც სამყაროა.

სტალინი შემთხვევით არ უჭერდა მხარს მიჩურინსა და ლისენკოს. მას აინტერესებდა, შესაძლებელია თუ არა ადმიანთა, ხალხთა ისეთი შეჯვარება, როგორიც ხდებოდა მიჩურინისა და ლისენკოს ცდებში. მიიღება თუ არა ამ შეჯვარებით ახალი ერი, ახალი ადამიანი. თორემ მან იცოდა გენეტიკის ფასი, რაკი მხარს უჭერდა გენეტიკის ლაბორატორიების (შარაგების) არსებობას კონცბანაკებში (მაგ.რესოვსკის ლაბორატორია, სადაც რუსებთან ერთად უცხოელებიც მუშაობდნენ).

სტალინის თეორია ერთი ერისა და ერთი ენის შესახებ. ხალხთა გადასახლებაც ამ იდეის პრაქტიკული განხორციელების მცდელობა იყო.

სამყაროს შეცვლას ითვალისწინებდა გეგმაც: შემოებრუნებინათ ციმბირის დიდი მდინარეები კასპიის ზღვისაკენ, მოერწყოთ შუა აზიის უდაბნოები. ეს წონასწორობას არღვევდა, რაც ბუნებას შეექმნა. ამის საპირისპიროდ სტალინი თავის კანონზომიერებას ქმნიდა.

* * *

I. ვითარება: მძიმე. ერთგულება გადარჩენის გარანტიას არ იძლევა. პროლეტარული მწერლობა.

II. სტალინი არ არის უბრალო დიქტატორი. იგი ადამიანისა და სამყაროს შეცვლას აპირებს. მარქსი - სამყარო უნდა შეიცვალოს.

1) მიჩურინი, ლისენკო, ბერბანკი - თუ მცენარის შეცვლა შეიძლება, რატომ არ შეიძლება ადამიანის.

- პავლოვის ძაღლი - თუ ძაღლს აქვს პირობითი რეფლექსი, რატომ არ შეიძლება ჰქონდეს ადამიანს?

III. არ იქნება ენები, ერები - ერთი ენა, ერთი ერი. ხალხთა გადასახლებანი.

IV. სტალინის მასშტაბი იწვევს გაოგნებას. სახოტბო პოეზია არ არის უბრალო სახოტბო პოეზია - მითოლოგიზირებულია მისი პიროვნება: ლეონიძის ხაზი - გალაკტიონის უსახელო გმირი.

V. მეცნიერების შედეგად ადამიანის დაპროგრამების ეშინია მწერლობას. ანტიუტოპიური რომანი, **"Мы"**.

მდინარეების მობრუნება
სამყარო უნდა შეიცვალოს
ჩვენ არ დაველოდებით ბუნების მოწყალებას.

* * *

ჩვენ 40-იანი წლების ბოლოში ვმღეროდით **Мао и Сталин,** სურათებს ვუყურებდით, სადაც მაო და სტალინი ერთად იყვნენ გამოსახული. სინამდვილეში კი სტალინი დასცინოდა თურმე მაოს. მწერალი იური ვლასოვი, რომლის მამა (ვლადიმიროვის ფსევდონიმით) ყოფილა საბჭოთა შპიონი ჩინეთში, ამბობს -

**"Сам Сталин говорит о маоизме очень резко. П.К.Пономаренко, секретарь ЦК ВКП(б), рассказиывал мне, что на одном из заседаний Политбюро Сталин сравнил маоизм с редиской - красной снаружи и белой внутри. Именно Сталин дал Мао ироническую кличку "Пугачев" (под ней он проходил в секретных донесениях), говорившую о том, что он не считал Мао марксистом, а скорее крестьянским вождем" ("Аргументы и факты", 1990 г.N18)**

ორტეგა-ი-გასეტის ადამიანი-მასა
ნიცშეს ზეკაცი } ამის დაპირისპირებამ გამოიწვია სტალინის მითოლოგიზირება. ბერია არ არის მითოლოგიზირებული.

1. პოეზია, რომელიც ბელადს აქებს. ჩვეულებრივი პანეგირიკი, რომელიც არასოდეს ყოფილა უცხო ლიტერატურისათვის. (ეზრა პაუნდი - მუსოლინი, კნუტ ჰამსუნი - ჰიტლერი)

2. ნიმუშები. მაგრამ შეცდომა იქნებოდა ამაში დაგვენახა მხოლოდ სახოტბო ლირიკა.

3. ღმერთის უარყოფა. ათეიზმი, ზეკაცის ძებნა საერთოდ. (ნიცშე. ლენინს აქებს რობაქიძე, ჰიტლერს, მუსოლინს. სტალინისადმი დამოკიდებულება - ღმერთი - სატანა.

4. ქართული ნიჰილიზმი (დანელია, ნ. მიწიშვილი, კ.კაპანელი. ხევისთავის სახის შექმნა. ყვარყვარე. 21 წელს დამარცხების უნდობლობა). ეროვნული ენერგიის სისუსტე და ძებნა პიროვნების. კ. გამსახურდიას კულტი, რაკი ერს თავისთავის იმედი არა აქვს.

* * *

1. სტალინისადმი მიძღვნილი ლექსები
2. აშკარად ჩანს ორგვარი დამოკიდებულება

ა) კ. გამსახურდია - ნიმუში
ბ) გ. ლეონიძე, ს.ჩიქოვანი - მითოლოგიურობა
გ) გ. ტაბიძე - გ. რობაქიძე - დემონი
სამშობლო შავი ლუციფერის.
ღმერთის წინააღმდეგ ამხედრება: "დიონისეს ღიმილში"
ველსკის და ორბელის საუბარი "გრაალის მცველში".

* * *

(ერთი თავი წიგნიდან "გადარჩენა")

კარგად ცნობილია: კომუნისტებმა, უფრო სწორად, ბოლშევიკებმა, იდეოკრატიული სახელმწიფო შექმნეს. სსრკ-ში თანაბრად ასხამდნენ ხოტბა-დიდებას როგორც კომუნიზმის იდეას, ისე მის თეორეტიკოსებსა და პრაქტიკოსებს. კაცობრიობის ისტორიაში არცერთ მეფეს, იმპერატორს, დიქტატორს სიზმრად არ უნახავს პანეგირიკული ლიტერატურის ის ზღვა, რაც ლენინისა და სტალინის ირგვლივ შეიქმნა. ლენინისა და სტალინს მარტო ისინი არ უმღეროდნენ, ვინც სსრკ-ში ცხოვრობდა. არც უცხოელებს დაუზოგავთ სიტყვა და კალამი. ეს იყო წარღვნა, ალბათ, უფრო ძლიერი, ვიდრე ის, ბიბლიურმა ნოემ რომ იხილა. ბევრს მაშინაც უკვირდა ეს თავშეუკავებელი ხოტბა-დიდება, მაგალითად, ლიონ

ეროვნული ბიბლიოთეკა




ფოიხტვანგერს.

"მან მხრები აიჩეჩა, როცა შევნიშნე, რომ უგემოვნოა და გაზვიადებული მისი პიროვნების თაყვანისცემა. თავის გლეხებსა და მუშებს ნამუსი იმით მოწმინდა, რომ თქვა - ისინი ძალიან დაკავებული იყვნენ სხვა საქმეებით და ვერ მოახერხეს მაღალი გემოვნების დაუფლება. იხუმრა კიდეც ულვაშებიანი კაცის ასიათასობით უზომოდ გადიდებულ პორტრეტებზე, რომელნიც დემონსტრაციებზე მის თვალწინ გაიელვებენ".

* * *

პლუტარქე - მაკედონელი, კეისარი
"ბევრი ბევრს რასმეს იტყოდა..."

* * *

"ალექსანდრეს არ სწამდა თავისი ღვთაებრიობა და არც ამაყობდა ამით. მის ღვთაებრივ წარმოშობაზე გავრცელებულ აზრს იგი იყენებდა, როგორც საშუალებას სხვა ხალხების დასამორჩილებლად" (პლუტარქე).

უბრალო მეხამლე იყო ბესარიონ ჯუღაშვილი.

ეკატერინე გელაძე წერაკითხვის უცოდინარი ქალი იყო, თორემ მეფე ფილიპესავით ეტყოდა შვილს "შენი შესაფერისი საბრძანებელი უნდა მოძებნო, შვილო, მაკედონია შენ ვერ დაგიტევს!"

ეკატერინე გელაძის გვერდით არავის უნახავს მწოლიარე ღმერთი ამონი, და არც მისი ქორწინების ღამეს ქუხილი არავის გაუგონია და მეხი დასცემია მუცელზე და არც არავის უწინასწარმეტყველებია დედოფალი ფეხმძიმედ არის და შობს ვაჟს, რომელსაც ცეცხლის ძალა ექნება და ლომის გულიო.

* * *

1. ლენინიადა, სტალინიადა, ბერიადა (სახელმწიფო პოლიტიკა)

ა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ სახოტბო ლირიკა ყველა მწერლობაში არსებობს - "თამარიანი", "აბდულმესია", "თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლდათხეული", "ტოღრულ-შაჰი-ნიზამი "ხოსროვი და შირინი"...

ბ) პოეტი ემოციური არსებაა და მის აღტაცებას იწვევს ძლიერი პიროვნება. ეზრა პაუნდი - მუსოლინი, კნუტ ჰამსუნი - ნაციზმი. უცხოელი პოეტების მიერ სტალინის ქება. გ. რობაქიძე - ლენინი, მუსოლინი, ჰიტლერი.

გ) საქართველოში სხვა მიზეზებიც ჰქონდა, სტალინი მითოლოგიზირებულია აქაც სადაც აქებენ და იქაც სადაც აძაგებენ.

* * *

*იბადებოდა...*
*ქვეყნის სიცოცხლე თითქოს იმ აკვანს ფესვით მიება.*
*იბადებოდა ქალდეველ მონის,*
*რომის პლებეის შურისძიება.*
*იბადებოდა... და ისტორიამ*
*დაგვიანებით მაინც მოხედა, -*
*მზის მოქალაქე - ჰელიოპოლიტს*
*და ძველ ეგვიპტეს მეამბოხეთა:*
*ამირანს, სპარტაკს, გრაკხებს და მრავალს,*
*ვინც აჯანყების დროშამ მოხვეტა!*
*არისტოტელის აზრში ნასახი,*
*იმედი ხალხთა, დაუბერები -*
*იუდეველის, გერმანელ გლეხის*
*და ინგლისელი პაუპერების,*
*ძველ იტალიელ ხელოსან-ქარგლის,*
*თაბალ-მოსოხის მჭედელ-ხუროთა*
*წითელ ხანძრების წითელი ქაფი,*
*და ქარიშხალი ვისაც სწყუროდა!*

გ. ლეონიძე, ერთტომეული, 1954 წ. გვ.542-543.

(სტალინი ყველა დაჩაგრულის გამანთავისუფლებელია - ვინც იყო ვინც არის და ვინც იქნება კ.გამსახურდიას ახსნა დავამატო)

* * *

სტალინის მითოლოგიზაცია

"ქართული ლექსები და სიმღერები სტალინზე", კრებული, 1937 წ.

სანდრო შანშიაშვილი - "იოსებ სტალინს". ბუმბერაზ მუხას რომ შეადაროს, არწივს, გრიგალს, ვულკანს - "ამით შენს სახეს ვერ გამოვკვეთავ"

*"ან თვით იმ გრიგალს, ზეცას რომ გრაგნის,*
*ზვირთებს აგორებს, სალს ანგრევს ზარით,*
*ან ამოხეთქილ მთას, ცეცხლით მქშინავს,*
*აგრიალებულს ღველფიან ღვარით..."* (გვ.84)

სიმონ ჩიქოვანი: - "სიმღერა სტალინზე"
*"შენ გამოგყვა სწრაფვა სრული*
*არაგვის და რიონისა,*
*შენ გამოგყვა ქვეყნის გული,*
*ძლები კავკასიონისა".* (გვ.86)

გაგრძელება შემდეგ ნომერში

არილი



ი. ჯუღაშვილი-სტალინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ია ანთაძე

# რა ემუქრება საქართველოს დამოუკიდებლობას

საქართველოს დამოუკიდებლობა ოთხი უმთავრესი სეგმენტისგან შედგება: საქართველოს ხელისუფლების, საქართველოს მოსახლეობის, რუსეთისა და, პირობითად, დასავლეთის პოლიტიკური ნებისგან.

ამ ოთხთაგან ბოლოხანს განსაკუთრებული მნიშვნელობა რუსეთმა შეიძინა. მიმდინარე წლის დასაწყისში ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე საჯაროდ განაცხადა, რომ რუსეთი კავკასიაზე თავის გავლენას არ დათმობს.

ეს ოფიციალური განცხადება პირდაპირ დაუპირისპირდა დასავლეთის პოლიტიკურ ნებას, რომელიც აშკარად გაცხადდა გასული წლის 18-19 ნოემბერს სტამბულში ჩატარებულ ეუთოს სამიტზე. აქ ხელი მოეწერა ხელშეკრულებებს, რომელთა შესრულებამ მყარი პოლიტიკური და ეკონომიკური გარანტია უნდა შეუქმნას საქართველოს დამოუკიდებლობას.

ევროსაბჭოს ტრიბუნაზე ვერბალურად დაფიქსირებული პოზიცია რუსეთმა საქმითაც მრავალგზის დაადასტურა. გასული წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე რუსეთის ავიაციამ რამდენჯერმე დაბომბა საქართველოს საზღვრისპირა ტერიტორია. მიმდინარე წლის 10 თებერვალს კი რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ქართულ მხარეს გადმოსცა დოკუმენტი, რომელიც ორ ქვეყანას შორის სავიზო რეჟიმის შემოღებას ითვალისწინებდა. მიზეზად დასახელდა რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთის გაკონტროლება.

პროცესს ფონად გასდევდა რუსული მასმედიის და ოფიციოზის განცხადებები იმის შესახებ, რომ საქართველოში თავს აფარებენ ჩეჩენი ტერორისტები და რომ საქართველოდან ჩეჩნეთში საბრძოლო იარაღი შედის. სოციოლოგიურმა კვლევამ დაადასტურა, რომ მოსკოველების 72% საქართველოს მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს ეთანხმება. ეს ბუნებრივად გამოიყურება, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს წინააღმდეგ საინფორმაციო მანქანა ამუშავდა. ზოგად სულისკვეთებას კარგად ასახავს გასული წლის 20 ოქტომბერს “ნეზავისიმაია გაზეტაში” გამოქვეყნებული ერთი სტატიის ფრაგმენტი: **“რუსეთს უკვე აღარაფერი აქვს დასაკარგი. საქართველოში მისი სამხედრო ყოფნა-არყოფნის პერსპექტივაც კი ვერ შეაჩერებს მოსკოვს, რომ მკაცრი ხაზი გაატაროს. საქართველოსა და აზერბაიჯანს მოუწევთ რუსეთის მრავალი საგარეო პოლიტიკური “პროექტის” გაცნობა და იმის გათავისება, რომ ჩრდილოელი მეზობლისგან მათ აშორებს არა ატლანტიკის ოკეანე, არამედ - მხოლოდ კავკასიონის ქედი”.**

> **„საქართველოსა და აზერბაიჯანს მოუწევთ რუსეთის მრავალი საგარეო პოლიტიკური „პროექტის” გაცნობა და იმის გათავისება, რომ ჩრდილოელი მეზობლისგან მათ აშორებს არა ატლანტიკის ოკეანე, არამედ - მხოლოდ კავკასიონის ქედი”.**

მუქარა საფუძვლიანი აღმოჩნდა - როგორც ჩანს, საქართველო ამჟამად სწორედ რუსეთის საგარეო პოლიტიკური “პროექტების” გაცნობის მტკივნეულ პროცესს გადის: წლის ბოლოს სავიზო რეჟიმი რეალობად იქცა, თანაც, დისკრიმინაციული ვარიანტით - აფხაზეთსა და რუსეთს შორის მიმოსვლა თავისუფალია; გუდაუთის სამხედრო ბაზის დაშლა და გატანა ვერ მოხერხდა; სამაგიეროდ, მოხერხდა ვითარების უკიდურესად დაძაბვა პანკისის ხეობაში; მოხერხდა, აგრეთვე, ამერიკული ენერგოკომპანიისთვის რუსეთიდან გაზის მიწოდების შეწყვეტა წმინდა პოლიტიკური მოტივით; ამავდროულად, რუსეთის მიერ შემოთავაზებულია ვალების რესტრუქტურიზაციის “ნულოვანი” ვარიანტი, რაც ბუზისა და სპილოს წონაში გათანაბრების ტოლფასია და ძალის დემონსტრირების საკმაოდ ცინიკურ ფაქტს წარმოადგენს.

ამ პირობებში, როდესაც რუსეთმა ღიად დააფიქსირა თავისი პოლიტიკური ნება და საქართველოს წინააღმდეგ წამოიწყო ცივი ომი - ალაგ-ალაგ გაცხელების მცდელობით, - საქართველოს დამოუკიდებლობისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების და მოსახლეობის პოლიტიკური ნება.

* * *

საქართველოს ხელისუფლება სამი შტოსგან შედგება: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებისგან. მათგან პირველ ორს უშუალო კავშირი აქვს საქართველოს დამოუკიდებლობასთან.

მიმდინარე წლის 2 მარტს “არილის” მეორე ნომერში გამოვაქვეყნე სტატია საქართველოში მოვლენების განვითარების ორი შესაძლო სცენარის შესახებ. ორივე სცენარი რუსეთის ინტერესების გატარების მცდელობას ითვალისწინებდა. მოქმედების განვითარების პირველი ვარიანტი გულისხმობდა შესაძლო ტერაქტს და არეულობას საპრეზიდენტო არჩევნების წინ, ანუ შევარდნაძის არარჩევის მცდელობას; ხოლო მეორე ვარიანტი გულისხმობდა შევარდნაძის მშვიდ გაპრეზიდენტებას, მაგრამ შემდეგში მთავრობის ძველი ბირთვის შენარჩუნებას და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ პარლამენტის “მოთვინიერების” მცდელობას.

გავიხსენებ ნაწყვეტს ამ სტატიიდან: **“სწორედ მთავრობის დამტკიცების დროს ჩაირთვება რუსეთის სტრატეგიული ინტერესების დამცველი მანქანა: დიდი ძალისხმევა ჩაიდება იმაში, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება თვისებრივად არ შეიცვალოს. რაკი სახელმწიფოს დეკლარირებული კურსი და რეალობა არა მხოლოდ უპირისპირდება, არამედ - სულ უფრო სწრაფად შორდება ერთმანეთს, კიდევ რამდენიმე წელიწადს გაჯანჯლებული საბიუჯეტო კრიზისი დაემსგავსება ოზონის შავ ხვრელს, რომელიც მთლიანად შეიწოვს საქართველოს დამოუკიდებლობას.”**

საპრეზიდენტო არჩევნებმა ცხადყო, რომ რუსეთმა უარი თქვა მოვლენების განვითარების პირველ სცენარზე. დღეს, ამ სტატიის გამოქვეყნებიდან თითქმის ათი თვის შემდეგ, ისიც შეიძლება ითქვას, რომ რუსეთმა სწორედ მეორე სცენარი აირჩია.

* * *

რა კავშირი აქვს საქართველოს მთავრობას რუსეთის პოლიტიკურ ინტერესებთან?

საქმე ისაა, რომ გასული მოწვევის პარლამენტის მიერ დამტკიცებულმა მთავრობამ ვერც ბიუჯეტი შეასრულა და, ცხადია, არც სისტემური რეფორმა ჩაატარა. სამაგიეროდ, 1998-2000 წლებში ფესვები გაიმაგრა სისტემურმა კორუფციამ.

ბოლო საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ კიდევ ერთხელ შეიქმნა საფუძველი იმისათვის, რომ ძირფესვიანად განახლებულიყო დანიშვნითი ორგანო - მთავრობა - და დაწყებულიყო ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის მცდელობა. ამ პროცესს საფუძვლად უნდა დადებოდა ორი ნებაყოფლობითი ფაქტორი: პრეზიდენტის

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საპარლამენტო უმრავლესობის პოლიტიკური ნება.

სწორედ მთავრობის დაკომპლექტებისას - მიმდინარე წლის გაზაფხულზე - დაიწყო უთანხმოება პრეზიდენტსა და საპარლამენტო უმრავლესობას შორის.

ექვს ივლისს მოქალაქეთა კავშირის სათათბიროს სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა ელდარ შენგელაიამ პრეზიდენტს საჯაროდ უსაყვედურა იმის გამო, რომ მან პარლამენტს ზოგიერთი მინისტრი "მკლავის გადაგრეხვით" დაამტკიცებინა.

ახალი მთავრობის დაკომპლექტებისას რეფორმატორებმა ვერ მიიღეს პრეზიდენტის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა და, საბოლოოდ, პარლამენტმა 14 ძველი მინისტრი ხელახლა დაამტკიცა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ალმასრულებელი ხელისუფლება თვისებრივად უცვლელი დარჩა.

ნიშნავდა თუ არა ეს ფაქტი რუსეთის მორიგ გამარჯვებას საქართველოზე?

ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია, ვიფიქროთ - რისთვის შეინარჩუნა პრეზიდენტმა მთავრობის ის ნაწილი, რომელიც თავისი კაბინეტის მშვიდი ინტერიერიდან ადევნებდა თვალყურს წლიდან წლამდე მზარდ კრიზისს?

ზოგადი მინიშნებების საფუძველზე უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ უწყებების ძველი შემადგენლობით შენარჩუნება ისევ და ისევ პოლიტიკური ბალანსის გასამყარებლად იყო საჭირო. მაგრამ ბალანსი ნიშნავს მინიმუმ ორი დაპირისპირებული მხარის არსებობას. კონკრეტულად ვისი, რომელი მხარის ინტერესებს შეესაბამებოდა მთავრობის ძველი ბირთვის შენარჩუნება?

* * *

საზოგადოების თითოეულმა წევრმა იცის, რომ საქართველო "თეთრი" თუ "შავი" ბიზნესით ყველაზე მჭიდროდ რუსეთთან არის დაკავშირებული. კონტრაბანდული ტვირთის დიდი ნაწილი საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან შემოდის, - მაშასადამე, რუსეთის მხრიდან კონტროლს ექვემდებარება. ექსპორტული საქონლის ლომის წილიც რუსეთზე მოდის. ასე რომ, ყველაზე შემოსავლიანი ბიზნესის რამდენიმე სახეობით საქართველო მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთთან. კონკრეტულად შეიძლება დასახელდეს ნავთობპროდუქტები, სიგარეტი, სპირტი, ღვინო, ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია. ბიზნესის ამ სახეობებს არა მხოლოდ მსხვილი თანხები უკავშირდება, არამედ, ხშირად, კონტრაბანდა და ჩრდილოვანი ეკონომიკა. ხოლო იქ, სადაც ბიზნესი კანონის ჩარჩოში ვერ "თავსდება", საჭიროა "სახურავი". ვინ შეიძლება წარმოადგენდეს ბიზნესის ზემოთ ჩამოთვლილი სახეობების "სახურავს"? ცხადია, უმაღლესი რანგის ჩინოვნიკი და პარლამენტის წევრი.

ასე რომ, თუ საქართველოში მსხვილი ბიზნესი, ერთი მხრივ, დაკავშირებულია რუსეთთან, მეორე მხრივ კი - ჩრდილოვანი წახნაგით - ხელისუფლებასთან, გამოდის, ჩვენი ხელისუფლება უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთთან, ვიდრე ამის წარმოდგენა შეუძლია საზოგადოების რიგით წევრს. ამიტომ, როდესაც საუბარია ხელისუფლების პრორუსულ ნაწილზე, მათ შორის, პირველ რიგში იგულისხმებიან არა ეგრეთ წოდებული "ნომრიანი აგენტები", არამედ - სწორედ ის ადამიანები, რომელთა შემოსავლის წყაროები პირდაპირ ან ირიბად რუსეთს უკავშირება. შემოსავლის ეს წყაროები კი 100%-ით კორუფციულია. სწორედ ამიტომ არის კორუფცია რუსეთის უმთავრესი მოკავშირე საქართველოზე პოლიტიკური გავლენის მოპოვებისთვის ბრძოლაში.

* * *

საქართველოს ხელისუფლების კონკრეტული წარმომადგენლებისგან, გამდიდრების სანაცვლოდ, რუსეთი კონკრეტული სასიცოცხლო ბერკეტების გადაცემას ითხოვს. სწორედ ამიტომ აღმოჩნდა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ხელში საქართველოს მოსახლეობის მომარაგება როგორც ელექტროენერგიით, ასევე - ბუნებრივი აირით. იმის მიუხედავად, რომ დასავლეთმა უზარმაზარი თანხა ჩადო საქართველოს ენერგოსისტემაში - კრედიტების და ინვესტიციების სახით - ახლა მაინც რუსეთი წყვეტს, როდის დატოვოს საქართველოს მოსახლეობა დენისა და გაზის გარეშე. ყველაზე ლოგიკურია, თუ ეს მოხდება ახალი წლის სადღესასწაულო დღეებში და მოგვიანებითაც, როდესაც საფუძვლიანად აცივდება. საქართლოს მთავრობა კი იძულებული შეიქნება, პერიოდულად იფრინოს მოსკოვში და ყოვლად უსამართლო პირობებზე დასთანხმდეს რუსეთის ხელისუფლებას. ის, რასაც დღეს თითოეული ჩვენგანი თვალყურს ადევნებს - საქართველოს ხელისუფლების დაჩოქების აშკარა მცდელობაა.

**როდესაც საუბარია ხელისუფლების პრორუსულ ნაწილზე, მათ შორის, პირველ რიგში იგულისხმებიან არა ეგრეთ წოდებული "ნომრიანი აგენტები", არამედ - სწორედ ის ადამიანები, რომელთა შემოსავლის წყაროები პირდაპირ ან ირიბად რუსეთს უკავშირება.**

* * *

ამ ვითარებას ოპოზიცია სულ უფრო ენერგიულად გამოიყენებს ხელისუფლების წინააღმდეგ. ნიშანდობლივია მოსკოველი პოლიტოლოგის, ალექსანდრე ჭაჭიას ინტერვიუ, რომელიც "ასავალ-დასავალში" გამოქვეყნდა 27 ნოემბერს. ციტატა: **"საქართველოში კორუფცია, კარგა ხანია, ეროვნული უსაფრთხოების პრობლემა გახდა. კორუმპირებულ ხელისუფლებას არ შეუძლია კორუფციასთან ბრძოლა: ეს ხომ საკუთარ თავთან ბრძოლას ნიშნავს. დღეს კორუფციასთან ბრძოლა უნდა განიხილებოდეს, მხოლოდ როგორც არსებულ ხელისუფლებასთან ბრძოლა. კორუფციის პრობლემა შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ ამჟამინდელი მმართველი დაჯგუფების პოლიტიკური არენიდან განდევნის შემდეგ."**

მოვლენების განვითარების ლოგიკა ასეთია: რუსეთმა ჯერ იოლად ჩაითრია ჩვენი ფუფუნებისმოყვარული ხელისუფლება კორუფციის ჭაობში; შემდეგ პრეზიდენტს თავისი საპარლამენტო უმრავლესობისთვის "მკლავები აგრეხინა" ძველი მთავრობის დასამტკიცებლად (რომელთანაც რუსეთს "საკუთარი ანგარიშები" ჰქონდა); ბოლოს კი გამოცხადდა, რომ მმართველი დაჯგუფება პოლიტიკური არენიდან ხალხმა უნდა განდევნოს.

გამოდის, ჟვანიამ საკუთარი თავით უნდა აგოს პასუხი იმაზე, რომ პრეზიდენტმა მოუგო შეჯიბრი მკლავჭიდში, ხოლო რუსეთმა შეძლო, სისტემური კორუფცია დაენერგა საქართველოს ხელისუფლებაში.

საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი ახლა გაერთიანებას აპირებს სწორედ ამ ნიშნით - რათა მიაღწიოს საპარლამენტო ძალების დაქსაქსვას და, საბოლოოდ, უმრავლესობის შეცვლას. პრესისთვის მიცემულ ინტერვიუებში მთელი შემოდგომის განმავლობაში ცხადდება, რომ იქმნება მემარჯვენე ძალების ალიანსი, რომელშიც გაერთიანდებიან "ახალი ფრაქცია", "ტრადიციონალისტები", "მრეწველები", ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რესპუბლიკური პარტია, ბიზნესმენების და საპარლამენტო უმრავლესობის ნაწილი.

მემარჯვენეთა ახალი ერთობის გეგმების შესახებ ფასდაუდებელ ინფორმაციას მოიცავს ირინა სარიშვილის ინტერვიუ, რომელიც გაზეთ "ალიაში" გამოქვეყნდა 12 დეკემბერს. ციტატა: **"პირველებმა ჩვენ ვივარაუდეთ ის, რომ თუ პარლამენტი უუნარო აღმოჩნდება ერთი გადაწყვეტილების - ან ცუდის, ან კარგის - მიღებაში და იქ ისე დაიქსაქსება ძალები, რომ რეალურად გაქრება უმრავლესობა, მაშინ ქვეყანა დადგება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების**

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუცილებლობის წინაშე... თუ პარლამენტში შევალ, ყოველნაირად ვეცდები, საკუთარი წვლილიც შევიტანო იმაში, რომ საპარლამენტო უმრავლესობა შეიცვალოს".

ნებსით თუ უნებლიეთ, ირინა სარიშვილმა გაიმეორა ის პროგნოზი, რომელიც ჯერ კიდევ გასული წლის 15 ოქტომბერს, საპარლამეტნო არჩევნების წინ, გააკეთა მოსკოველმა პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ: "ეს პარლამენტი, ალბათ, გარდამავალი იქნება. საგარეო და საშინაო მდგომარეობის მოსალოდნელი განვითარებისა და ხელისუფლების გარდაუვალი კრიზისის გამო, ვფიქრობ, მომავალი საპარლამენტო არჩევნები ვადამდე - წელიწადნახევარ-ორ წელიწადში ჩატარდება". ჭაჭიას ეს პროგნოზი გასული წლის 26 ნოემბერს გამოქვეყნდა "დილის გაზეთში". ამიტომ, ირინა სარიშვილი არცთუ სამართლიანად იჩემებს საავტორო უფლებას ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების იდეაზე. მეორე საკითხია, რამდენად სასარგებლო იქნება ქვეყნის ინტერესებისთვის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ყოველნაირად ცდილობდეს საკუთარი წვლილის შეტანას მაინცდამაინც ჭაჭიას პროგნოზის ახდენაში.

საპარლამენტო ძალების დაქსაქსვის მიზანს ემსახურება კიდევ ერთი უცნაური ინიციატივა, რომლითაც ბოლო დღეებში გამოვიდა ფრაქცია "XXI საუკუნის" სამი წევრი: ელიზბარ ჯაველიძე, ჯემალ გამახარია და ანზორ აბრალავა. ისინი უმცირესობის ლიდერთან, ჯემალ გოგიტიძესთან ერთად, დახურულ კარს მიღმა განიხილავდნენ პარლამენტისთვის პროტესტის გამოცხადების და ალტერნატიული სხდომების ჩატარების იდეას.

ის ვითარება, რომ განსხვავებული პოლიტიკური ძალების პროგნოზები და სამოქმედო გეგმა კოორდინირებულად გამოიყურება, პარლამენტის თავმჯდომარეს უფრო აქტიური ნაბიჯების გადადგმისკენ უბიძგებს. აშკარაა მცდელობა, საზოგადოებას შეუქმნან აზრი, რომ თუ სახელისუფლო სივრცეს დათმობს ჟვანია, ამ სივრცეს უფრო პატიოსანი და ენერგიული პოლიტიკური ძალები დაიკავებენ. ჟვანია ან მართლაც უნდა შეეგუოს ძალაუფლების სულ უფრო მეტ შეზღუდვას, ან მკვეთრად უნდა გაემიჯნოს ხელისუფლების იმ ნაწილს, რომელსაც დღევანდელ კრიზისში დამნაშავედ მიიჩნევს.

* * *

ახლა პოლიტიკური პროცესების გასაღები ეკონომიკაში ძევს. მთავრობამ და პრეზიდენტმა დაიწუნეს ზურაბ ნოღაიდელის მიერ შექმნილი 2001 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელიც, ექსპერტების შეფასებით, კორუფციული ხვრელების დაგმანვას ითვალისწინებდა.

არადა, სამომავლო პოლიტიკური პროცესები, შესაძლოა, დიდწილად აღმოჩნდეს დამოკიდებული ეკონომიკურ შედეგებზე. ფინანსთა მინისტრი და საგადასახადო შემოსავლების მინისტრი რეფორმატორთა გუნდის წარმომადგენლები არიან, ამიტომ, საბიუჯეტო პრობლემები ყველაზე მეტად სწორედ ამ გუნდს დააზარალებს.

"პოლიტიკა სასტიკია," - თქვა ერთხელ ედუარდ შევარდნაძემ საპარლამენტო გამოსვლისას. ფაქტია, რომ ზურაბ ნოღაიდელმა და მიხეილ მაჭავარიანმა ვერ განმუხტეს კრიზისული ვითარება. რა დოზითაც ეს ფაქტი აისახება ციფრებში, ზუსტად იმ დოზით მოსთხოვენ პასუხს ჟვანიასა და მის გუნდს. და ძნელად თუ მოხერხდება იმის გარჩევა, ვინ ან რამ შეუშალა ხელი ეკონომიკურ ბლოკს საკუთარი მოვალეობის შესრულებაში.

მოვლენები კი, შესაძლოა, ამგვარად წარიმართოს: სეკვესტრირებული, მაგრამ მაინც შეუსრულებელი ბიუჯეტით უკმაყოფილებას ენერგიულად დააფიქსირებს პოლიტიკური ოპოზიცია, რის საფუძველსაც უკვე კარგა ხანია ამზადებს ვახტანგ რჩეულიშვილი. იგი პარლამენტის და ბიუროს ბოლო სხდომებზე დაჟინებით მოითხოვს პასუხისმგებლობის საკითხზე მსჯელობას.

უმრავლესობის ერთ ნაწილსაც სერიოზული მიზეზი მიეცემა საკუთარი უკმაყოფილების გამოსახატად და, შესაძლოა, რადიკალური გადაწყვეტილებების მისაღებადაც. არ არის გამორიცხული, თამარ ნინოშვილის მსგავსად, სამომავლო ენერგია უმრავლესობის სხვა წევრებმაც "ახალ ფრაქციაში" ან სადმე სხვაგან მოიძიონ. ჟვანიას, თავის გუნდიანად, ძალიან გაუჭირდება, პასუხისმგებლობის სერიოზული ნაწილი აიცილოს თავიდან მძიმე სახელისუფლო კონფლიქტის გარეშე. ასე რომ, ახლო მომავალში, სულ მცირე, ვითარების გამწვავებას უნდა ველოდოთ.

* * *

არსებობს თუ არა მოსახლეობის პოლიტიკური ნება, როგორც არსებითი ფაქტორი საქართველოს დამოუკიდებლობის გადასარჩენად?

არ არის გამორიცხული, რომ რაც მეტად გაძლიერდება რუსეთის მხრიდან ზეწოლა, მით უფრო მჭიდროდ შეკავშირდეს საზოგადოება.

მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რას მიაღწევს მოსახლეობა, თუ მას მოუხდება, ერთდროულად დაუპირისპირდეს რუსეთის და საკუთარ ხელისუფლებას.

* * *

რუსეთის პოლიტიკური ნების განხორციელება საქართველოს მიმართ დიდწილად იქნება დამოკიდებული ედუარდ შევარდნაძის ფაქტორზე. რუსეთი ისევ დგას არჩევანის წინაშე: ან გვერდით დაიყენოს საქართველოს პრეზიდენტი, ან მის შეცვლაზე იზრუნოს. შევარდნაძის არსებითი გადაწყვეტილებები კი, შესაძლოა, იმ ფაქტორმაც განსაზღვროს, თუ რა აძლევს ხელს მის ირგვლივ შემოკრებილ ინტერესთა ჯგუფებს და პოლიტიკურ ძალებს - რუსეთთან ცივი ომი თუ პრინციპულ დათმობებზე წასვლა.

პრეზიდენტი ბოლოხანს ჟვანიას ხან "ძმაოთი" მიმართავს და ხან "შვილოთი" ეფერება. "კოლექტიურ შევარდნაძედ" წოდებული "ოჯახის" წევრები კი უკვე საჯაროდ აფიქსირებენ აგრესიას პარლამენტის მიმართ. ოღონდ, ჯერჯერობით, ბუნდოვანია, რა სურთ მათ - პროდასავლური ლიდერის ჩანაცვლება საკუთარი კანდიდატით თუ დასავლური ყაიდის ლიდერის საერთოდ დაკნინება.

სიფხიზლის განცდას იწვევს 1994 წლის გამოცდილება, როდესაც რუსეთის მხრიდან მრავალმხრივი წნეხის და შიდა ღალატის შედეგად, ბევრისთვის მოულოდნელად და სამწუხაროდ, საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი აღმოჩნდა.რუსეთის მხრიდან ახლაც არანაკლებ მრავალმხრივი წნეხი ხორციელდება. ღალატი კი მხოლოდ ზურგში მეორე ფრონტის გახსნას არ გულისხმობს.

**არილი**

## ყურადღება

თარგმანის საგამომცემლო ცენტრი "ხომლი" დამწყები მთარგმნელებისათვის 2001 წლის 15 იანვრიდან დარგის ცნობილი სპეციალისტების ხელმძღვანელობით იწყებს მასტერკლასებისა და სემინარების ჩატარებას. მასტერკლასები და სემინარები უფასოა და გაგრძელდება ორ თვეს. სულ ჩატარდება 8 სემინარი და 8 მასტერკლასი (თითოეული ჯგუფისათვის). ინფორმაციის მისაღებად მსურველებს შეუძლიათ დარეკონ ტელეფონზე - 99-83-00, ორშაბათობითა და ხუთშაბათობით, დღის პირველი საათიდან სამ საათამდე, ან მობრძანდნენ ლესელიძის ქუჩის 4 ნომერში, მეორე სართულზე, კვირის იმავე დღეებსა და იმავე საათებში. განცხადებების მიღება გაგრძელდება 2001 წლის 10 იანვრამდე.



http://www.opentext.org.ge/arili






ნიცშეს უკანასკნელი ფოტო


ÜBERMENSCHEN

